ლიბერალი

№ 8 / 16 - 29 სექტემბერი / 2009

შენიღბული პროცესი – მუხროვანის ამბოხი გვ. 10

„ელიტ ელექტრონიქსი“ გაკოტრების პირას გვ. 17

ოპოზიციის პირველი პრაიმერი გვ. 18

არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა გვ. 13

პატრიოტთა ბანაკები გვ. 44

მე, მე და მე – ახალი სატელევიზიო სეზონი გვ. 15

VS – ბაგრატის ტაძარი გვ. 08

გერმანული არჩევნები 2009 გვ. 22

ISSN 1987-7528

ფასი 2.80 ლარი

პოლიტიკა სკოლაში

გვ. 36

რადიო „უცნობი“ წარმოგიდგენთ დილის გადაცემას „დილა მშვიდობისა“
ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- საინტერესო მოსაზრებები
- მაგარი სიმღერები
- მხიარული საუბრები
- SMS გამოკითხვები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა
SMS ნომერი: 9800
Skype ID: ucnobidila

www.ucnobifm.ge

ლიბერალი

№ 8 / 16 - 29 სექტემბერი / 2009

ნომერში:

02 რედაქტორი
04 წერილები
06 მოკლედ
08 ორი აზრი
ბაგრატის აღდგენა
ქეთევან აბაშიძე-დადიანისა v.s. ნესტან თათარაშვილი

პოლიტიკა
10 შენიღბული პროცესი
13 **თვალსაზრისი**
არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა
15 **ახალი სატელევიზიო სეზონი**
მე, მე და მე
17 **ელიტ-ელექტრონიქსის საქმე**
გაკოტრების პირას
18 **ინტერვიუ**
პირველი პრაიმერი საქართველოში
ინტერვიუ დავით გამყრელიძესთან
ეკონომიკა
20 **ეკონომიკური კრიზისი რიცხვებში**
„მშიერი შემოდგომის“ სტარტი
ევროპა
22 **გერმანული არჩევნები 2009**
მერკელის გერმანია
მეზობლები
26 ანკარა-ერევანი 1:0?
28 **სამხრეთ კავკასია**
კავკასიის ინტეგრაცია
საქართველო
30 მოსალოდნელი მოულოდნელობა
32 **კონფლიქტის ზონა**
წყალი დენის წილ
ადამიანის უფლებები და სამართალი
34 **დახურული სასჯელაღსრულებითი სისტემა**
საიდუმლო ობიექტი

საზოგადოება
36 პოლიტიკა სკოლაში
40 **კულტურული მემკვიდრეობა**
ერთიანი საქართველოს გუმბათი
44 **საპრეზიდენტო პროგრამა**
ლიდერი ყოველთვის მართალია
48 **წიგნები**
კითხვა ჟანგბადით

გარეკანზე:

თემო ბარძიმაშვილის ფოტო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ნახეთ ვებ-გვერდზე:

www.liberali.ge

ბლოგები:

ეროსი კიწმარიშვილი
ნინია კაკაბაძე
გიორგი ცხადაია
ლაშა ბაქრაძე
შორენა შავერდაშვილი

პოლიტიკა სკოლაში
ინტერვიუ ავტორთან:

თამარ ბაბუაძე
თამარ ღონღაძე

მულტიმედია:

ბაგრატის ტაძარი
2009 წლის სექტემბერი

თრუსოს ხეობა

იმის გამო, რომ ჩვენი ჟურნალი ორ კვირაში ერთხელ გამოდის, ხშირად მაქვს განცდა, რომ მკითხველის ყოველდღიურ ინტერესს სათანადოდ ვერ ვპასუხობთ. თუმცა იმ თემების უმრავლესობა, რაც ჩვენს ფოკუსში ექცევა, უფრო მათთვის არის, ვისაც სიახლეების მიღმა ტენდენციების დანახვა უნდა.

ყველაზე დიდი გამართლება ჟურნალისტისთვის ისეთი „წყაროს“ მოპოვებაა, რომელიც საქმეში ჩახედულია, მაგრამ უკვე აღარ აგებს პასუხს მომხდარზე და თავისუფლად საუბრობს. როგორც წესი, ყველაზე რთულია ასეთი „წყაროების“ დათანხმება ოფიციალურად დახურულ სამხედრო სფეროში.

მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი დაიწყო, მაგრამ მომხდარის შესახებ დეტალების მოპოვება ახლაც ისეთივე რთული იყო, როგორც გამოძიების პროცესში. საუბარი არ სურთ ბრალდებულთა ახლობლებს, რომლებიც შიშობენ, რომ ამით ოჯახის წევრების სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიან.

როგორც წესი, ჟურნალისტებთან არც მთავრობასთან დაახლოებული კომპანიებისა და ფინანსური ჯგუფების წარმომადგენლები საუბრობენ. დახურული ინფორმაციაა კომერციული ტელეარხების ფინანსური შემოსავლები. საჯაროდ არავინ ადასტურებს რეალური მფლობელების კეთილგანწყობისთვის გამართულ შიდა ბრძოლას. ამ კონკურენციის და შესაძლო გამარჯვებულის შესახებ მხოლოდ ანონიმური წყაროების ცნობით და საეთერო ტენდენციებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

არ უყვართ ჟურნალისტები არც მთავრობასთან დაპირისპირებულ იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც გადარჩენის ბოლო იმედი არ დაუკარგავთ. დავა, რომელიც „ელიტ ელექტრონიქსსა“ და სახელმწიფოს შორის საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მხოლოდ რიგითი თანამშრომლების წყალობით გახდა საჯარო.

ამ სამივე შემთხვევაში – ბრალდებულთა ახლობლებისთვის, მედია მენეჯერებისთვის, ბიზნესმენებისთვის – „დახურულ“ თემებზე საუბრის ერთადერთი მოტივაცია უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის გარანტიაა. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოების აქტივობა და ამ „დახურული“ თემების მედიაში გამოჩენა.

ამაზე მიუთითებს ანა დოლიძის თვალსაზრისიც. მან სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, საქმის ბოლო დეტალის გათვალისწინებით, სამართლებრივად და პოლიტიკურად შეაფასა.

ყოველ მეორე ოთხშაბათს, როცა ახალ ნომერს ვფურცლავ, ვცდილობ, წარმოვიდგინო – რისი წაკითხვის მოლოდინი ჰქონდა ჩვენ მკითხველს და შევძელით თუ არა ამ მოლოდინის ცოტათი მაინც გამართლება. არ დაიზაროთ და მოგვწერეთ ამ კითხვაზე პასუხი.

სოფო ჭაავა,
პოლიტიკისა და საერთაშორისო ამბების
განყოფილების რედაქტორი
sofia.chaava@liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / კონფლიქტები და ჟურნალისტური გამოძიება **სოფო ბუკია** / კავკასია **მარგარიტა ახვლედიანი** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.

ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (877) 78 78 05
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

სასამართლო რეფორმა

სტატიიდან ჩანს, რომ ავტორს დასაზუსტებელი აქვს რამდენიმე მოსაზრება, კერძოდ, ფრაზა – „კონტინენტური, ანუ ევროპული სამართალწარმოებიდან პრეცედენტულ, ანუ შეჯიბრებით სამართალზე გადავდივართ, რაც იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, თინა ბურჯალიანის თქმით, „არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაშიც კი ნოვაციაა“ – არასწორია, რადგანაც შეჯიბრებითობის პრინციპი სასამართლო სამართალწარმოების უნივერსალური პრინციპია როგორც კონტინენტურ, ასევე პრეცედენტულ სამართალში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სხვ.). პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი კანონთა მოსამართლისეული ინტერპრეტაციის და მისი სამართლებრივი შედეგის: განაჩენის (სისხლის სამართალში) და გადაწყვეტილების (სამოქალაქო სამართალში) პრეცედენტად აღიარებაა სხვა მოსამართლეების მიერ (როგორც აწმყოში, ასევე შემდგომში). სტატიაში ნახსენები არაა, რომ პრეცედენტული სამართლის პრინციპების ერთგვარი ცდა ქართულ სასამართლო სისტემაში განხორციელდა უზენაესი სასამართლოს მიერ ერთგვარი „გზამკვლევების“ გამოცემით სამოქალაქო და სისხლის სამართალში, სადაც სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების სამართლებრივი ასპექტებია წარმოჩენილი. ავტორს თუ მაინც სურდა, პრეცედენტული სამართალი და ნოვაციის ცნება დაეკავშირებინა ერთმანეთთან, ამ კონტექსტში სწორედ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უნდა ეხსენებინა, რომელსაც დიდ ბრიტანეთში არსებობის დიდი ისტორია აქვს (დაახლოებით მე-13 საუკუნიდან). რაც შეეხება საქართველოში, კერძოდ, თბილისში მის ამოქმედებას გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში, დრო გვაჩვენებს შედეგიანი იქნება თუ არა ის. დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ამ ინსტიტუტმა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ბევრი რამ გააკეთა და მთავრობას არ მისცა უფლება, ისე მოქცეულიყო, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში იქცეოდნენ ფრანგი მეფეები ან გერმანიაში ასობით მეფუკა. ამ კუთხით ინგლისი გამორჩეული იყო. ვოლტერის აღფრთოვანება პოლიტიკური თავისუფლებების კუთხით ინგლისის გამორჩეულმა უპირატესობამ გამოიწვია, თუმც უკან დაბრუნებულს ბასტილია არ აცდა. რაც შეეხება ქართული სასამართლო სისტემის რეფორმას, ერთი მაგალითი არსებობს: თურქეთში ათათურქის დროს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი გადმოწერეს, მაგრამ ვერ იმუშავა... ცნობილი გამოთქმაა, „მთავარი ის კი არ არის რა კანონები გვაქვს (ბევრი რამ არის დასახვეწი), არამედ როგორ მუშაობენ ისინი“... ცნობილმა სასამართლო პროცესებმა, სადაც ყველაზე მეტად ელოდა საზოგადოება სამართალს, აჩვენა, რომ სასამართლო ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლას გაუძლოს: მოსამართლეთა კორპუსი ჩვენთან იმდენად დაშინებული და საზოგადოებისგან იზოლირებულია, რომ არავინაა, ვისაც დაეყრდნობა სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში. ამიტომაც ცდილობენ მოსამართლეები, ბალანსი შეინარჩუნონ და პოლიტიკური თამაში წარმართონ: ვინც ძლიერია იმათ მიემხრონ... სამწუხაროა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე ასე აღარ იქნება...

ლაშა, თბილისი
სექტემბერი 3, 2009
www.liberali.ge

არველაძის იმედი

„რამდენიმე ახალგაზრდას“ შორის, მეც ვიყავი გასაუბრებაზე გიორგი არველაძესთან და აბსოლუტურად არ ვეთანხმები სტატიის ბოლო ნაწილის პათოსს. „პათოსს“ – იმიტომ, რომ საუბრისას ბევრ სხვა თემასაც შევეხეთ; მაგალითად იმას, თუ ჩვენი, ახალგაზრდების აზრით, რა ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ საინფორმაციო გამოშვება გახდეს უფრო საინტერესო, უფრო სანახაობრივი და უფრო მიახლოებული თანამედროვე დასავლურ სტანდარტებს. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რატომ არის საინფორმაციო გამოშვებების რეიტინგი დაბალი და რატომ არ ენდობა მას ხალხი. გარდა ამისა, ზოგადად, „იმედის“ მაუწყებლობის რეორგანიზაციის ჩვენეული ხედვებიც განვიხილეთ. ზოგმა საკუთარი მედია პროექტი წარმოადგინა, ზოგმა უბრალოდ – იდეა. მოკლედ, ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ და ბევრი საინტერესო პრობლემა განვიხილეთ, ისევე, როგორც – რელიგია და ომი. თუმცა, სტატიაში ყურადღება მხოლოდ ამ ორ უკანასკნელ თემაზე გამახვილდა.

გიორგი, თბილისი
აგვისტო 16, 2009
www.liberali.ge

სტალინი მუზეუმში

ჩემი აზრით, საქართველოში ძეგლებისადმი დამოკიდებულება XIX საუკუნის ევროპულ ან საბჭოურ იდოლატრიის პარადიგმას იმეორებს: ძეგლები, – ძველებიც და ახლებიც, თაყვანისცემის ცოცხალი ობიექტებია. მათი დამხობა ან ახლების აღმართვა სრული სერიოზულობით დიდ საქმის კეთებად აღიქმება. ეს კი, საბოლოო ჯამში, ისევ ძეგლთთაყვანისმცემლობის გამყარებას ემსახურება.

გიორგი მაისურაძე, ბერლინი
Facebook

ყველაფერში ვეთანხმები ლაშა ბაქრაძეს. სტალინი საქართველოში იმპერიალისტს კი არა, ეროვნულ სიამაყეს ნიშნავს, და ამაშია მთავარი პრობლემა. ისტორიის – ძველის თუ ახლის – გააზრება რომ არ ვიცით, და ზღაპრები და მითები რომ გვიყვარს, ესეც ვიცით. ამას ძეგლების აქეთ-იქით ტარება ნამდვილად ვერ უშველის. მაგრამ ის ძეგლი მაინც აუცილებლად მოსაშორებელია. რა ვქნა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეც „სწორხაზოვან-სიმბოლური“ ნაბიჯების მომხრე გამოვდივარ – თანაც გულანთებული მომხრე.

სალომე ასათიანი, პრაღა
Facebook

გამოგვიგზავნეთ წერილები ჩვენს ვებ-საიტზე www.liberali.ge,
ან რედაქტორის ელექტრონულ ფოსტაზე:
shorena.shaverdashvili@liberali.ge

www.liberali.ge

ფოტო: თეგი ბარიძეშვილი

ქიბარ ხალვაშის ქონება ნაწილდება

ქიბარ ხალვაშის კუთვნილი კომპანიების ქონებაზე გამოცხადებული აუქციონის რვაჯერ ჩაშლის შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, კომპანიებიდან „არტი“ და „პრიზა“ ქონება გაიტანეს. ამ ინფორმაციას ქიბარ ხალვაშის ადვოკატები დიმიტრი გაბუნია და პაატა სალია ავრცელებენ. დიმიტრი გაბუნიას თქმით, გატანილია დაახლოებით 5-6 მილიონი ლარის ღირებულების ავტოტრანსპორტი.

„ეს არ არის მხოლოდ მსუბუქი მანქანები, საუბარია დიდი ოდენობით სამშენებლო ტექნიკაზე. მათი უმრავლესობა საკმაოდ ძვირად ღირებულია – ე.წ. ბეტონის მიქსერები, ექსკავატორები, ტრაქტორები. ვინ რამდენი წაიყვანა, სად და რისთვის, ჩვენთვის დღემდე გაუგებარია. ტერიტორიაზე არ გვიშვებენ, თუმცა, ვიცით, რომ მანქანების 99 პროცენტი ადგილზე აღარ არის“, – აცხადებს გაბუნია.

ადვოკატების ინფორმაციით, მანქანების ნაწილი სხვადასხვა სამხარეო ადმინისტრაციამ წაიყვანა.

ამ ფაქტს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ადასტურებენ, თუმცა არ განმარტავენ, რის საფუძველზე გადაეცათ მათ ეს ქონება.

დუშეთის რაიონის გამგებლის ზურა ოტიაშვილის თქმით, მათ ორი მანქანა ერგოთ, თუმცა რის საფუძველზე, ვერ ამბობს. „ჩვენ მუნიციპალიტეტს ამ კომპანიებიდან ორი მანქანა გადმოეცა. ერთი „ვაზ-2105“ მარკისაა და მეორეს მარკა არ ვიცი“, – აცხადებს ის. ასევე ორი მანქანა გადაეცა თიანეთის რაიონსაც – ერთი „ვაზ-2107“ მარკის, მეორე კი – სატვირთო. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი აბაშვილის თქმით, მათ ავტომობილები შესანახად მისცეს. ყაზბეგის გამგებელი გოჩა მალანია აცხადებს, რომ ორ ავტომობილს მათაც დაჰპირდნენ, თუმცა ჯერ არ მიუღიათ. ხალვაშის კომპანიების კუთვნილი ავტომობილების გადაცემის ფაქტს მცხეთის გამგებელი თემურ აბაშიძე უარყოფს.

კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და გურიის სამხარეო ადმინისტრაციებშიც აცხადებენ, რომ არც სამხარეო ადმინისტრაციებს და არც მათი რეგიონების მუნიციპალიტეტებს „არტისა“ და „პრიზას“ კუთვნილი ავტოტრანსპორტი არ მიუღიათ.

ადვოკატები ავტოტრანსპორტის გაყვანის ფაქტს „სხვისი ქონების ხელყოფის“ კვალიფიკაციას აძლევენ და პროკურატურასა და სასამართლოს მიმართეს.

„სახელმწიფოს აუქციონების ჩაშლის შემდეგ უნდა გამოეცა აქტი, გადაეფორმებინა ქონება საპატრულო პოლიციაში და ამის შემდეგ გახდებოდა ის სახელმწიფო საკუთრება. ჩვენ ამ ფაქტს სტრასბურგის ევროსასამართლოში დამატებითი მტკიცებულების წარსადგენადაც გამოვიყენებთ“, – აცხადებს დიმიტრი გაბუნია.

„პრიზასა“ და „არტიში“ ინვესტიციები თურქ ბიზნესმენებსაც აქვთ ჩადებული. ხალვაშის ადვოკატების თქმით, თურქი პარტნიორები, ინვესტიციების დაცვისა და ზარალის ანაზღაურების მიზნით, შესაბამის ორგანოებს აუცილებლად მიმართავენ.

ხალვაშის ადვოკატებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურასა და სასამართლოს უკვე მიმართეს.

მიწისძვრა საქართველოში

საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა ყველაზე მეტად იმერეთსა და რაჭაში იგრძნეს. სტიქიამ ონი და ონის რაიონი დააზარალა. სხვადასხვა ხარისხით დაზიანდა 1300 სახლი, 418 ოჯახი კი საცხოვრებლის გარეშეა დარჩენილი. ეს სახლები ან დაინგრა ან ისე დაზიანდა, რომ აღდგენას არ ექვემდებარება.

მთავრობის ინფორმაციით, დაზარალებულთათვის დასახმარებლად ბიუჯეტიდან თანხა უახლოეს მომავალში გამოიყოფა, თუმცა ზუსტი რაოდენობა ჯერ არ დასახელებულა.

გაერო-მ რაჭის მოსახლეობას კარვები, საბნები და სხვა პირველადი მოხმარების საგნები გადასცა.

სეისმოლოგების ცნობით, 8 სექტემბერს 02.43 საათზე, რიხტერის სკალით, 6-ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა. ეპიცენტრი ონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10-15 კილომეტრში იყო. ბიძგები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე იგრძნობოდა, მათ შორის ცხინვალის რეგიონში. რყევები სომხეთის ზოგიერთ რაიონშიც იგრძნეს. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სტიქიით ჯავის რაიონიც დაზარალდა. მიწისძვრა 9 სექტემბერსაც განმეორდა, ეპიცენტრი ამჯერადაც ონის რაიონში დაფიქსირდა.

სომხეთი და ვენესუელა საქართველოს წინააღმდეგ

როდესაც გაერო-ს გენერალური ასამბლეის 63-ე სესიამ ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია „აფხაზეთიდან (საქართველო) და ცხინვალის რეგიონიდან (საქართველო) ადგილნაცვალი პირებისა და ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ“, ვენესუელამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ეს განცხადება ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა მოსკოვში ვიზიტის დროს გააკეთა.

რუსეთის მცდელობამ გაერო-ში რეზოლუციის მიღება ვერ ჩაშალა და მას მხარი 48 ქვეყანამ დაუჭირა, 19 წინააღმდეგი იყო, 78-მა კი თავი შეიკავა. მონინააღმდეგეთა შორის რუსეთსა და ვენესუელასთან ერთად მეზობელი სომხეთიც აღმოჩნდა.

მიღებული რეზოლუცია აღიარებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა, ასევე მათი შთამომავლების დაბრუნების უფლებას თავიანთ სახლებში. რეზოლუცია ასევე ხაზს უსვამს ამ რეგიონებში „ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებისთვის შეუფერხებელი შესვლის უკიდურეს საჭიროებას“.

ამჟამად საქართველოში 293 048-ზე მეტი დევნილი ცხოვრობს, მათგან 245 363 აფხაზეთიდანაა.

რიცხვები

16,500 ლარი – ეროვნული გამოცდების ცენტრის 2008 წლის ბიუჯეტიდან “ვაკის საცურაო აუზსა და ფიტნეს ცენტრში“ დაიხარჯა. ეს მონაცემი კონტროლის პალატამ წლიურ ანგარიშში წარადგინა.

3,5 წელი გაატარეს პატიმრობაში სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებმა.

24 წლიანი პატიმრობა უზენაესმა სასამართლომ თურქული ტანკერის კაპიტან მეჰმედ ჰოშკუნ ოზთურქს 30-ათასლარიანი ჯარიმითა და სამწლიანი პირობითი სასჯელით შეუცვალა.

500 მილიონ დოლარად ვენესუელა რუსეთისგან 100 ტანკს იყიდის.

13 მილიარდი დოლარი – საქართველოს საგარეო ვალდებულება 2009 წლის პირველი კვარტლის ბოლოს.

6000 ჩანაწერით გაიზარდა საბანკო „შავი სია“ – „კრედიტ ინფო“ აგვისტოს თვეში.

ციტატები

ილუსტრაცია მგზავრ ფალიცელაშვილი

„ადრე „ზაპოროჟეცში“ ვისხედით, მერე გავატარეთ რეფორმები და გადავჯექით „ვოლგაში“, შემდეგ „ოპელში“, ახლა კი, გვაქვს შანსი გადავჯდეთ „მერსედესის“ კაბრიოლეტში“.

მიხეილ სააკაშვილი

9 სექტემბერი, 2009 წელი. თელავი

„საქართველოში სომხური ენის რეგიონალურად აღიარება, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რეგისტრაციის უზრუნველყოფა (საქართველოში) და საქართველოში არსებული სომხური ისტორიული ძეგლების დაცვა მხოლოდ ხელს შეუწყობს საქართველო-სომხეთის მეგობრობის გაძლიერებას და ურთიერთნდობის ატმოსფეროს გაღრმავებას“.

სერჟ სარგსიანი, სომხეთის პრეზიდენტი

1 სექტემბერი, სომეხ დიპლომატებთან შეხვედრა, ერევანი

„ჩვენ (პუტინი და მედვედევი) ერთი პოლიტიკური ხედვა გვაქვს... 2012 წელს ჩვენ ერთად ვიფიქრებთ და გავითვალისწინებთ რეალობას, პირად გეგმებსა და პოლიტიკურ ვითარებას და მივიღებთ გადაწყვეტილებას“.

ვლადიმირ პუტინი

11 სექტემბერი, სადისკუსიო კლუბი „ვალდაი“

„იარაღი სახიფათოა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება იარაღის გარეშე, მაგრამ ისე, რომ საფრთხის წინაშე არ დადგეს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი“.

კირილი – რუსეთის პატრიარქი

9 სექტემბერი, საროვი

ბაგრატის

მომხრე
ქეთევან აბაშიძე-დადიანისა
ხელოვნებათმცოდნე, საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი

ბაგრატი ქართული საეკლესიო კულტურის ძეგლია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშია შექმნილი და მის კუთვნილებას წარმოადგენს. ქართული ეკლესია დღესაც ცოცხალია და, ცხადია, მას თავისი მსახურების წარსამართად ნაგებობა, ტაძარი ესაჭიროება.

სუროებშემოხვეული ნანგრევები ძალიან ლამაზია, მაგრამ ცარიელ, უფუნქციო კედლებს ვერ შევინახავთ – დაინგრევა. იმისთვის რომ გადარჩეს, ნებისმიერი ნაგებობა კონსტრუქციულად უნდა შეიკრას. თუ ჩვენ, ვთქვათ, სახლი დაგვენგრა, ნანგრევებს ხომ არ შევინახავთ? მასში ხომ ვეღარ ვიცხოვრებთ?! ასევე ცოცხალ ეკლესიასაც სჭირდება თავისი გადახურული, მთელი ნაგებობა, რათა ღვთისმსახურება წარიმართოს. იგი ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს (უხილავისა და ხილულის ერთობის), ღვთის სახლის ნიშნობრივ-პირობით (სიმბოლურ) ხატს წარმოადგენს დედამიწაზე და იმისთვისაა შექმნილი, რომ მის წიაღში ვეზიაროთ უფალს. მისი კედლები, რელიეფი, ნებისმიერი არქიტექტურული თუ მხატვრული დეტალი, თუკი ჩვენ ეს ენა ვიცით, მეტყველებს. ვთქვათ ასე, გუმბათი ზეცის სიმბოლოა, კედლების ვერტიკალური მიმართება – მიწიდან ზეცისკენ აღმართული ლოცვაა...

ხელოვნებათმცოდნეებს მოგვწონს სიძველეები, მეც მომწონს, მაგრამ მე ეკლესიის წევრი ვარ და ვაღიარებ, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა აუცილებელია მასში ღვთისმსახურების წარსამართად.

ბერძნული პართენონი მკვდარი რელიგიის ნაწილია, იქ მსახურება აღარ მიმდინარეობს, თუმცა დღეს თვით პართენონის გადახურვაზეც მიდის საუბარი, რადგან ნანგრევების შენახვა ძნელია. კონსერვაცია მუდმივ ყურადღებასა და მოვლას მოითხოვს.

როგორც ვიცით, ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკლესიები, განურჩევლად დიდიც და მცირეც, მნიშვნელოვანიც და არამნიშვნელოვანიც, აღადგინეს, რადგან მათი რელიგიაც „ცოცხალია“ და მორწმუნე მრევლი ჰყავთ.

ნებისმიერი ტაძრის აღდგენა შესაძლებელია, თუკი ვიცით, როგორი იყო, რა ზომის, თუკი გვაქვს მონაცემები მისი აღდგენისთვის. სწორედ ამიტომ, ძეგლთა დაცვის სამინისტროს რესტავრატორებმა აღადგინეს ძლიერ დანგრეული ეკლესიები წირქოლის, წრომის, სამწევრისის და სხვა კიდევ მრავალი... შარშან იუნესკოს წარმომადგენელმა გვითხრა (მათთან ერთად ვიყავით მცხეთაში), რომ იუნესკო-ს კანონთა თანახმად, ეკლესიის აღდგენა მის მფლობელ-მეპატრონესთან შეთანხმებით და მისი მოთხოვნების გათვალისწინებით ხდება. ამიტომაც, სახელმწიფომ და ეკლესიამ ტაძრები ერთად და ურთიერთშეთანხმებით უნდა აღადგინონ.

ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე საუბარი ეკლესიის მხრიდან, უშუალოდ პატრიარქის თხოვნით ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო. იმხანად, რადგან არ არსებობდა მეცნიერულად დასაბუთებული კვლევები და პროექტი, არ იყო ყველა მონაცემი ტაძრის ხუროთმოძღვრული სხეულის აღსადგენად, არ განხორციელებულა.

დღეს მიმდინარეობს ტაძრის მეთოდოლოგიური კვლევა-შესწავლა. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა მრავალი დეტალი, რაც ყველა საორჭოფო, საეჭვო არქიტექტურული კვანძის დაზუსტების და სატაძრო ნაგებობის სხეულის სრულყოფილად აღდგენის საშუალებას იძლევა. ადრე არ არსებობდა გუმბათის აღდგენის შესაძლებლობა, უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად კი ნაპოვნია გუმბათის ნაწილები, რომელთა მიხედვით გუმბათი აღდგენადია. დაზუსტებულია გუმბათის სარკმელთა რაოდენობა – 16, აგრეთვე მათი სიგანე და სიმაღლე... დეტალი არ დაგვრჩა, რომელიც ჰიპოთეზის დონეზეა. ამჯერად, ამ ეტაპზე კულტურის სამინისტროში წარმოდგენილი პროექტი სრულიად დამაჯერებელი იყო. ავტორებს პროექტი ჯერ საეკლესიო ხელოვნების საბჭოზე არ წარმოუდგენიათ და ამიტომ, დაწვრილებით არ შემისწავლია, მაგრამ მოვისმინე დიდი გამოცდილების მქონე ექსპერტების გია მარსაგიშვილის და გიორგი ჭანიშვილის დასკვნა. მათ თქვეს, რომ პროექტში თვით მცირე დეტალებიც კი კარგადაა გათვლილი.

ავთენტურობა ნამდვილად არ ირღვევა. შარშან, იუნესკო-ს წარმომადგენელმა ბაგრატზე მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ გვითხრა, რომ არავითარი დარღვევა არ უნახავს; პირიქით, მან დადებითად შეაფასა სამხრეთის კარიბჭის ადრეული რესტავრაცია. იუნესკო-ს კანონებით, თუ ძველი ქვები იძლევა ყველა საკვანძო ადგილის აღდგენის საშუალებას და თავის თავდაპირველ ადგილებს უბრუნდება, ამ შემთხვევაში ნაგებობის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია გამართლებულია; მაშინაც კი, როდესაც ძველ ქვათა რიცხობრივი რაოდენობა დიდი არაა, და ახლის გამოთლის საჭიროება ჩნდება. მისი განმარტებით, ამ დროს ძეგლის ავთენტურობა დაცულია და იუნესკო-ს წესებს ეს არ ცდება.

როგორც ვიცი, ამჯერად ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ძველი, ტრადიციული მეთოდით, თლილი ქვის კვადრებითა და კირ-დუღაბის გამოყენებით არის განსაზღვრული, რკინა-ბეტონის გარეშე. ეს თავიდანვე იყო საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს საგანგებო მოთხოვნა.

ფოტო: ეთერ ბარამიძე/ბლ

აღდგენა

მოწინააღმდეგე
ნესტან თათარაშვილი
არქიტექტორ-რესტავრატორი

ეკლესიის სურვილი – ბაგრატის ტაძრისთვის გუმბათის დადგმა და მისი სრული აღდგენა, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს რესტავრატორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით მიმდინარე მრავალწლიანი სამუშაოების დროს გამოიკვეთა. ბატონ ვახტანგის შეხედულებით, იმ დროს ეს დაუშვებელი იყო საკმარისი მასალების არარსებობის გამო.

ის აზრი, რომ გუმბათის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბაგრატის დაცვა – მაშინაც და დღესაც საფუძველს მოკლებულია. მხოლოდ ნანგრევის სახით შემორჩენილი არქიტექტურული მემკვიდრეობა მსოფლიოში დღეს უამრავია, მათ შორის იუნესკო-ს ნუსხის სტატუსის მქონეც, თუმცა არავინ ფიქრობს მათ დასრულებას ან „გადახურვას“ სამომავლოდ დაცვის მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტმა სატელევიზიო გამოსვლისას ჩვეული კატეგორიულობით გვაცნობა, რომ ბაგრატის ტაძარს გუმბათი მისი პრეზიდენტობის ვადაში უნდა დაედგას. ეს არის კონკრეტული პოლიტიკური დაკვეთა, რომელიც ამჯერად სრულ ჰარმონიაშია ეკლესიის სურვილთან. ეკლესიას ტაძრის აღდგენა ტრადიციული მეთოდით სურს, ვადებს კი პრეზიდენტი ადგენს; ამიტომ, დროის სიმცირიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გუმბათის დადგმამდე ტაძარი ტრადიციულად – ხელით კვეთილი საპირე ქვებით და კირის დუღაბით გამაგრდეს.

საბჭოთა დროს აღდგა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, წრომის ტაძრის გუმბათი, რასაც კვლევა-ძიებისა და შესწავლის მრავალი წელი და ბევრი ფაქტობრივი მასალა დასჭირდა. იმისათვის, რომ როგორც მეცნიერულად, ასევე ვიზუალურად მომხდარიყო განსახორციელებული იდეის სრულყოფილი დასაბუთება, ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე ტაძარს რამდენიმე წელი ხელოვნური მასალით გაკეთებული ნატურალური ზომის გუმბათის მაკეტი ედგა.

ის, რაც ახლა ბაგრატზე ხდება, დიდი ხანია, ბევრ ქვეყანაში მცდარ გამოცდილებად და არქიტექტურული ძეგლის აუთენტურობის შემლახველ ქმედებად არის მიჩნეული. შენდება სრულიად არატრადიციული, რკინა-ბეტონის შენობა, რომელიც ალბათ გარედან ქვის დახერხილი ფილებით მოპირკეთდება, ანუ იგება ისე, როგორც დღეს საქართველოში თითქმის ყველა ახალი ეკლესია. რთული მისახვედრია, როგორ ბაგრატს მივიღებთ ასეთი მიდგომით? განა საკმარისი არ არის უკვე აშენებული ასეთი უსახური თანამედროვე ეკლესია-მონასტრები, მათ შორის გრანდიოზული – თბილისის სამება?

ბევრ ჩემ თანამოაზრე კოლეგას, თავად მეც, უამრავი კანონდარღვევის მამხილებელი დოკუმენტაცია გვაქვს გაგზავნილი ძეგლთა დაცვის სამმართველოში, კულტურის სამინისტროსა და სხვა სამთავრობო დაწესებულებებში; 2004 წელს კი, როგორც რესპუბლიკის მთავარი არქმშენინსპექციის უფროსს – მშენებლობებზე მიმდინარე კანონდარღვევებზე თავად მაქვს შედგენილი ათობით ადმინისტრაციული აქტი და სასამართლოსთვის გადაცემული, მაგრამ უშედეგოდ. ეს საქმეები საერთოდ არ განუხილავთ, რადგან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კანონდამრღვევთა სიაში თავად სახელმწიფო სტრუქტურები და მათთან დაახლოებული მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეები უნდა იყვნენ. სამშენებლო-მაკონტროლებელი სფერო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მთლიანად პირველ პოლიტიკურ პირებსა და მათ პირად სურვილებს დაექვემდებარა. რაც შეეხება სარესტავრაციო დარგს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მისი „მეთაური“ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გახდა. ის, ჯერ როგორც კულტურის მინისტრის მოადგილე, შემდეგ მინისტრი, ახლა კი „ძეგლთა სააგენტოს“ უფროსი – დღემდე თავდადებით ასრულებს ყოველ პოლიტიკურ შეკვეთასა თუ მოთხოვნას, ხშირად ძეგლთა დაზიანებისა და ხანდახან მათი განადგურების ხარჯზე, იმ მოტივით, რომ ეს პოლიტიკური დაკვეთაა და განხილვას არ ექვემდებარება. ასე მოხდა სამშენებლო და სარესტავრაციო დარგების სრული პოლიტიზირება, სწორედ ამის შედეგია ურბანული კატასტროფის რეალური საფრთხე და თბილისის, სიღნაღის, ბათუმის, ქუთაისისა თუ მცხეთის „რესტავრაცია“, აგრეთვე ბაგრატის „ევრორემონტი“.

ჩემი აზრით, მომავალში არა მარტო ბაგრატი, არამედ ბედია, კუმურდო და საქართველოს ყველა გუმბათდანგრეული ეკლესია იქნება დახურული. მანამდე ამომწურავი კვლევა, ძიება და ხანგრძლივი შრომაა საჭირო. საჩქარო მხოლოდ რესტავრაციის დარგის პოლიტიკური, თუ ეკლესიური არტახებისგან განთავისუფლებაა.

ილუსტრაცია ბრალდებულთა მასობრივი მსმენელებისთვის

შენიღბული პროცესი

მუხროვანის ამბოხში ბრალდებული 41 პირის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. ბრალდებულების უმრავლესობა სამართლიან განაჩენზე მეტად საპროცესო გარიგებას ელის.

ნინო ჟიჟილაშვილი

საქალაქო სასამართლოს დიდ დარბაზში ხალხი არ ეტევა. ბრალდებულები შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მიჯრით სხედან და მოძრაობის საშუალება არ აქვთ. მუხროვანის ამბოხში ბრალდებული 41 პირის პროცესზე პროკურორებთან, ადვოკატებთან და ბრალდებულთა ახლობლებთან ერთად დარბაზში შეიარაღებული ნიღბიანი სპეცრაზმელებიც დგანან.

41 ბრალდებულიდან ერთ-ერთი ცალკე, ადვოკატების რიგში ზის. სპეცდანიშნულების რაზმ „დელტას“ ყოფილი ხელმძღვანელი, გია ღვალაძე გამოძიებისთვის ფასდაუდებელ ინფორმაციას ფლობს და დანარჩენებისგან იზოლირება მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოხდა. პროცესზე ამბოხის დანარჩენ ორგანიზატორებს, სავარაუდოდ, სწორედ ის დაადებს ხელს.

ღვალაძის გარდა, ამბოხის მთავარ ორგანიზატორებად გამოძიება კიდევ რამდენიმე პირს მიიჩნევს. მათგან ერთი – გია კრიალაშვილი შსს-ს სპეცოპერაციის დროს მოკლეს. ამ სპეცოპერაციის დროს პოლიციამ ოფიცრები კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე დააკავა. ამავე საქმის გამო დაიჭირეს კობა კობალაძე – გადამდგარი გენერალი, რომელიც ამბოხის დღეს „რუსთავი 2“-ის ჩართული კამერის წინ – ინტერვიუს დაწყებამდე აიყვანეს. პროცესზე სპეცრაზმელების განსაკუთრებული მეთვალყურეობა სწორედ ამ სამი პირის მიმართ იგრძნობა.

სასამართლომდე

ამბოხებაში ეჭვმიტანილი გაქცეული გენერლის კობა ოთანაძის დაპატიმრებამდე პოლიციამ სხვადასხვა დროს მისი 14 ნათესავი დააკავა, მათ შორის – 8 თვის ბავშვი. პოლიციამ ამ დაკავებების უმრავლესობა საიდუმლოდ აქცია. დაკავებულები საგამოძიებო ორგანოებს განსაკუთრებული ფიზიკური და მორალური ზეწოლის შემდეგ ტოვებდნენ. ერთი დღე-ღამის განმავლობაში უგზო-უკვლოდ გამქრალი ოთანაძის ერთ-ერთი ძმის, ჯიმშერ ოთანაძის ოჯახის დაკავებისა და დაკითხვის ფაქტი პოლიციამ მოგვიანებით აღიარა, თუმცა ახსნა-განმარტების დაწერაზე ძმის ოჯახმა სახალხო დამცველს უარი უთხრა.

ომბუდსმენის დოკუმენტებში ფიგურირებს მხოლოდ მანამდე დაკავებული კიდევ ერთი ძმის – ნუგზარ ოთანაძის მონათხრობი, საიდანაც ირკვევა, რომ ეჭვმიტანილის ძმას „მოდულის“ შენობაში დაკითხვისას რეზინის და პლასტმასის ხელკეტებით სცემეს, პერიოდულად კი თავს წყალში აყოფინებდნენ. ამბოხის ორგანიზება ამ დრომდე არც კობა ოთანაძეს უღიარებია და არც ლევან ამირიძეს. ისინი ინციდენტიდან 3 კვირის თავზე დააკავეს. თავად ოთანაძე იმის მოყოლას, რომ ისინი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, პირდაპირ ჩაცხრილეს, სოზარ სუბარისთვის საავადმყოფოშივე ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო. სახალხო დამცველი იხსენებს, რომ ღუდუშაურის კლინიკაში დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად შესულს, ოთანაძის პალატაში სოდის თანამშრომელები შეუვარდნენ და დაჭრილ ეჭვმიტანილთან მარტო არ დატოვეს. „თითქმის ფიზიკურად შემეხნენ, მაგრამ ვერ გამაძევეს პალატიდან და დარჩნენ... დაჭრილმა დაიწყო მოყოლა, მაგრამ მე გავაჩერე. შეიძლებოდა, ის რასაც მეტყოდა, ყველაფერი მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ'', – ჰყვება სოზარ სუბარი.

სახალხო დამცველი ირწმუნება, რომ ეჭვმიტანილთა ნაწილს იზოლატორებში სცემეს, ნაწილს – დაკავებისას. პატიმარი ნიკოლოზ ბიბილაშვილი ჰყვება, რომ 13-საათიანი დაკითხვის განმავლობაში მას სასტიკად სცემდენენ, პატიმრებს აკაკი აფციაურს და სანდრო ვეშაგურს კი ფიზიკურად დაპატიმრების მომენტშიც გაუსწორდნენ და დაკითხვისასაც. სახალხო დამცველის ოფისში შენახული ოქმების მიხედვით, აფციაურს ჩვენების მიცემისას დაზიანებული ჰქონდა სახისა და ზურგის არე, ჩამტვრეული ჰქონდა კბილები, ბიბილაშვილს კი თვალზე ჰემატომა ჰქონდა, ასევე – დაზიანებები წელისა და თავის არეში.

თუმცა წერილობითი ახსნა-განმარტებები მომხდარის მხოლოდ ნაწილს აღწერს. სუბარი განმარტავს, რომ დაპატიმრებულთა უმეტესობამ უარი თქვა მის ოფისთან თანამშრომლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანს ერთი შეხედვითაც ეტყობოდა ფიზიკური ზეწოლის კვალი.

„რუსული კვალი“

„რას ამბობენ, რა გვინდოდაო?“ – ჰკითხა პრეზიდენტმა შს მინისტრს ტელეკამერასთან უკვე აღკვეთილი ამბოხის ტერიტორიის მონახულებისას. მინისტრ მერაბიშვილის პატაკი ასეთი იყო: „ბ-ნო პრეზიდენტო, ... ნათლად ჩანს, რომ ამ ხალხს ჰქონდა უფრო შორს მიმავალი მიზნები, როგორიცაა რუსების მოწვევა, თუ სხვა. დაკავებულია რამდენიმე პირი, რომელიც შემჩნეულია რუსეთთან კავშირში“. შსს-ს ანალიტიკური სამსახურის უფროსი შოთა უტიაშვილი მაშინ აცხადებდა, რომ „ამბოხებულთა ერთ ნაწილს ჰქონდა პირდაპირი კავშირი რუსეთთან, იღებდა მათგან დავალებებს, იღებდა მათგან ფულს“. შსს-ს შიდა მოხმარების ინფორმაციაში ისიც კი ეწერა, რომ „არსებული ინფორმაციით ხსენებული გეგმის ფინანსური განხორციელება ალექსანდრე ებრალიძის (რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის) დახმარებით უნდა მომხდარიყო“. თავდაცვის მინისტრი, დავით სიხარულიძე ამბობდა, რომ ამბოხის მოტივაცია ნატო-ს დაგეგმილი წვრთნების ჩაშლა და საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდება იყო, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ ამბოხებულებს არანაირი მოთხოვნა არ ჰქონდათ.

სატელევიზიო მიმართვაში ხაზი რუსულ ინტერესს მიხეილ სააკაშვილმაც გაუსვა. „მათი კავშირი ერთ-ერთი ქვეყნის სპეცაგენტურასთან ჩვენთვის, დიდი ხანია, ცნობილია... ჩვენ ამას განვიხილავთ სერიოზულ აქტად, საფრთხედ“. თუმცა, რუსული ინტერესის თემა რამდენიმე დღეში გაქრა. 11 მაისს რუსულ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტის ალექსანდრ ვენედიქტოვის კითხვაზე, მართლაც იკვეთებოდა თუ არა „რუსული კვალი“ მუხროვანის საქმეში, სააკაშვილმა უპასუხა: „მე არასოდეს ვამბობდი, რომ კონკრეტულად არის ზუსტი ინფორმაცია. თუმცა, გვაქვს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ისინი ამბობენ, რომ რუსეთის დახმარების იმედი აქვთ“. „ლიბერალის“ შეკითხვას, სად დაიკარგა „რუსული კვალი“, პროკურატურა უპასუხოდ ტოვებს.

5 მაისი

ამბოხის შესახებ ინფორმაცია დილით გავრცელდა. დღის მეორე ნახევარში ის უკვე აღკვეთილი იყო. მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამბოხის მონაწილე ოფიცერთა ვიდეოაღიარებები გაავრცელა. ოფიცრები ადასტურებდნენ, რომ დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს, თუმცა არც ერთ მათგანს ამბოხების მიზეზი, ან მიზანი არ დაუსახელებია. არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები, რომლებსაც 5 მაისს ცენტრალური მაგისტრალების გადაკეტვა ჰქონდათ დაგეგმილი, აცხადებდნენ, რომ ოფიცრების ჩვენებები ხელისუფლების ვერსიის სასარგებლოდ იყო დამონტაჟებული. „არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ე.წ. მუხროვანის ამბოხი ხელისუფლებამ მას შემდეგ გაითამაშა, რაც საჯარისო ნაწილების პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართვა და საპროტესტოდ ქუჩაში გამოსული საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენება მოინდომა“, – ნათქვამია ოპოზიციური პარტიების 2 ივნისის მიმართვაში დიპლომატიური კორპუსისადმი. მათი მტკიცებით, ოფიცრების დაუმორჩილებლობის მიზეზი სწორედ მთავრობის ეს მოთხოვნა გახდა.

უმრავლესობა. კობა ოთანაძის ადვოკატმა ნათია სირაძემ შუამდგომლობით მიმართა მოსამართლე ჯემალ კოპალიანს, რათა მეტი დრო მიეცა მისთვის 25-ტომიანი საქმის გასაცნობად. სირაძე, რომელიც ოთანაძის დაცვის საქმეში 10 დღით ადრე ჩაერთო, ამბობს, რომ საქმის ბოლო 5 ტომი მხოლოდ სასამართლო პროცესის წინა დღეს მიიღო. სირაძის შუამდგომლობას პროკურატურამ „პროცესის გაჭიანურების“ მცდელობა უწოდა. შუამდგომლობა ასევე დააყენა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა და სასამართლო პროცესის განრიგის შეცვლა ითხოვა. ადვოკატი, რომელსაც მისი ყველა კოლეგა უჭერდა მხარს, მოითხოვდა მოსმენებს შორის ინტერვალის გაზრდას – 2-3 დღიდან, სულ ცოტა, 5 დღემდე. მოსამართლემ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ადვოკატებმა ამავე პროცესზე მოსამართლის აცილება მოითხოვეს. თუმცა, მოსამართლემ იმ მოტივით, რომ ადვოკატის შუამდგომლობებზე უარის თქმა ვერ ქმნის

ეჭვმიტანილის დაპატიმრებამდე პოლიციამ მისი 14 ნათესავი დააკავა, მათ შორის – 8 თვის ბავშვი. სოზარ სუბარი ამბობს, რომ უმეტესობამ უარი თქვა სახალხო დამცველთან თანამშრომლობაზე.

მთავარი მოწმე

საქმის ცენტრალურმა ფიგურამ ჩვენება უკვე რამდენჯერმე შეცვალა. თუკი 5 მაისს გავრცელებულ ფარულ ჩანაწერში გია ღვალაძე ამბოხის ორგანიზატორებად გადამდგარ გენერლებსა და თანამდებობის პირებს – კობალაძეს, ყარყარაშვილს, ფირცხალაიშვილს, თევზაძეს, გახოკიძეს და უჩაძეს ასახელებს, მოგვიანებით გამოძიებას ეუბნება, რომ ტყუილი თქვა. ღვალაძის ბოლო ჩვენებით, ის მცხეთაში, რესტორან „არაგვში“ მხოლოდ გადამდგარ გენერალს კობალაძეს შეხვდა, რომელმაც მას ამბოხთან საკუთარი კავშირი დაუდასტურა. თუმცა შეუსაბამობა აქაც ჩანს. თავდაპირველად ღვალაძე მცხეთაში ბუნტის ორგანიზატორებთან შეხვედრის თარიღად გამოძიებას 25-27 მარტს უსახელებდა. მოგვიანებით კი, როცა დაცვის მხარემ კობალაძე დასახელებულ დღეებში უტყუარი ალიბით უზრუნველყო, ღვალაძემ ჩვენება შეცვალა და განმარტა, რომ კობალაძე რესტორანში აპრილში ნახა.

ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების გამო, კობა კობალაძის დაცვის მხარემ ბოლო სხდომაზე ღვალაძის ფსიქიური ექსპერტიზა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. არ დაკმაყოფილდა ადვოკატების მიერ პროცესზე დაყენებული შუამდგომლობის

საფუძველს მოსამართლის აცილებისთვის, მათი მოთხოვნა არ გაიზიარა.

დარბაზში ყველა ბრალდებულის ოჯახის ერთი წევრი მაინც ზის. ისინი პრესასთან არ საუბრობენ. გამოძიების მიმდინარეობისას ამბოხებაში ეჭვმიტანილებს და მათ ახლობლებს საქმის შესახებ საჯაროდ საუბარი ეკრძალებოდათ. მას შემდეგ, რაც საქმე სასამართლოს გადაეცა, მათ ეს აკრძალვა მოეხსნათ. თუმცა, იმის მოლოდინი, რომ მათგან ამბოხების სამთავრობო ვერსიის საპირწონე ინფორმაცია გავრცელდებოდა, არ გამართლდა. ბრალდებულთა უმრავლესობა საპროცესო გარიგებას ელის, მათი ოჯახის წევრებს კი, სიმართლის დადგენაზე მეტად, ამ გარიგების გართულებების გარეშე გაფორმება აინტერესებთ. ბრალის აღიარებაზე უარს 10-მდე ეჭვმიტანილი ამბობს. მათ განაჩენს სასამართლო, სავარაუდოდ, თებერვალში გამოუტანს. ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მეუღლე მათ შორისაა, ვინც აღიარებით ჩვენებას არ წერს, ამბობს, რომ მეუღლის უდანაშაულობაში დარწმუნებულია, მისი არჩევანის სისწორეში – არა: „სხვებს გაუშვებენ, ეს კი დარჩება. იქნებ ჯობდეს, რომ თქვას ის, რაც არ გაუკეთებია და ოჯახში დაბრუნდეს“.

არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა

საზოგადოების მობილიზაციის შედეგი იყო ის, რომ გირგვლიანის მკვლელობის აღმასრულებელი ოთხეული დაისაჯა. მათი ვადაზე ადრე გამოშვება ხელისუფლებამ ამ მობილიზაციის შესუსტების გამო გაბედა.

ანა დოლიძე, „კორნელის“ უნივერსიტეტის სამართლის მეცნიერებათა კანდიდატი

2004 წელს ზურაბ ადეიშვილთან, მაშინდელ გენერალურ პროკურორთან შეხვედრაზე ვისხედით, როდესაც ტელევიზიით აჩვენეს, როგორ გაიფიცნენ ნათესავები მათი ახლობლის უსამართლოდ დაკავების გამო. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს მართლმსაჯულებით უკმაყოფილოთა ერთ-ერთი პირველი საჯარო გამოსვლა იყო. ზურაბ ადეიშვილმა, მახსოვს, თქვა: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, როდის არ ვართ მართლები. ამის შემჩნევა ყოველთვის შეიძლება უკმაყოფილო ხალხის რაოდენობის მიხედვით“.

ამ ფრაზამ გამოამჟღავნა ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენ ხელისუფლებას პრობლემების გადაჭრის მიმართ აქვს. თავად ხალხის რაოდენობა აქ იმდენად არაფერ შუაშია, რამდენადაც ის საშიშროება, რომელსაც ხელისუფლებისათვის უკმაყოფილოთა მობილიზაცია წარმოადგენს. დემოკრატიულ ქვეყნებში, პოლიტიკოსები მუდმივად ადევნებენ თვალყურს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც პერიოდულად არჩევნებში გამოიხატება. არადემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც ჩვენთან, ასეთი უკმაყოფილება მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც უკმაყოფილო ხალხს მობილიზება შეუძლია და ძალაუფლებასთან დაპირისპირებაში ყოველდღიურად შეუძლია საკუთარი ქმედუნარიანობის დადასტურება.

2008 წლის დეკემბერს, ათენში პოლიციელებსა და ახალგაზრდების ჯგუფებს შორის შელაპარაკება მოხდა, რომლის დროსაც პოლიციელის ნასროლმა ტყვიამ 15 წლის ახალგაზრდა ალექსანდრე გრიგოლოპულოსი იმსხვერპლა. მასობრივი და დამანგრეველი მანიფესტაციები, რომლებიც ამ მკვლელობას მთელი საბერძნეთის მასშტაბით მოჰყვა, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებით გადაიცემოდა. ეს მკვლელობა საზოგადოებაში სამართალდამცავების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის, ხელისუფლების მხრიდან ახალგაზრდების მიმართ არასწორი პოლიტიკის წარმართვის, მზარდი უმუშევრობისა და განათლების პრობლემების მიზეზად იქცა.

ამავე წელს ქუინსში პოლიციელებმა 50 ტყვია ესროლეს შეუიარაღებელ შონ ბელს, რომელიც მეორე დღეს საკუთარი ქორწილის აღსანიშნავად სამ მეგობართან ერთად ბარში მიდიოდა. პოლიციელებმა არასწორად გაიგეს მისი ერთ-ერთი ჟესტი და ვითომდა მოსალოდნელი თავდასხმის ასაცილებლად იგი ჩაცხრილეს. მანიფესტაციები და საჯარო უკმაყოფილება, რომელიც ამ საქმეს მოჰყვა, განპირობებული იყო აფრო-ამერიკელი მოსახლეობის წუხილით, რომელიც პოლიციას რასობრივ დისკრიმინაციასა და რასობრივად დამამცირებელ მოპყრობაში ადანაშაულებდა. ამერიკაში პოლიციელების მხრიდან შავკანიანების მიმართ ძალაუფლების გადამეტების ფაქტები საზოგადოებისთვის საჭირბოროტო პრობლემად რჩება და ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი უკმაყოფილების მიზეზი ხდება. უახლესი წარსულის კუთვნილებაა საჯარო პროტესტები და განხილვე-

ფოტო: ზვიად ნაკერალიძისა

■ დამკვეთებისთვის პასუხისგების აცილებამ და შემდგომმა დაწინაურებამ განამტკიცა რწმენა, რომ ძალაუფლების სადავეებთან მდგომი პირების დაუსჯელობის სინდრომი ისევ ძალაშია და ამ მხრივაც არაფერი შეცვლილა.

ბი, რაც პოლიციელების მიერ არმანდრო დიალოს მკვლელობასა და როდნი კინგის ცემას მოჰყვა.

2001 წლის ივლისში იტალიის ქალაქ გენუაში ანტიგლობალისტური საპროტესტო გამოსვლების დროს გააფთრებული ბრბოს მოახლოვებით შეშინებულმა პოლიციელმა ახალგაზრდა კარლო ჯიალო მოკლა, ხოლო მისმა კოლეგამ დემონსტრანტებისგან თავის დაღწევის დროს გარდაცვლილის გვამს ორჯერ გადაუარა. ამ მკვლელობამ მთელი მსოფლიო შეძრა იმიტომ, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მრავალი აგრესიული დემონსტრაციის მიუხედავად, პოლიციასა და მეპროტესტეებს შორის არაფორმალური ზავი დაირღვა. ხელისუფლებაში ახლად მოსულმა ბერლუსკონის მთავრობამ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ბრბოს კონტროლის ახალი, აგრესიული მეთოდებით თავის მოწონება გადაწყვიტა, რასაც დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის ვითარების დაძაბვა მოჰყვა.

როგორც ჩანს, ყველა ის შემთხვევა, რომელსაც მწვავე და ფართომასშტაბიანი რეაქცია მოჰყვა, საზოგადოებიდმი. შეიცვალა კახა თარგამაძე, მერაბ ბაღათურია, სოსო ალავიძე, დავით კეკუა მერაბიშვილით და ახალაია-სანოძეთი.

კიდევ ერთი ნიშანი, რაც გირგვლიანის მკვლელობას განასხვავებს დემოკრატიულ ქვეყნებში მომხდარი შემთხვევებისგან, ხელისუფლების დამოკიდებულებაა. ზემოთ მოყვანილი ყველა შემთხვევის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები, ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგით დაწყებული საბერძნეთის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებით დამთავრებული, საჯაროდ გამოდიოდნენ და გულწრფელი სინანულით უხდიდნენ ბოდიშს მსხვერპლის ოჯახს მომხდარის გამო.

სანდროს შემთხვევაში, ასეთი რამ არ მომხდარა, პირიქით, მისი ოჯახის წევრებს მაღალჩინოსნები ხაზგასმული ცინიზმითა და გულგრილობით ექცეოდნენ.

ამან ჩვენი სახელმწიფოს კიდევ ერთი მხარე გამოაჩინა. საბერძნეთში, იტალიაში, თუ ამერიკაში ხელისუფლებაში დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსები საკუთარი კარიერის გამო საზოგადოების მოსაზრებას და განწყობას უფრთხილდებიან. არადემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც ამ შემთხვევაში საქართველოა, ნის მკვლელობაში ბრალდებულებსა და „შარდენ ბარში“ მსხდომ პირებს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერების გამოკვლევაზე უარის თქმამ, პროცესზე დაცვის მხარის უფლებების საჯარო და ხშირმა შეზღუდვამ, მოსამართლის მხრიდან ინსტრუქციების საჯაროდ, მობილური ტელეფონით მიღებამ დაადასტურა, რომ ჩვენი სასამართლოებისგან სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი ფუჭი იქნებოდა.

მართლმსაჯულების მხრიდან ჩინოსანთა მიმართ განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ გააღრმავა შევარდნაძის დროს დამკვიდრებული უთანასწორობის განცდა თანამდებობის პირებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის.

საქმის მოწმეების ჩვენებების შედეგად გამოვლენილი დამკვეთებისთვის პასუხისგების აცილებამ და შემდგომმა დაწინაურებამ კი განამტკიცა რწმენა, რომ ძალაუფლების სადავეებთან მდგომი პირების დაუსჯელობის სინდრომი ისევ ძალაშია და ამ მხრივაც არაფერი შეცვლილა.

უთანასწორობას, ჩაგვრას, დაუსჯელობას, პასუხისმგებლობის დადგენის შეუძლებობას კრებითად უსამართლობის განცდა ჰქვია.

ჩვენმა სახელმწიფომ მათი მხარე დაიჭირა, ვისაც ძალის უზრუნველყოფა შეუძლია. სანდრო გირგვლიანის მკვლელების დროზე ადრე გამოშვებაც სწორედ ამ პოლიტიკის გაგრძელებაა.

სათვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ერთი კონკრეტული ინდივიდუმის გარდაცვალება. 2005-2006 წლებში საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს ბევრი მსხვერპლი ჰყავდა, სპეცოპერაციების დროს თუ ციხეებში გარდაცვალების გამო, თუმცა სანდრო გირგვლიანის საქმემ საზოგადოების ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

პირველ რიგში იმიტომ, რომ საზოგადოებამ დაინახა, რომ სამართალდამცავი სისტემის ძირეული რეფორმა, რომლითაც ხელისუფლება თავს იწონებდა, ფიქცია იყო. მკვლელობის აღსრულების ხერხებმა, მონაწილე პირთა წრემ და ხელისუფლების რეაქციამ აჩვენა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ძირეულად არაფერი შეიცვალა; არ შეიცვალა ხარბი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ძალაუფლების მიმართ და, შესაბამისად, დამამცირებელი და შერჩევითი დამოკიდებულება მოქალაქეებისახელისუფლებაში ყოფნა ძალაზე და არა საზოგადოების განწყობებზეა დამოკიდებული. ჩვენმა სახელმწიფომ სწორედ მათი მხარე დაიჭირა, ვისაც ამ ძალის უზრუნველყოფა შეუძლია. სანდრო გირგვლიანის მკვლელების დროზე ადრე გამოშვებაც სწორედ ამ პოლიტიკის გაგრძელებაა.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი ასევე გამოცდა იყო ჩვენი სასამართლო სისტემის და მასში მომხდარი რეფორმების. ახალ გარემოში, ახალდანიშნული მოსამართლეების მიერ წარმართულ სასამართლო პროცესებს უპრეცედენტო საზოგადოებრივი ყურადღება და დაკვირვება ხვდა წილად. საზოგადოებას აინტერესებდა, რამდენად შეძლებდა ძველი ინერციით მიმავალი ძალოვნების შეცდომების გამოსწორებას ახლად გარდაქმნილი სასამართლო ინსტიტუტები. სასამართლოს მხრიდან ძირითადი მტკიცებულებების, მაგალითად, გირგვლია-

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შედეგად წარმოქმნილმა საზოგადოებრივმა მობილიზაციამ, სანდროს ოჯახის, მეგობრების და არასამთავრობოების აქციებმა, მათმა გამბედაობამ და თავგანწირვამ, პოლიტიკოსების უჩვეულო ერთიანობამ, რასაც მწვავე საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა, გვიჩვენა, რომ ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უნარი, მონდომების შემთხვევაში, მოახერხოს შთამბეჭდავი მობილიზება. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მკვლელობის აღმასრულებელი ოთხეული დაისაჯა და ამ მობილიზაციის შესუსტების გამო გაბედა ხელისუფლებამ მათი ვადაზე ადრე გამოშვება. სწორედ იმიტომ, რომ უსამართლობა საზოგადოებრივი პროტესტის მობილიზაციის საუკეთესო წყაროა, ამერიკული სამოქალაქო მოძრაობის დროს დამკვიდრდა გამოთქმა: „არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა“. მგონია, რომ უახლოეს მომავალში ეს გამოთქმა ჩვენ ხშირად გაგვახსენდება.

ფოტოგრაფია

ახალი სატელევიზიო სეზონი

მე, მე და მე

საკადრო ცვლილებების მიუხედავად, სამივე ნაციონალური არხი ხელისუფლების კონტროლქვეშ რჩება.

ახალი სატელევიზიო სეზონის წინ სამ ნაციონალურ არხზე ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს, „იმედს“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი გენერალური დირექტორები ჰყავთ. თუმცა ეს „სატელევიზიო სვლები“ არც ერთ არხზე რადიკალური შინაარსობრივი ცვლილებების საფუძველი არ გამხდარა. ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ გავლენის სფეროები შეიცვალა თავად იმ გუნდის შიგნით, რომელიც ამ მედია საშუალებებს აკონტროლებს.

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი ჟურნალისტმა ირმა ნადირაშვილმა დაიკავა. ვარდების რევოლუციისას და შემდეგ 2005 წლამდე ის ამ არხზე საპარლამენტო კორესპონდენტი იყო. კომპანიაში ის 2008-ში დაბრუნდა, თუმცა რამდენიმე თვით შეინარჩუნა თავისი თანამდებობა ჯანდაცვის სამინისტროში, სადაც ის მინისტრის დავით ტყეშელაშვილის პრეს-სამსახურს ხელმძღვანელობდა.

მსგავსი პროცესები მოხდა ტელეიმედშიც. ახალი პატრონის ხელში გადასულ ამ კომპანიაზეც გავლენას კვლავ ხელისუფლება ინარჩუნებს, თუმცა იცვლება მხოლოდ ის პირი, ვინც საინფორმაციო პოლიტიკაზე აგებს პასუხს.

ივლისის შუა რიცხვებში მედია-ჰოლდინგ „იმედის“ გენერალური დირექტორი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და პრეზიდენტ სააკაშვილის მეგობარი, გიორგი არველაძე გახდა. რამდენიმე თვით ადრე კი არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ნანა ინწკირველი დაინიშნა. ინწკირველი ამ თანამდებობაზე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან ოქრუაშვილის მინისტრობის დროს გადავიდა. მან ეს პოსტი კეზერაშვილის და სიხარულიძის ხელმძღვანელობის პერიოდშიც შეინარჩუნა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის თანამდებობა დატოვა ზაზა

შენგელიას მეგობარმა და ძველმა პირველარხელმა, ლევან ყუბანეიშვილმა. იგი ამ თანამდებობაზე 2008 წლის გაზაფხულზე ოპოზიციის საპროტესტო ტალღის შედეგად მოხვდა. ეს ცვლილება განიხილებოდა როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი პოლიტიკური დათმობა. 2009 წლის აგვისტოში, ყუბანეიშვილის ნაცვლად, სამეურვეო საბჭომ ყველა პროცედურის დაჩქარებულად გავლით, გია ჭანტურია აირჩია. გია ჭანტურია ხელისუფლებისადმი ლოალურად განწყობილთა შორის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების წინ გამოჩნდა. მან, როგორც ერთ-ერთმა მხარდამჭერმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში.

ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ამ სამი ნაციონალური არხიდან, რეიტინგების მიხედვით, ბოლო რამდენიმე წელია, სტაბილურად ლიდერობს „რუსთავი 2“-ია, მეორე ადგილს „იმედი“ იკავებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი კი საგრძნობლად ჩამორჩება ამ ორ კომერციულ არხს. საქართველოში ისედაც მცირე სარეკლამო ბაზრისთვის ბრძოლა, როგორც წესი, პირადი გარიგებების გზით ხდება და არა მარკეტინგული ლოგიკით.

თუ ნაციონალურ კომერციულ არხებს არა ბაზარი, არამედ ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფები აფინანსებენ, ლოგიკურია, რომ ყველაზე მეტი ფული იმ ტელეარხს ერგება, რომლის მეშვეობითაც ყველაზე მეტი მაყურებელი იგებს ხელისუფლებისთვის ხელსაყრელ ინფორმაციას. დღემდე ასეთი მაუწყებელი „რუსთავი 2“ იყო, თუმცა ლიდერი კომპანიის ადგილისთვის და, შესაბამისად, მეტი ფინანსებისთვის ბრძოლა „იმედმა“ დაიწო.

თუ აქამდე სამივე ნაციონალურ ტელეარხზე საინფორმაციო გადაცემები ერთი სცენარით კეთდებოდა, არველაძის „იმედზე“ მისვლის შემდეგ „ქრონიკა“ შიდა სამთავრობო ამბების გაშუქებაში „რუსთავი 2“-ზე ოპერატიულია. მიხეილ სააკაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ, ეკონომიკის მინისტრის ლაშა ჟვანიას მოულოდნელი გათავისუფლება, ფეხბურთის ფედერაციაში დაგეგმილი საკადრო ცვლილებები – „იმედზე“, ბოლო ორი თვეა, ახალი ამბები მანამდე შუქდება, ვიდრე მოხდება.

„ჩვენ არხს აქვს პრეტენზია, რომ მაყურებელმა ძალიან მთავარი ინფორმაცია მიიღოს იმედის საშუალებით ... ჩვენი სტრატეგიაა, გავაკეთოთ კარგი „იმედი“ და არა უკეთესი „რუსთავი 2“, – აცხადებს ბაკურ ლაშქარავა, „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, რომლის ამბიციაა სხვა ქართული არხებისთვის მაყურებლების წართმევა.

ამ ამბიციის ნაწილია თამამი საინფორმაციო კამპანიები. „იმედზე“ ნაწყენია საქართველოს საპატრიარქო, რომელმაც „ქრონიკაში“, ილია მეორისა და რუსი ჟურნალისტის შეხვედრის ინტერპრეტაციის გამო, ტელეარხი „პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობაში „დაადანაშაულა. არხს ასევე უჩივის ამავე შეხვედრის მონაწილე ბიზნესმენი მალხაზ გულაშვილი, რომელსაც „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებმა „რუსეთის აგენტი“ უწოდეს.

„იმედის“ ახალი ხელმძღვანელობა სტრატეგიასთან და ძველ პერსონალთან ერთად „იმედის“ ლოგოსაც ცვლის, რომლის ამოტრიალებული გამოსახულებაც არკადი პატარკაციშვილის ინიციალებია.

2008-2009 წლებში „იმედის“ ყველაზე რეიტინგული პროდუქტი სერიალი „შუა ქალაქში“ იყო. გიორგი არველაძე, არხის პოპულარულობის გაზრდის მიზნით, დავით გოგიჩაიშვილის სტუდიას ახალ შეკვეთებს აძლევს. „ნაით შოუ სტუდიო“ სერიალს „უშნო ბეტი“ (ამერიკული ანალოგის ქართულ ვერსიას) და გასართობ თოქშოუს მოამზადებს, რომლის წამყვანიც ნანუკა ჟორჟოლიანი იქნება. საეთეროდ უკვე მზადდება პროვოკაციული გადაცემა მსახიობის და „ფლეიბოის“ გოგონას, შორენა ბეგაშვილის მონაწილეობით, რომლის თემაც სექსი იქნება. გადაცემის ერთ-ერთი პროდიუსერი გიორგი არველაძის ცოლია.

„ლიბერალიზმი თუ რამეს ჰქვია, აი ამას ჰქვია, ვფიქრობ, გადაცემა რომ ეთერში გავა, ყველა ამაზე ილაპარაკებს, ანუ იქნება ისეთი თემები, რომლებზე საუბარიც აქამდე არ იყო ქართულ მედიაში“, – განაცხადა ბაკურ ლაშქარავამ.

■ როლების გადანაწილების შემთხვევაში, „რუსთავი 2“-ის ძირითადი ფუნქცია იაფფასიანი პროპაგანდა იქნება, პროვოკაციულ და ექსკლუზიურ სამთავრობო ამბებს მაყურებელი „იმედიდან“ შეიტყობს, საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა კი კვლავ არავის ემახსოვრება.

რეიტინგის გარდა, რომელსაც გასართობ გადაცემებთან ერთად ექსკლუზიური სამთავრობო ამბები და სკანდალური კამპანიები უზრუნველყოფენ, „იმედის“ ხელმძღვანელობა „საიმიჯო“ გადაცემებზეც ფიქრობს; მათ შორის საავტორო პროგრამებზე წინადადებები მიიღეს ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ და პროფესორებმა – ნოდარ ლადარიამ და გიგა ზედანიამ.

გიორგი არველაძე თავადაც ფიქრობს, გახდეს თუ არა საინფორმაციო-ანალიტიკური თოქშოუს წამყვანი.

ნაკლები სიახლეა „რუსთავი 2“-ის 2009-2010 წლის სეზონში. გაგრძელდება ძველი პროექტების ნაწილი – „ჯეოსტარი“, „ვა-ბანკი“, ასევე იუმორისტული გადაცემები. ყველაზე დიდი სიახლე ქართული საპნის ოპერა იქნება, რომელიც არხმა „თიბისი სტუდიას“ დაუკვეთა. დიმიტრი ობოლაძე აჩი არველაძესთან ერთად ყოველკვირეულ სპორტულ შოუს წაიყვანს. არხს მასშტაბური ცვლილებებისთვის საკმარისი ფინანსები არ აქვს. საინფორმაციო სამსახურის უფროსი ირმა ნადირაშვილი ამბობს, რომ არც „კურიერი“ შეიცვლება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორი გიორგი ჭანტურია ამბობს, რომ 2008 წელს არხზე იმდენი ახალი პროექტი მომზადდა, რომ ამ ეტაპზე სიახლეების აუცილებლობას ვეღარ ხედავს. არ იგეგმება არც მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, თუ არ ჩავთვლით, რომ უსაფრთხოების დარგში საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოადგილედ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, გიორგი გამსახურდია ინიშნება.

თუ ნაციონალური მაუწყებლების როლები ისე გადანაწილდება, როგორც ეს „იმედის“ ახალ ხელმძღვანელობას წარმოუდგენია, „რუსთავი 2“-ის ძირითადი ფუნქცია იაფფასიანი პროპაგანდა იქნება, პროვოკაციულ და ექსკლუზიურ სამთავრობო ამბებს მაყურებელი „იმედიდან“ შეიტყობს, საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა კი კვლავ არავის ემახსოვრება. ასეთ სიტუაციაში კი დამფინანსებლები ადვილად გადაწყვეტენ, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ტელევიზიებს შორის საქართველოს მოსახლეობის „ინფორმირებისთვის“ გამოყოფილი ფული.

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ნინო რობაქიძემ.

ფოტო: ლევან ხარხელიძე

ელიტ ელექტრონიქსის საქმე

გაკოტრების პირას

„ელიტ ელექტრონიქსის“ საქმე გადასახადების ამოღების გამკაცრების ტენდენციაზე მიუთითებს.

მაია წიკლაური, ნინო გოგუა

უკვე 2 წელია, ფინანსთა სამინისტრო საოჯახო ტექნიკის მაღაზიათა ქსელის „ელიტ ელექტრონიქსისგან“ მილიონობით ლარის დავალიანების გადახდას ითხოვს. 2007 წელს ჩატარებული შემოწმების შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ კომპანიას ჯერ 14 მილიონი ლარი დაარიცხა, გასაჩივრების შემდეგ კი თანხა გაუნახევრა. „ელიტ ელექტრონიქსის“ 100%-იანი წილის მფლობელმა, ანზორ ქოქოლაძემ მაშინ მხოლოდ 120 000 ლარის ბუღალტრული შეცდომა აღიარა და 7-მილიონიანი ვალიც გაასაჩივრა. დღეს ამ საქმეს უზენაესი სასამართლო სწავლობს.

რადგან სასამართლო დავის დასრულებამდე საგადასახადო სამსახურს არ ჰქონდა უფლება, კომპანიისთვის სადავო თანხა მოეთხოვა, 10 აგვისტოს „ელიტ ელექტრონიქსის“ საბანკო ანგარიშების დაყადაღება კომპანიისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ქოქოლაძემ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებები დაიწყო, პარალელურად კი მუშაობა ნაღდი ანგარიშსწორებით განაგრძო. როგორც გაირკვა, კომპანიიდან გადასახადების ამოღება იმ საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად მოხდა, რომელიც 17 ივლისს შევიდა საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლში. ცვლილების მიხედვით, გადახდის ვალდებულება კომპანიას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისთანავე ეკისრება, მიუხედავად იმისა, გასაჩივრდება თუ არა ის.

21 აგვისტოს ნათელი გახდა, რომ შეთანხმება არ შედგა – საგადასახადო სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსის“ მაღაზიების სალაროები დალუქა. ხელმძღვანელობამ მუშაობა შეაჩერა.

„ელიტ ელექტრონიქსის“ და სახელმწიფოს დავა საჯარო სწორედ ამ დღიდან გახდა. დალუქული მაღაზიების კარებთან კომპანიის თანამშრომლებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს. „ელიტ ელექტრონიქსის“ მენეჯმენტმა სახელმწიფო კომპანიის გაკოტრების მცდელობაში დაადანაშაულა: „დაკისრებული ვალდებულებით, რეალიზაციით მიღებული შემოსავალი პირდაპირ უნდა წავიდეს ბიუჯეტში, ვიდრე 7 მილიონი არ შესრულდება. ამ პერიოდში ჩვენ ვერ გადავიხდიდით ხელფასებს, საკრედიტო პროცენტებს, საჯარო ქირას და მომწოდებლების თანხებს. შესაბამისად, კომპანია ავტომატურად გაკოტრდებოდა“.

“ელიტ ელექტრონიქსის“ საქმესთან დაკავშირებით პირველი განცხადება მთავრობის სახელით თბილისის მერმა გიგი უგულავამ გააკეთა: „პრობლემა ამ შემთხვევაში არა საგადასახადო, არამედ კომპანიის ბანკების მიმართ დაგროვილი დიდი დავალიანებაა. სავარაუდოდ, „ელიტ ელექტრონიქსს“ ვალებში ბანკები წაიღებენ“.

„ელიტ ელექტრონიქსის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, კომპანიას ბანკების მიმართ 15 მლნ ლარის დავალიანება აქვს, თუმცა გადახდის პირობები არ დაურღვევია. მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ინფორმაცია, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციების წილი, „თიბისი ბანკის“ მფლობელობაში გადადიოდა. „ამის შესახებ ტელევიზიიდან გავიგეთ. შემდეგ შევიტყვეთ, რომ „თიბისი ბანკის“ მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 55%-იანი წილის გირავნობით ბანკის მმართველობაში შემოსვლა დაკმაყოფილა“, – თქვა მარკეტინგის მენეჯერმა ია ნადირაშვილმა. თუმცა საქალაქო სასამართლოში ამას უარყოფენ.

„თიბისი ბანკში“ კი ამბობენ, რომ არ აპირებენ კომპანიის მენეჯმენტში ჩართვას. მოლაპარაკებები „ელიტ ელექტრონიქსთან“ მხოლოდ ვალის პირობების ცვლილებაზე მიმდინარეობს.

ფინანსთა სამინისტროში განმარტებას არ იძლევიან იმის შესახებ, თუ რატომ გახდა აუცილებელი საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის შეცვლა. კანონმდებლობის ამ ცვლილებას ექსპერტთა უმრავლესობა ლიბერალური ეკონომიკური კურსიდან გადახვევად აფასებს.

„ყველა გადამხდელს აქვს უფლება, გასაჩივროს მის მიმართ დარიცხული თანხა და მისდიოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გასაჩივრების მექანიზმებს. ამ პერიოდში თანხის ჩამოწერა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არღვევს გადამხდელის ინტერესებს. მე ვთვლი, რომ ამ მუხლის შემოღება შეცდომაა“, – ამბობს იურიდიული ფირმა BI-ის პარტნიორი, იურისტი ქეთი ქვარცხავა.

ეკონომისტი დავით ნარმანია ვარაუდობს, რომ ცვლილებები საბიუჯეტო კრიზისითაა გამოწვეული: „ცვლილებები, რაც გადასახადების ამოღების გამკაცრებისკენაა მიმართული, თავისთავად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ბიზნესს. ცხადია, რომ ამ გზებით სახელმწიფო კრიზისის გამო მძიმე პირობებში არსებულ ბიუჯეტს ავსებს“.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, გამკაცრებული კანონის გამო, პრობლემები კიდევ ათეულობით კომპანიას შეექმნა. თუმცა ეს დავები საჯარო არ გამხდარა. „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმე ამ კომპანიის რიგითმა თანამშრომლებმა გაახმაურეს. კომპანიის დახურვის შემთხვევაში, 2015 ადამიანი სამსახურის გარეშე რჩება.

პირველი პრაიმერი საქართველოში

ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერთან,
დავით გამყრელიძესთან

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ოპოზიცია პრაიმერისთვის ემზადება. დავით გამყრელიძის აზრით, თუ ეს პროექტი შედგა, მათ ხელისუფლების დამარცხების რეალური შანსი ექნებათ.

ფოტო: ლევან ხუციშვილი

ოპოზიციამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ პრაიმერის ჩატარება გადაწყვიტა. თუ შეიძლება, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახსენით ეს პროცესი. როგორ წარმოგიდგენიათ წინასწარი არჩევნები?

ვცდილობ, დავარწმუნო კოლეგები წინასწარი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაში. სოციოლოგიური კვლევებიც ცხადყოფს, რომ თუ ოპოზიცია რამდენიმე კანდიდატით გამოვა, გამარჯვება ხელისუფლებას დარჩება.

პრაიმერი არჩევნებამდე 3-4 თვით ადრე უნდა ჩატარდეს. საზოგადოებას, ამომრჩეველს კარგად უნდა ავუხსნათ, რით ვჯობივართ ამ ხელისუფლებას, რას გავუკეთებთ თითოეულ მოქალაქეს. მონაწილე სუბიექტები შევაჯერებთ გამართულ საარჩევნო წესებს, შევქმნით სამაგალითო საარჩევნო ადმინისტრაციას.

მოეწყობა ნამდვილი დებატები კანდიდატებს შორის, რასაც ვერ მივაღწიეთ ხელისუფლებასთან. არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, გვქონდეს ეგზიტპოლები, პარალელური დათვლები. ანუ უნდა ჩავატაროთ სამაგალითო არჩევნები, რაც საქართველოში, დიდი ხანია, არ ყოფილა და რისი იმედიც ხალხს დაკარგული აქვს.

თუ სწორად გაგიგეთ, ეს არჩევნები შეთანხმებული და ორგანიზებული იქნება ოპოზიციის შიგნით?

არამხოლოდ. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება – არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

აუცილებელია მაქსიმალური გამჭვირვალეობა, რათა საზოგადოების ნდობა მოვიპოვოთ. ცენტრალური კომისია არა პარტიების წარმომადგენლებით, არამედ ნეიტრალური ადამიანებით დაკომპლექტდება.

ამ პროექტს აქვს ორი პრობლემა, ორი საფრთხე – ერთი, რამდენად ძლიერი და გავლენიანი ოპოზიციური ლიდერები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს; და მეორე – შევძლებთ თუ არა ფინანსების მოზიდვას.

თუმცა თითოეულ მათგანზე მონაწილე პარტიების კონსენსუსი უნდა არსებობდეს.

გამოდის, თქვენ საკუთარი ცენტრალური საარჩევნო კომისია გექნებათ?

დიახ, და არა მარტო ცენტრალური, არამედ საოლქოც, საუბნოც და ასე შემდეგ. ეს იქნება ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესი, დაიბეჭდება ბიულეტენები, უზრუნველყოფილი იქნება ფარული კენჭისყრის პროცესი.

ბატონო დავით, ასეთი დიდი სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა დიდი ფული. გაქვთ ამისთვის რესურსები?

ეს ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა. ამ პროექტს აქვს ორი პრობლემა, ორი საფრთხე – ერთი, რამდენად კონკურენტული იქნება იგი, ანუ რამდენად ძლიერი და გავლენიანი ოპოზიციური ლიდერები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს; და მეორე – შევძლებთ თუ არა ფინანსების მოზიდვას. ყველაზე მეტად ევროკავშირის და ამერიკის განვითარების სააგენტოს იმედი მაქვს. თუ დასავლეთს საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობა სურს, ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს.

თქვენი აზრით, რა თანხაზეა საუბარი?

წმინდა ორგანიზაციულ მხარეს თბილისში დაახლოებით 300 ათასი ლარი დასჭირდება, ხოლო ამ იდეის

მედიის საშუალებით პოპულარიზაცია და მოსახლეობამდე მიტანა დაახლოებით ორ ამდენს მოითხოვს. მთლიანობაში, 800-900 ათასი ლარი გამოდის.

რა ეტაპზეა წამყვანი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის შეთანხმების პროცესი?

ძნელია იმის თქმა, რომ დღეს უკვე რაღაც თანხმობა გვაქვს. არიან პარტიები, რომლებიც დაინტერესებულები არიან – კონსერვატორები, კობა დავითაშვილი; სხვები ჯერ ეჭვის თვალით უყურებენ. ყველას ვუხსნი, რომ პრაიმერი ძალიან წაადგება გამარჯვებულ ოპოზიციონერ კანდიდატს მთავარ არჩევნებში უკვე ხელისუფლების წარმომადგენელთან ბრძოლისას. ეს თითქმის 20-30-პროცენტიან ფორას ნიშნავს.

შეგიძლიათ იმის თქმა, რომ პრაიმერის იდეას დღეს უკვე აქვს 3-4 წამყვანი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერა?

ამის თქმა ჯერ არ შემიძლია და არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროექტი საბოლოოდ შედგება. სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს მის ჩასაშლელად; ასევე, ოპოზიციაშიც ბევრი არ იქნება დაინტერესებული ამ პროექტით. როცა ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები არაა დანიშნული, ბევრი შეეცდება, თავი აარიდოს საკუთარი ძალისა და პოლიტიკური წონის დემონსტრირებას.

მაგრამ თუ ჩვენ პოლიტიკური ბალანსის შექმნა და სააკაშვილის რეჟიმის ეტაპობრივად შეცვლა გვინდა, მაშინ ეს მიზანი საკუთარ ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ. უფრო ძლიერი წინ უნდა წავიდეს. თუ წინასწარ არჩევნებში ლეიბორისტების, ფორუმის ან სხვა რომელიმე ძალის კანდიდატმა გაიმარჯვა, მე მზად ვარ მხარი დავუჭირო. იგივეს ვითხოვ ჩვენი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაშიც.

თქვენ პრაიმერში მონაწილეობას აპირებთ როგორც ადამიანი, რომელიც შემდეგ თბილისის მერის პოსტზე განაცხადებს პრეტენზიას?

არა მგონია. ალიანსი შეჯერდება საუკეთესო კანდიდატზე, იფიქრებს რა ჯობია დღევანდელი დღისთვის, მომავლისთვის. უნდა გავითვალისწინოთ, როგორია ლიდერების რეიტინგები ალიანსის შიგნით, ვის აქვს გამარჯვების მეტი შანსი.

ალიანსის შიგნით მიღწეულია შეთანხმება, რომ წინასწარი არჩევნები საჭიროა?

ალიანსის ძირითადი შემადგენლობა, პირველ რიგში ირაკლი ალასანია, იზიარებს ჩემ იდეას.

მსგავსი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ყოფილა. რატომ გგონიათ, რომ ხალხი მოვა ამ არჩევნებზე?

გარკვეული საპილოტო პროექტი ჩვენ 2005 წელს ჩავატარეთ, როდესაც გამოთავისუფლებულ მაჟორიტარულ მანდატებზე რამდენიმე პარტიამ – ჩვენ, კონსერვატორებმა, ლეიბორისტებმა, თავისუფლებამ და სხვებმა წინასწარი არჩევნები ჩავატარეთ.

მაგრამ ახლა სხვა პოლიტიკური რეალობაა, სრულიად სხვა მასშტაბები...

მით უმეტეს. საზოგადოება, განსაკუთრებით თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა ოპოზიციურადაა განწყობილი. სავსებით რეალურია, რომ თბილისში ამომრჩეველთა 50-60 პროცენტმა ოპოზიციას დაუჭიროს მხარი. ვაპირებთ იმ ამომრჩევლების წინასწარ რეგისტრაციას, ვინც მონაწილეობას მიიღებს პრაიმერიში, რათა თავი დავიცვათ ხელისუფლების მხრიდან მანიპულირებისაგან. არსებობს საფრთხე, რომ ვანო მერაბიშვილმა არაპირდაპირი მონაწილეობა მიიღოს პრაიმერიში – მის მიერ მართული ოპოზიციური ფიგურა გახადოს ერთიანი კანდიდატი და პრაიმერიში გამარჯვებული.

მარტო თბილისზე რატომ შეჩერდით? რატომ არ აპირებთ მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ პროექტის გატანას?

ბევრი მიზეზია – ერთი ის, რომ ტექნიკურად რთულია, მთელი საქართველო მოიცვა; მეორე, ძალიან ძვირია; და მესამე, არ არის ამის საჭიროება, რადგან როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ადგილობრივი არჩევნები საინტერესოა თბილისში და არა მთელ საქართველოში.

2002 წელს „ახალმა მემარჯვენეებმა“ მთელ საქართველოში მოვიგეთ ადგილობრივი არჩევნები, მთლიანობაში 850-ზე მეტი მანდატი ავიღეთ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი სულ 29 მანდატი მოიპოვა, მაგრამ თბილისი მოიგო და საკრებულოს თავმჯდომარე სააკაშვილი გახდა. პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს თბილისში და თბილისის მერი, თბილისის საკრებულო თავისი გავლენით ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა დანარჩენი საკრებულო ერთად აღებული.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ პრაიმერის იდეა წარმოიშვა იმის გამო, რომ გაზაფხულზე ხანგრძლივი აქციების დროს ერთიანი, ძლიერი ოპოზიციის ლიდერი ვერ გამოიკვეთა?

26 მაისის არჩევნებში ხელისუფლება ვერ გაიმარჯვებდა, ოპოზიციას ერთმანეთისთვის ხმები რომ არ წაერთმია. ასევე ჩვენ ვნახეთ, რომ ვიდრე ქვეყანაში არ გამოიკვეთება რეალური ალტერნატივა და ლიდერი, სააკაშვილის რეჟიმის ცვლილება წარმოუდგენელია. ჩვენ ხალხი ვაიძულეთ, არჩევანი ცუდსა და გაურკვევლობას შორის გაეკეთებინა.

გასაგებია, მაგრამ მინდა დავაზუსტო, ეს იდეა იმის გამო გაჩნდა, რომ ოპოზიციის შიგნით ერთიანი კანდიდატის თაობაზე თანხმობა არ არის?

რა თქმა უნდა, ოპოზიციაში არის ძალიან მაღალი შიდა კონკურენცია, ბევრი აზრთა სხვადასხვაობა და მე არც მაქვს იმის ილუზია, რომ ჩვენ შეიძლება მთელი ოპოზიცია გავაერთიანოთ. ეს არ მოხდება. უბრალოდ, ოპოზიციაში უნდა გამოიკვეთოს ჯანსაღი ბირთვი ძლიერი ლიდერით, რომელიც ბუნებრივად გახდება ის მეორე პოლუსი, რომელიც გვჭირდება.

წინასწარ არჩევნებში საპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობის მნიშვნელობას თუ ხედავთ? მათთან კონსულტაციები თუ გაქვთ?

ჯერჯერობით პირადად არ მისაუბრია, მაგრამ შევთავაზებთ მათაც. პარლამენტში ერთადერთი რეალური პოლიტიკური ძალაა ქრისტიან-დემოკრატები და სასურველია, მათაც მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში. ეს პროექტი ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ვინც თავს ოპოზიციად თვლის, მიიღოს მონაწილეობა და თუ ხალხი მხარს დაუჭერს, ეს მათი დამსახურებული გამარჯვება იქნება.

ოლესია ვართანიანი

ეკონომიკური კრიზისი რიცხვებში

„მშიერი შემოდგომის“ სტარტი

არასახარბიელო ეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ექსპერტების პესიმისტურ პროგნოზებს არ იმჩნევს.

რევაზ საყევარიშვილი

2009 წლის 8 თვის ბიუჯეტი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაირღვა. იანვარ-აგვისტოში ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა 3 მილიარდ 745 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99%-ია. რვა თვის ბიუჯეტის გარღვევას კაპიტალურ შემოსავლებში არსებულ პრობლემებს უკავშირებენ. წელს ბიუჯეტში ქვეყანამ 77 მილიონი ლარი ქონებისა და მიწის პრივატიზაციისაგან უნდა მიიღოს. თუმცა, დღემდე კაპიტალური შემოსავლების კუთხით მხოლოდ 15,5 მილიონი ლარია შემოსული. ამან კი ბიუჯეტში დანაკლისი და გეგმის ჩავარდნა გამოიწვია.

კაპიტალური შემოსავლებიდან დამატებითი თანხების მობილიზება რომ გაჭირდება, ამაზე სხვა გარემოებებიც მიუთითებს. მაგალითად, პრივატიზების ახალი ტალღა გაურკვეველი ვადით გადაიდო. სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გადახედოს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და მათი გაყიდვა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება. წინასწარი ანონსით, ეკონომიკის სამინისტროს სექტემბერში პრივატიზაციის მეორე ტალღა უნდა დაეწყო და 33 მსხვილი ობიექტი გაეყიდა, მათ შორის – გამომცემლობა „სამშობლო“, სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“, სპორტის აკადემია, კოპიტნარის აეროპორტი და სხვა ობიექტები.

ბოლო კვირების განმავლობაში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,68-დან 1,69-მდე მერყეობს, რამაც ექსპერტებს ახალი თავსატეხი გაუჩინა. მაშინ, როცა დასვენების სეზონი პიკზე იყო, დამსვენებელი საზღვარგარეთ ისე აქტიურად ვეღარ გადიოდა და ფულს საქართველოში ხარჯავდა, ლარზე მოთხოვნა გაზრდილი იყო. მაშინ რას უკავშირდება ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურება? ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის მცირედი დაცემა დოლართან მიმართებაში, შესაძლოა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მანიშნებელი იყოს – ხალხმა ფულის ხარჯვა უფრო მეტად დაიწყო. ექსპერტთა მეორე ნაწილი ლარის კურსის რყევებში კრიზისის დაძლევის ნიშნებს ვერ ხედავს. მათი თქმით, კრიზისი ჯერ არ არის დაძლეული და ადამიანები ამჯობინებენ, ლარის ნაცვლად, ფული დოლარით დაზოგონ. ასეა თუ ისე, ლარმა ოდნავ დაკარგა პოზიცია, თუმცა ეს ცვლილება საგანგაშო ხასიათს ნამდვილად არ ატარებს.

აგვისტოში წლიურმა დეფლაციამ 3,1% შეადგინა, საშუალო წლიური ინფლაცია კი 3,3%-ზე შეჩერდა. შედარებისთვის: 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში წლიური ინფლაცია 12,8% იყო, საშუალო წლიური ინფლაცია – 11,2%. რაც შეეხება წლიურ დეფლაციას, ის ბოლოს თითქმის 10 წლის წინ – 2000 წლის აპრილში დაფიქსირდა 0,4%-ის ოდენობით.

კარგია ეს თუ ცუდი? პასუხი ჟურნალ „ეკონომისტის“ ერთ ცნობილ კარიკატურას ჰგავს: ცელით შეიარაღებულ თეთრმოსასხამიან სიკვდილს ზედ „ინფლაცია“ აწერია. თუმცა, ის გაცილებით მცირე ზომისაა იმ თეთმოსასხამიან ცელიან სიკვდილთან შედარებით, რომელსაც წარწერა „დეფლაცია“ ამშვენებს.

ამასობაში საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, გასულ წელთან შედარებით, თითქმის ერთ-ნახევარჯერ გაუარესდა. დადგინდა, რომ 2009 წლის პირველი კვარტალის ბოლოს (მეორის შეჯამება სტატისტიკამ ჯერ ვერ მოასწრო) საქართველოს ვალდებულებებმა, სამთავრობო და კომერციული ინსტიტუტების ჩათვლით, 13 მილიარდი დოლარი შეადგინა, მთლიანი აქტივები კი 2,35 მილიარდი დოლარი იყო. კომერციული საბანკო სექტორის სასესხო ვალდებულებები 29%-თაა მომატებული, ეროვნული ბანკისა კი, არც მეტი, არც ნაკლები, 2,5-ჯერ გაიზარდა, რაც სავალუტო ფონდიდან 624 მილიონი დოლარის კრედიტის აღებამ გამოიწვია. ამავე დროს, გასულ წელთან მიმართებაში, ნაღდი ფულისა და დეპოზიტების სახით აღებული ვალდებულებები 25%-ით არის შემცირებული.

საგარეო ვალის სწრაფი ზრდის საკითხი, რომელმაც ერთ წელიწადში მთელი 54%-ით მოიმატა, სულ უფრო აქტუალური ხდება. 31 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 5,1 მილიარდ ლარს შეადგენს. შარშანდელ ანა-

ლოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 3,3 მილიარდი ლარი იყო. თუკი საგარეო ვალის 31 ივლისის ოფიციალურ მონაცემს დავუმატებთ სავალუტო ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ აგვისტოში გამოყოფილ ახალ სესხებსაც, გამოვა, რომ საგარეო ვალი 5,9 მილიარდ ლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს უკვე მთელი 76%-ით აღემატება.

საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა ომის შედეგების სალიკვიდაციოდ აღებულმა კრედიტებმა გამოიწვია. ამას ემატება 2008 წელს მოზიდული 500 მლნ დოლარი, რომელიც საქართველომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიიღო. ფინანსთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ საგარეო ვალი წელს, შესაძლოა, ისევ გაიზარდოს, თუმცა ამაში საფრთხეს ვერ ხედავენ. საგარეო ვალის მასშტაბები ამ ეტაპზე მხოლოდ ექსპერტების შეშფოთებას იწვევს. ყველაზე ნეგატიურად ბიუჯეტის დასაფინანსებლად აღებული სესხები ფასდება. ამ პრაქტიკას პროსამთავრობო ექსპერტებიც კი მკაცრად აკრიტიკებენ. მათ შორის ყველაზე რადიკალური შეფასებებით კახა ბენდუქიძე გამოდის, რომელიც მიიჩნევს, რომ ვალის აღებას ჯობს, მთავრობამ რეზერვები ბიუჯეტში გამონახოს და ნახევარი მილიარდიდან მილიარდ ლარამდე ოდენობით შეამციროს საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა.

მთავრობა კი საბიუჯეტო ხარჯებს არათუ არ ამცირებს, სესხების აღებას უკვე ქვეყნის შიგნითაც ააქტიურებს. წლის ბოლომდე მთავრობა 150-160 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისიას გეგმავს.

სარეიტინგო სააგენტო „ფიჩ რეიტინგსმა“ საქართველოს საკრედიტო რეიტინგი ერთი საფეხურით – ნეგატიურიდან სტაბილურამდე აწია. სააგენტომ დამაჯერებლად მიიჩნია საქართველოს მთავრობის გათვლები, რომლითაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2010 წლისათვის 2%-ით გაიზრდება. თუმცა, წელს საქართველოს ეკონომიკის ვარდნა წლის ბოლოსთვის 4%-ს გაუთანაბრდება.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკვე შეათანხმა მთლიანი შიდა პროდუქტის კლების ეს მაჩვენებელი. მთავრობის წერილი, სადაც ამის შესახებაა ნათქვამი, ფონდში ჯერ კიდევ 6 აგვისტოს გადაიგზავნა და სწორედ ეს გახდა ფონდის მიერ საქართველოსათვის დამატებითი სესხის გამოყოფის მიზეზი.

სავალუტო ფონდში საქართველოსთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფას მხოლოდ რუსეთი შეეწინააღმდეგა. თუმცა, საბოლოოდ მისი იდეა არავინ გაიზიარა. თუმცა, ამით სიურპრიზები არ დასრულებულა – რუსული სახელმწიფო ბიზნესი ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად უტევს.

უკვე ოფიციალურად გაიხსნა ძაურიკაუ-ცხინვალის გაზსადენი, რითაც „გაზპრომი“ ცხინვალის რეგიონს პირდაპირ, საქართველოს გვერდის ავლით მოამარაგებს. მეორე რუსულმა სახელმწიფო მონოპოლიამ – „როსნეფტმა“ აფხაზეთში შვილობილი კომპანია – შპს „როსნეფტ-შელფ აბხაზია“ დააფუძნა, რომელიც აფხაზეთის შელფზე 2,5 ათასი კვადრატული მეტის ფართობს დაზვერავს. „როსნეფტის“ მეორე შვილობილი კი აფხაზეთის ტერიტორიაზე ათამდე ბენზინგასამართ სადგურს ააშენებს.

„რუსეთის რკინიგზა“ კი აფხაზეთის რკინიგზას დაახლოებით 2 მილიარდ რუბლად მიიღებს. აფხაზეთის რკინიგზაზე სამუშაოების დაფინანსებისა და შემდგომი ექსპლუატაციის შესახებ წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. „რუსეთის რკინიგზა“ აფხაზებს სარკინიგზო ხაზის აღდგენაში დაეხმარება, სანაცვლოდ კი, რუსები სოჭის ოლიმპიადისთვის ღორღს, ქვიშა-ხრეშის მასალებს და სხვა ტვირთებს გაიტანენ.

ჯერჯერობით რუსების და საქართველოს უკონტროლო ტერიტორიების ამ ქმედებათა გამო ქართული მხარე მხოლოდ ზეპირ პროტესტებს გამოთქვამს.

რუსეთთან მუდმივი რყევების გამო, საქართველო ბევრი პარამეტრით ვერ იუმჯობესებს პოზიციას. თუმცა, მიზეზი მხოლოდ ამაში არ იმალება. საქართველო მსოფლიოს არასტაბილური ქვეყნების რეიტინგში 33-ე ადგილზე მოხვდა.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პროტესტი უფრო საგნობრივ ხასიათსაც იძენს ხოლმე. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 5 რუსული ტელეარხი 50-50 ათასი ლარით დააჯარიმა. როგორც კომისიაში აცხადებენ, რუსული არხები – РЕН ТВ, НТВ, ТВ-Центр, Россия და Культура საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ მაუწყებლობენ, რის გამოც, თითოეული მათგანი 50 ათასი ლარით დაჯარიმდა, რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის დიდი სამეულიდან ერთერთს – კომპანია Мегафон-ს კი ჯარიმა კანონის მრავალგზის დარღვევის გამო უკვე 1 მილიონ ლარამდე გაეზარდა. მართალია, საქართველოს ხელისუფლებას ჯერ არ აქვს არანაირი ბერკეტი ამ ჯარიმების ამოსაღებად, მაგრამ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება რუსული კომპანიების საერთაშორისო დევნა და მათი მნიშვნელოვანი შევიწროება.

რუსეთთან მუდმივი რყევების გამო, საქართველო ბევრი პარამეტრით ვერ იუმჯობესებს პოზიციას. თუმცა, მიზეზი მხოლოდ ამაში არ იმალება. საქართველო მსოფლიოს არასტაბილური ქვეყნების რეიტინგში 33-ე ადგილზე მოხვდა. გავლენიანი ამერიკული გამოცემის – Foreign Policy-ს რეიტინგი 12 საკვანძო ინდიკატორის მიხედვით შედგა (ეკონომიკური ვარდნა, ადამიანის უფლებები, ქვეყნიდან ადამიანების მიგრაცია, მოსახლეობის კრიტიკული განწყობა მთავრობისადმი და ა.შ.). რეიტინგს სათავეში სომალი უდგას, მას ზიმბაბვე და სუდანი მოსდევენ. საქართველო კი რეიტინგში ლიბერიისა და სიერრა-ლეონეს შორის დამკვიდრდა.

საქართველოს ხელისუფლება ამ შეფასებას ნაკლებად იმჩნევს და ეკონომიკის სტიმულირების ახალ გეგმაზე მუშაობს. წინასწარი მონახაზით, ახალი გეგმა გაცილებით ფართომასშტაბიანი იქნება, ვიდრე ეკონომიკის სტიმულირების ხუთპუნქტიანი გეგმა, რომელიც მთავრობამ გლობალურ კრიზისთან დაკავშირებით შეიმუშავა. კონკრეტულად რა ინიციატივებზეა საუბარი, სექტემბრის ბოლოს გახდება ცნობილი. ამ ინფორმაციის წყარო ფინანსთა სამინისტროა.

ეკონომიკის სამინისტროში კი აზუსტებენ, რომ მთავრობა ეკონომიკის სტიმულირების გეგმის შემდეგ უკვე ეკონომიკის განვითარების გეგმაზე მუშაობას იწყებს. ახალი გეგმა კრიზისის შემდგომ პერიოდზე იქნება გათვლილი, მას ქართული კომპანიების მენეჯერების და უცხოელი კონსულტანტებისგან შემდგარი ჯგუფი მოამზადებს და საზოგადოებას ორ კვირაში წარუდგენს. თუმცა, საქართველოს მთავრობა უკვე დღესვე დარწმუნებულია, რომ ქვეყანამ ეკონომიკური კრიზისი დანაკარგებით, მაგრამ მაინც წარმატებით გადალახა.

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი

გერმანული არჩევნები 2009

მერკელის გერმანია

ვინ ვისთან? და არა: რისთვის? ან რომელი პროგრამისთვის? კოალიციის საკითხი წლევანდელი არჩევნების მთავარი კითხვაა. ვინ ვისთან გაერთიანდება, ვინ ვისთან ერთად შექმნის კოალიციას?

ლაშა ბაქრაძე

27 სექტემბერს გერმანია ახალ ბუნდესტაგს (პარლამენტს) ირჩევს. ასეთი მოსაწყენი წინასაარჩევნო კომპანია ფედერაციულ რესპუბლიკას არ ახსოვს. დიდი ან სახალხო, როგორც მათ გერმანიაში უწოდებენ, პარტიების საარჩევნო პლატფორმები ერთმანეთისგან ძალიან არ განსხვავდება. 62,2 მილიონ გერმანელ ამომრჩეველს ფართო არჩევანი არ აქვს. დიდი კოალიციის შემდეგ საარჩევნო თემების სიღარიბე განსაზღვრავს წლევანდელ დაპირისპირებას.

ვინ ვისთან? და არა: რისთვის? ან რომელი პროგრამისთვის? კოალიციის საკითხი წლევანდელი არჩევნების მთავარი კითხვაა – ვინ ვისთან გაერთიანდება, ვინ ვისთან ერთად შექმნის კოალიციას?

გერმანიის ორივე მთავარი, მოქიშპე პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიანულ-სოციალური კავშირი (მოკლედ: კავშირი) და სოციალ-დემოკრატიული პარტია ე. წ. დიდ კოალიციაში გაერთიანებულნი გერმანიას, ბოლო 4 წელია, მართავდნენ. რა გასაკვირია, რომ ამ პერიოდის კრიტიკას ორივე მხარე ერიდება, ასევე თავშეკავებულები არიან ერთმანეთის პიროვნულ კრიტიკის მხრივ ჯერ კიდევ პარტნიორები.

ეჭვი არავის ეპარება, რომ კავშირი (ქდუ/ქსუ) ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, მაგრამ ეს უმრავლესობა შორს იქნება დამოუკიდებელი მმართველობისთვის საკმარისი ხმათა ნახევრისგან. (ხმების უმეტესობა, 50,2%, გერმანიის რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მიიღო ერთ-ერთმა პარტიამ – ქდუ/ქსუ-მ, 1957 წელს და მხოლოდ 1960-61 წლებში მართავდა გერმანიას კოალიციური პარტნიორის გარეშე). კიდევ ერთხელ *უსიყვარულო ქორწინება* – დიდი კოალიცია არავის ეხატება გულზე.

კავშირის სასურველი პარტნიორი თავისუფალი დემოკრატიული პარტიაა (ლიბერალები) – ველოსიპედის მესამე ბორბალი რესპუბლიკის ძველ სამპარტიულ სისტემაში. მაგრამ არც ისაა გარანტირებული, რომ ამ ორი პარტიის ხმათა რაოდენობა უბრალო უმრავლესობისთვის იქნება საკმარისი. შავ-ყვითელი კოალიცია (შავი ქდუ/ქსუ-ს ფერია, ყვითელი ლიბერალების) განსაკუთრებით საეჭვო გახდა ბუნდესტაგის არჩევნებამდე ბოლო დიდი გამოცდის – 30 აგვისტოს გამართული ტიურინგიის, საქსონიის და ზაარლანდის ლანდტაგების (ფედერალური მიწების/პროვინციების პარლამენტები) არჩევნების შემდეგ. ტიურინგიაში და ზაარლანდში მმართველი ქრისტიან-დემოკრატები დამარცხდნენ.

ზაარლანდის პარლამენტში 21%-ით „მემარცხენეები“ მოხვდნენ (მანამდე ლანდტაგში წარმოდგენილნიც არ იყვნენ). „მემარცხენეთა“ პარტია გდრ-ს სოციალისტური ერთიანი პარტიის შთამომავალი დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის და *საარჩევნო ალტერნატივა – სამუშაო და სოციალური სამართლიანობის* გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. მათი ლიდერი ოსკარ ლაფონტენი ზაარლანდის პრემიერ-მინისტრი (1985-1998), მანამდე კი მისი დედაქალაქის ობერბიურგერმაისტერი (დღევანდელი ქართულით: მერი) იყო. მისი ერთპიროვნული, მმართველობის „თავადური“ სტილის გამო, მას ზაარზე

„მემარცხენეთა“ პარტიის ლიდერი ოსკარ ლაფონტენი

„დე ოსკარს“ უწოდებენ. ლაფონტენი სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ხატი იყო, სამი ათეული წლის განმავლობაში პარტიის ლიდერი, 1990 წელს, კანცლერობის კანდიდატი, 1995-1999 წლებში თავმჯდომარე, რომელიც, 1999 წელს კანცლერ შრიოდერთან უთანხმოების გამო, მინისტრის პოსტიდან გადადგა და რომელმაც პარტიის შიგნით მხარდაჭერის უქონლობის მიზეზით პარტია 2005 წელს საბოლოოდ დატოვა. 2005 წლის ვადამდელი არჩევნების წინ მან მოახერხა საარჩევნო ალტერნატივის და დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის გაერთიანება, მათგან არსებობისუნარიანი ახალი მემარცხენე პარტია შექმნა და მაშინდელ არჩევნებზე შავ-ყვითელი კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლას შეუშალა ხელი. ლაფონტენის მიზანია, დაღმავლობის გზაზე მყოფ სოციალ-დემოკრატიას უჩვენოს, თუ რა დაკარგეს მისი სახით, მაგრამ ამავე დროს მათთან ერთად ქვეყანაში ახალი მემარცხენე ერთობა შეკრას. ლანდტაგების არჩევნებში წარმატების შემდეგ ლაფონტენმა თქვა, რომ მას უხარია, სოციალ-დემოკრატიას ახალი პერსპექტივა რომ მისცა ხელისუფლებაში მოსასვლელად. მისი წარმოდგენით, წითელ-წითელი (წითელია, როგორც სოციალ-დემოკრატების, ისე „მემარცხენეების“ ფერი) კოალიციები უნდა იყოს არა მხოლოდ ზაარლანდში, არამედ ტიურინგიაშიც. ბუნდესტაგის წევრი „მემარცხენეებიდან“ იან კორტე ამბობს, რომ სპდ ბოლოს და ბოლოს „მიხვდა, რომ ხუთპარტიული სისტემა არსებობს“, და რომ „მემარცხენეები“ „გადამწყვეტ ფაქტორად“ იქცა.

ლაფონტენი მიუღებელია მისი ძველი პარტიის ხელმძღვანელებისთვის. სოც-დემოკრატების თავმჯდომარე ფრანც მიუნტეფერინგი მას მოთამაშეს და სოციალ-დემოკრატიის მოღალატეს უწოდებს. გერმანელების და სოციალ-დემოკრატების უმრავლესობისთვისაც მიუღებელია ყოფილ გდრ-ელ კომუნისტებთან კოოპერაცია, ასევე – სრულიად არაპრაგმატულ რადიკალებთან „მემარცხენეთა“ პარტიის შიგნით, როგორიცაა „კომუნისტური პლატფორმა“ ან „ანტიკაპიტალისტური მემარცხენეობა“. თუ სოციალ-დემოკრატებს სულმა წასძლიათ და ზაარლანდში მაინც წავიდნენ „მემარცხენეებთან“ კოალიციაზე, ეს საბოლოო ჯამში ცუდად იმოქმედებს საერთო გერმანულ დონეზე და 27 სექტემბრის არჩევნებზე ხმებს დააკარგვინებს სოციალ-დემოკრატებს. ამიტომ სოციალ-დემოკრატები ზაარში ჯერ მხოლოდ სასურველი შუქნიშნის კოალიციაზე ამახვილებენ ყურადღებას, მათი მოწინააღმდეგეები კი წითელ-წითელ საშიშროებაზე. (შუქნიშნის მესამე ფერი მწვანე – მწვანეთა პარტიის ფერია). მწვანეები კი თავს იკავებენ არჩევნებამდე რომელიმე კოალიციურ შემოთავაზებაზე განაცხადონ თანხმობა. ქრისტიან-დემოკრატების, ლიბერალების და მწვანეთა კოალიციას იამაიკის კოალიციას უწოდებენ, იამაიკის შავ-ყვითელ-მწვანე ფერებიანი დროშის გამო.

საარჩევნო კამპანიებში გამობრძმედილ ტაქტიკოს ლაფონტენთან შედარებით, ამჟამინდელი ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატების კანცლერობის კანდიდატი, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი უხერხულად გრძნობს თავს პატარა ქალაქებისა და სოფლების საბაზრო მოედნების იმპროვიზირებულ პოდიუმებზე. მას არასდროს უბრძოლია აქამდე სადეპუტატო მანდატისთვისაც კი. გერმანიის ყველაზე ძველი, ტრადიციული – სოციალ-დემოკრატიული პარტია სერიოზულ კრიზისს განიცდის, მისი პოპულარობა დღითი დღე კლებულობს. პარტია, რომლის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს დღემდე სიმბოლურად გადასცემენ ხოლმე 1869 წელს დაარსებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თანადამაარ-

გერმანიის კანცლერები

ერთი-ორი წელი თუ შეძლებ კანცლერობასო, – უთქვამს ექიმს 73 წლის კონრად ადენაუერისათვის, როდესაც მან თავისი კანდიდატურის წარდგენა გადაწყვიტა კანცლერის პოსტზე ახლად ჩამოყალიბებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ადენაუერი 14 წელიწადს დარჩა ამ თანამდებობაზე.

- კონრად ადენაუერი (ქდკ) 1949 – 1963
- ლუდვიგ ერჰარდი (ქდკ) 1963 – 1966
- კურტ გეორგ კიზინგერი (ქდკ) 1966 – 1969
- ვილლი ბრანდტი (სდპ) 1969 – 1974
- ჰელმუტ შმიდტი (სდპ) 1974 – 1982
- ჰელმუტ კოლი (ქდკ) 1982 – 1998
- გერჰარდ შრიოდერი (სპდ) 1998 – 2005
- ანგელა მერკელი (ქდკ) 2005 – დღემდე

გერმანიის მთავარ პოლიტიკურ თანამდებობაზე ომის შემდეგ სულ 8 პიროვნება იყო.

ბუნდესტაგის არჩევნების შედეგები და მათ შედეგად შექმნილი მთავრობები



„რა დღეში უნდა იყოს ერი, რომელიც იმედის თვალით შესცქერის მერკელს“. მერკელი, რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი ობამას საარჩევნო კამპანიის მიმართ, ცდილობს, გამარჯვება ობამასგან ისწავლოს.

სებლის აუგუსტ ბებელის ოქროს საათს, ახალი იდენტურობისათვის იბრძვის. გერმანიის გაერთიანებიდან დღემდე პარტია 400 ათასზე მეტმა წევრმა დატოვა. პარტიამ სახე დაკარგა და საბრძოლო თემებს ველარ პოულობს. ახლახან ფრანკფურტერ ალგემეინემ სტატიაში „ერთი სახალხო პარტიის რეკვიემი“ სდპ „ოპელს“ შეადარა: „ოპელს“, მილიარდები კი არა, მყიდველი აკლია, მყიდველს კი ვერ იყიდი...

ხშირად ვფიქრობთ, რომ ინსტიტუციები, რომლებიც ჩვენზე ასაკოვანნი არიან, შეუძლებელია გაქრნენ, მაგრამ გვავიწყდება, რომ მათი უმრავლესობა უკვე გამქრალია“.

ანგელა მერკელი ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე შტაინმაიერი და მისი საკუთარი ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, მაგრამ, როგორც ერთმა ჩემმა გერმანელმა მეგობარმა თქვა, „რა დღეში უნდა იყოს ერი, რომელიც იმედის თვალით შესცქერის მერკელს“. მერკელი, რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი ობამას საარჩევნო კამპანიის მიმართ, ცდილობს, ობამასგან ისწავლოს გამარჯვება. კავშირის წლევანდელი ლოზუნგი „ჩვენ გვაქვს ძალა“ საეჭვოდ გვაგონებს ობამასეულ „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“-ს. 7 სექტემბერს კავშირის დიდ საარჩევნო ღონისძიებაზე დიუსელდორფში, რომლითაც მერკელის საარჩევნო კამპანია საბოლოო ფაზაში გადავიდა, ღრმა შინაარსიანი საარჩევნო სიმღერით „ჩვენ ვართ ჩვენ“ პარტამხანაგები და მომხრეები აიყოლია დიდულვაშა ლესლი მანდოკიმ, 30 წლის წინ თავის მუსიკალურ ჯგუფ „ჩინგიზ ხანთან“ ერთად „მოსკაუ, მოსკაუს“ სიმღერით რომ გაითქვა სახელი. სახალხო დღესასწაულის მსგავსი წარმოდგენის მთავარი მუსიკალური ვარსკვლავი კი ჯენიფერ რაში იყო (იქნებ უფროსი თაობიდან ვინმეს ახსოვდეს მისი „სიყვარულის ძალა“ – The Power of Love). პარტიული ახალგაზრდობა კი ძალიან ეჯიბრებოდა ერთმანეთს „ანჯი, ანჯის“ ძახილში, მაგრამ კავშირი ძალიან შორსაა ახალი თაობისგან, თუნდაც მუსიკის საკითხში. აქ არც ინტერნეტის – ფეისბუქის, იუთუბისა თუ გერმანიაში პოპულარული ფაუ ცეტის მოუქნელი გამოყენება შველის საქმეს. კომპიუტერების თაობა უფრო სიმპათიითაა განწყობილი მაგალითად მეკობრეთა პარტიისადმი, რომელიც ინტერნეტში მეტი თავისუფლებისთვის იბრძვის.

ანჯი, ასე უწოდებენ მოფერებით მერკელს, კანცლერობას გააგრძელებს 27 სექტემბრის შემდეგ, მაგრამ ვისთან მოუწევს მას კოალიციის შეკონიწება?

მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო დისკრედიტირებულია, გერმანიის ლიბერალების პოპულარობა მატულობს. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, გიდო ვესტერველემ კამპანიის დასაწყისში ხაზი გაუსვა, რომ მის პარტიას მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრება კი არ უნდა, არამედ – საშუალო ფენის გაძლიერება. ვესტერველემ მაისში *საგარეო პოლიტიკის* საზოგადოებაში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ყურადსაღები სიტყვა წარმოთქვა და ამით კოალიციური პარტიისთვის ტრადიციულ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ამბობენ, რომ მას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და პარტიის საპატიო თავმჯდომარე ჰანსდიტრიხ გენშერი დაეხმარა. პარტიის ეს ძველი „ზარბაზანი“ აქტიურად იღებს მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაშიც. მას ეკუთვნის სლოგანი: „ანგელა მერკელი ჩვენთან ერთად უკეთესია“.

საინტერესოა, რომ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი არცთუ ისე დიდ როლს თამაშობს არჩევნების წინ. მოქალაქეები თავს ისე ცუდად არ გრძნობენ, როგორც ამას კრიზისის დასაწყისში მოელოდნენ. ენერგომატარებლების ფასი დაეცა კიდეც. სამუშაო ადგილები არ დაიკარგა, რადგან მთავრობა ფირმებს მოკლევადიან სამუშაოს უფინანსებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველი მანქანების ჩაბარებისთვის (რომელიც დაკავშირებული იყო ახალის ყიდვასთან) სახელმწიფო დახმარება პრემიების სახით. ამ ინიციატივამ, რომელიც ახლა მთავრდება და, ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეული უკუჩვენება ექნება, ალბათ ცოტათი მაინც შეამცირა სანაგვეზე გადასაყრელი მანქანების შემოდინება საქართველოში.

მცირე პარტიების პოპულარობა ორი აქამდე მთავარი პარტიის პოპულარობის ხარჯზე იზრდება. მწვანეებიც შეეცადნენ, ატომური ელექტროსადგურების და ბირთვული ნარჩენების საცავების თემა გამოეცოცხლებინათ, მაგრამ – უშედეგოდ.

სამაგიეროდ, ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობის საკითხი, განსაკუთრებით თალიბანზე 4 სექტემბრის საჰაერო შეტევის შემდეგ, რომელსაც, როგორც ჩანს, 70-ზე მეტი, მათ შორის სამოქალაქო პირიც ემსხვერპლა, გავლენას იქონიებს ამომრჩეველთა ხმებზე. ერთადერთი პარტია, რომელიც ღიად ითხოვს ავღანეთიდან გერმანული ჯარის გამოწვევას, „მემარცხენეთა“ პარტიაა. თავის დროზე, ვიდრე რეალურ პოლიტიკაში ჩაერთვებოდნენ, მწვანეებიც უაღრესად ანტიმილიტარისტულად იყვნენ განწყობილნი.

მწვანეებს აღარ ჰყავთ პოპულარული ლიდერები, არადა, წლევანდელ არჩევნებში, როგორც არასდროს, ლიდერები არიან ფოკუსში და არა მათი პარტიები და პროგრამები. ვესტერველე და ლაფონტენი ამ ახალ ტრენდს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად განასახიერებენ.

გერმანიის პარტიული სისტემა იცვლება. ეტაბლირებული პარტიების კვდომა დაიწყო. დიდი, მასების პარტიები ასპარეზს უთმობენ პატარებს. ეს, ერთი მხრივ, ცოტათი მაინც მრავალფეროვანს ხდის გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს აძნელებს მყარი უმრავლესობების შესაძლებლობას, კოალიციების ჩამოყალიბებას, რაც გერმანიის უაღრესად სტაბილურ პოლიტიკურ სისტემას მომავალში რყევებით ემუქრება.

გერმანელების სრული უმრავლესობა თვლის, რომ წელს არჩევნებზე გერმანიის მომავლის ბედი არ წყდება (73%, 2005-ში – 42%). 2005 წლის არჩევნებზე 13 მილიონზე მეტი ადამიანი არ მივიდა, წელს 17 მილიონს მოელიან.

მეზობლები

ანკარა-ერევ

თურქეთმა სომხეთისგან მიიღო ის, რაც სურდა.

თათულ ჰაკოფიანი, ერევანი

ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ორ მეზობელს – თურქეთსა და სომხეთს პირველად მიეცათ ურთიერთობის მოგვარების საშუალება. 31 აგვისტოს ცნობილი გახდა სომხეთ-თურქეთის „საგზაო რუკის“ დეტალები, რაც მანამდე საიდუმლოდ ინახებოდა. სომხეთის, თურქეთის და შვეიცარიის (შუამავალი ქვეყანა) საგარეო საქმეთა უწყებებმა ერთობლივად განაცხადეს, რომ „საგზაო რუკა“ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზების გზების რეალურ ვადას ადგენს.

„შიდა პოლიტიკური კონსულტაციები ექვს კვირას გასტანს. შემდეგ ხელი მოეწერება ორ ოქმს, რომლებიც შესაბამის პარლამენტებს რატიფიცირებისთვის წარედგინება“, – ნათქვამია განცხადებაში.

ექვსი კვირა 14 ოქტომბერს იწურება. ეს თარიღი ასტრონომიული სიზუსტით ემთხვევა იმ დღეს, როცა თურქეთის ქალაქ ბურსაში თურქეთ-სომხეთის საპასუხო საფეხბურთო მატჩი უნდა გაიმართოს. სომხეთის პრეზიდენტმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ მატჩზე დასასწრებად მხოლოდ იმ შემთხვევაში გაემგზავრება, თუ იმ დროისთვის გახსნილი იქნება თურქეთ-სომხეთის საზღვარი, ან გამოიკვეთება ამის რეალური პერსპექტივა.

1991 წელს ანკარამ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა აღიარა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, გარდა სომხეთისა. სომხეთს თურქულმა მხარემ ორი პირობა წაუყენა: ერევანმა თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა უნდა ცნოს და 1915 წელს სომხების გენოციდის ფაქტი უარყოს. ხოლო, მას შემდეგ, რაც 1993 წლის აპრილში ყარაბაღის ძალებმა კელბაჯარის რაიონი (სომხეთსა და ყარაბაღს შორის) დაიკავეს, თურქეთმა, აზერბაიჯანთან სოლიდარობის ნიშნად, სომხეთს ბლოკადა გამოუცხადა.

2009 წლის 23 აპრილს, ღამით, „საგზაო რუკის“ გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე, სომხეთმა და თურქეთმა გაავრცელეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ორი ქვეყანა „გაერთიანდა ურთიერთობის მოგვარების სხვადასხვა ასპექტის გარშემო“. მეორე დღეს – 24 აპრილს მთელი მსოფლიოს სომხები გენოციდის მსხვერპლთა დღეს აღნიშნავდნენ. ამ განცხადებამ დიასპორაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია (7-8 მილიონი სომეხიდან სომხეთში მხოლოდ 3 მილიონი ცხოვრობს), ხოლო ათზე მეტი წლის განმავლობაში სამთავრობო კოალიციაში მყოფმა ნაციონალისტურმა პარტია „დაშნაკცუტუნმა“ კოალიცია დატოვა.

„დაშნაკცუტუნის“ დემარში სხვა მიზეზითაცაა სიმბოლური. დამოუკიდებელი სომხეთის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ სომხეთსა და დიასპორაში მოქმედი სამივე ცნობილი პარტია – „რამკავარი“, „გნიაჩკიანი“ და „დაშნაკცუტუნი“ ოპოზიციაში აღმოჩნდა.

სერჟ სარგსიანი სომხეთის სამი პრეზიდენტიდან ერთადერთია, რომელსაც დიასპორის მხრიდან ანგარიშგასაწევი მხარდაჭერა არ აქვს.

სამაგიეროდ, სარგსიანს ამ საქმეში მთელი დანარჩენი მსოფლიო უჭერს მხარს – აშშ, ევროკავშირი, ნატო, ეუთო, დიდი სახელმწიფოების ლიდერები, მათ შორის რუსეთისაც, მაგრამ უფრო თავშეკავებულად. ნერვიულად და ეჭვიანად რეაგირებს აზერბაიჯანი.

ვიდრე ხელისუფლება და მის მიერ კონტროლირებადი მედია სომხურ-თურქულ ოქმებს დიპლომატიურ მიღწევად აფასებს, ხოლო მმართველი „რესპუბლიკური პარტია“ სერჟ სარგსიანს „რეგიონულ ლიდერს“ უწოდებს, ოპოზიცია მას სომეხი ხალხის ინტერესების ღალატში ადანაშაულებს. სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ სერჟ სარგსიანმა სომხების გენოციდი უარყო.

ანი 1:0?

2007 წლის დასაწყისში შვეიცარიამ გამოთქვა სურვილი, ერევან-ანკარას შორის დიალოგის გაგრძელების შუამავალი გამხდარიყო, რომელიც 2004 წლიდან შეწყვეტილი გახლდათ. ეს საიდუმლო შეხვედრები ვენაში შედგა, სომხური მხრიდან თურქებთან მოლაპარაკებებს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე არმან კირაკოსიანი წარმართავდა. სომხეთმა მკაფიოდ განაცხადა, რომ თუკი ამ საიდუმლო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გაჟონავდა, ერევანი ოფიციალურად განაცხადებდა, რომ მსგავსი მოლაპარაკებები არ არსებობს და თურქები ცრუობენ.

ამ საიდუმლო მოლაპარაკებების დღის წესრიგში ოთხი პუნქტი იყო, რომელთაგან ორი – საზღვრის დებლოკადა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება – სომხეთმა წარადგინა, ხოლო დანარჩენი ორი თურქეთმა – ერთმანეთის საზღვრების აღიარება და კომისიის შექმნა. ეს საიდუმლო მოლაპარაკებები 2008 წელს, სომხეთში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალი ძალით გაგრძელდა, „საფეხბურთო დიპლომატიად იქცა“, და პროცესი არათუ გამჭვირვალე გახდა, არამედ დაიწყო მისი პროპაგანდა სახელმწიფო დონეზე სომხეთშიც, თურქეთშიც და წამყვანი უცხოური მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითაც.

„საგზაო რუკამ“ განარისხა სომხური დიასპორა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს სომხეთის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლის – 1915 წლის მოვლენების შეცვლის მცდელობაა.

თურქეთმა მიაღწია იმას, რაც სურდა. მან მსოფლიოს დაანახა, რომ სომხეთთან დიალოგი შეუძლია. თურქეთმა მიანიშნა სხვადასხვა ქვეყნებს, რომ გენოციდის აღიარებაზე მსჯელობა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს მხოლოდ ხელს შეუშლის დაწყებულ მოლაპარაკებათა პროცესს. სწორედ ასე მოიქცა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც 24 აპრილს (სომეხთა გენოციდის დღე. ამ დღეს აშშ-ს პრეზიდენტები ტრადიციულად სიტყვით მიმართავენ სომეხ ხალხს) გამოსვლისას სიტყვა „გენოციდი“ არც კი ახსენა.

31 აგვისტოს გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ თურქეთმა ბოლოს და ბოლოს მიიღო ის, რის მიღწევასაც 1991 წლიდან ცდილობდა. კერძოდ კი – კომისიის შექმნა, რომელიც ისტორიულ მოვლენებს გადახედავს. საპასუხოდ სომხეთმა მიიღო მხოლოდ დაპირება, რომ შესაძლოა, საზღვარი გაიხსნას. თანაც, დოკუმენტში ისეთი ფორმულირებებია გამოყენებული, რომ გაურკვეველი რჩება, ვინ ჩაკეტა ეს საზღვარი.

„სომხეთი და თურქეთი შეთანხმდნენ არსებული პრობლემების დაზუსტებასა და წინადადებების ფორმულირებაზე, რაც ისტორიული დოკუმენტებისა და საარქივო მასალების მეცნიერულად და მიუკერძოებლად შესწავლის გზით უნდა მოხდეს“, – ნათქვამია ერთ-ერთ ოქმში.

ასეთმა ფორმულირებამ განსაკუთრებით განარისხა ბევრი სომეხი, პირველ რიგში – დიასპორიდან. არსებობს მოსაზრება, რომ ფაქტობრივად ეს არის სომხეთის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლის – 1915 წლის მოვლენების შეცვლის მცდელობა, და მათი დღევანდელი სომხეთისა და განსაკუთრებით კი თურქეთის იტერესებისათვის მორგება.

თუკი სომხეთისა და თურქეთის პარლამენტები ამ ოქმების რატიფიცირებას მოახდენენ, სომხეთ-თურქეთის საზღვარი ორი თვის განმავლობაში უნდა გაიხსნას.

თუმცა, არსებობს საშიშროება, რომ თურქეთის პარლამენტში ამ ოქმების რატიფიცირება ჩაიშლება. მეტიც, სავარაუდოდ, განხილვა ანტიამერიკული ისტერიის სახეს მიიღებს, და თურქეთი ისევ მოსთხოვს სომხეთს, შეწყვიტოს აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაცია.

რეალურად დიდი მნიშვნელობა არ აქვს დამტკიცდება თუ არა ეს ოქმები თურქეთის პარლამენტში. ანკარასთვის მთავარია ის წერილობითი დაპირება, რომელიც მან ერევნისგან მიიღო ისტორიკოსებისაგან შემდგარი კომისიის შექმნის თაობაზე. მიუხედავად იმისა, გაიხსნება თუ არა საზღვრები, თურქეთის მხარე ამ დაპირებით სპეკულირებას დაიწყებს.

არ არსებობს რაიმე გარანტია, რომ თურქები და აზერბაიჯანელები ერთობლივად მოქმედებენ, როგორც ეს წინა წლებში იყო. შესაძლოა, თურქეთი სომხეთთან დაახლოებას იმიტომ ცდილობს, რომ დარწმუნებულია, სომხური ძალები გავლენ ყარაბაღის მიმდებარე ოკუპირებული ტერიტორიებიდან. რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რომ სომხურ-თურქული და ყარაბაღის პროცესები პარალელურია, ერთი რამ ცხადია, რომ პროგრესი სომხურ-თურქულ ურთიერთობაში ყარაბაღის საკითხის დარეგულირებაზეც იქონიებს გავლენას და პირიქით.

სამხრეთ კავკასია

კავკასიის ინტეგრაცია

ევროპული ინტეგრაციის პროექტი – ახალი გზა კავკასიისთვის.

ვალერი ძუცევი, ვაშინგტონი

2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგაც ბევრმა პოლიტიკოსმა და ჟურნალისტმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ რამდენად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

დღეს ეს რეგიონი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების გაცილებით დიდ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე თუნდაც ათი წლის წინათ. ეს გამოწვეულია დასავლეთსა და რუსეთს შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური მეტოქეობითაც, და სრულიად ჩვეულებრივი ეკონომიკური ინტერესებითაც, რაც, ცხადია, უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა ენერგეტიკულ პროექტს უკავშირდება. თავად სამხრეთ კავკასიის რეგიონული მოთამაშეებიც გაცილებით გაიწაფნენ საერთაშორისო პოლიტიკაში და მსხვილ საერთაშორისო მხარეებს შორის არსებულ უთანხმოებებს დროდადრო ოსტატურადაც კი იყენებენ. კავკასიაში მომხდარი ამ და სხვა ცვლილებების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ისინი საკმაოდ თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, გასული წლის ომის დროს განსაკუთრებით გამოაცა არა ამ ცვლილებებმა, არამედ იმან, თუ რა მცირე პროგრესი განიცადეს ამ წლების მანძილზე კონფლიქტში მონაწილე საზოგადოებებმა. ამ ომმა ყველანი ორი ათეული წლით უკან დაგვაბრუნა, 1980-იანების დასასრულში და 1990-იანების დასაწყისში. ლოზუნგებიც იგივე ისმოდა, მსუბუქად კორექტირებული ბოლო პოლიტიკური მოდის მიხედვით. იგივე ნაციონალიზმი, რომელიც სუსტად იყო შენიღბული თავისუფლებისა და დემოკრატიის ძიების მცდელობით, და განსხვავებული აზრის ზუსტად ისეთივე მიუღებლობა.

კავკასიის მოსახლეობის ერთი თაობა იმდენი კონფლიქტისა და საზოგადოებრივი კატაკლიზმების მოწმე გახდა, ამ რეგიონში იმდენი სახსრები და ძალა ჩაიდო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, იმდენი სამშვიდობო პროგრამა განხორციელდა, რომ თითქოს შეუძლებელი იყო კიდევ ერთი ომი მომხდარიყო.

იქმნება მძიმე შთაბეჭდილება, რომ კავკასია ერთ წრეზე დადის, არაფერს სწავლობს და ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე შეცდომებს ჩადის. კავკასიის ზოგიერთ ნაწილში ამ წრის რადიუსი მეტია, სხვაგან ნაკლები, მაგრამ რეზულტატი უმეტესწილად იდენტური – მტრობა, ძალადობა, დევნილები, სიღარიბე. ამ შემთხვევაში სულაც აღარ გინდება ვინმე დაადანაშაულო ომში, ვინ პირველმა დაიწყო, ვინ უპასუხა. ასეთი კამათები უკვე არა მხოლოდ უადგილო უნდა იყოს, არამედ – სამარცხვინოც. ასობით ადამიანი დახოცილია, ათეულობით ათასმა დაკარგა საკუთარი სახლი, წლობითა და ხშირ შემთხვევაში დიდი წვალებით დაგროვილი ქონება. ეს ყველაფერი უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე არაერთხელ მოხდა და, შესაძლოა, არა უკანასკნელად.

შეიძლებოდა ბევრი გვეფიქრა ადამიანის ბუნების დამანგრეველ ხასიათზე, პოლიტიკოსების შეცდომებზე და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გვეძებნა, მაგრამ საბედნიეროდ, ამ მანკიერი წრის გადასალახად უკვე არსებობს სრულიად მზა რეცეპტები, რომლებიც გარკვეულწილად მიესადაგება ომისშემდგომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში არსებულ სიტუაციას. ერთი რეცეპტი, პირობითი სახელწოდებით „იმპერიული ინტეგრაციული პროექტი“, კავკასიაში საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ცნობილი და გამოცდილია. ამ პროექტის ოცი წლის წინანდელი სამწუხარო ფინალი და ასევე დღევანდელი პოლიტიკური რეალიები ცხადყოფს, რომ მისი განმეორება არ ღირს. მეორე, უფრო ახალი რეცეპტი ცნობილია, თუმცა მსოფლიოში ნაკლებად გავრცელებული – ესაა ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, პოპულარულია ევროპული ინსტიტუტებისკენ დამოუკიდებლად სწრაფვა. თუმცა, გეოგრაფიულმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა მიზეზებმა ამ ინტეგრაციის პერსპექტივა შეიძლება ათეული წლებით

კავკასიაში ბოლოდროინდელმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ალტერნატივა აქ მხოლოდ ომია.

გადაავადოს. თანაც ბოლომდე ნათელი არაა, თუ რად გადაიქცევა იმ დროისთვის ევროკავშირი და რა პოლიტიკა ექნება გაფართოების თვალსაზრისით. ხოლო თუკი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პერიოდულად სისხლისმღვრელი ომები მოხდება, მაშინ ეს პერსპექტივა კიდევ უფრო შორეული გახდება. ასეთ პირობებში რეგიონული ინტეგრაციის პროექტი გაცილებით რეალისტურად გამოიყურება, თუმცა – პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებლად.

ინტეგრაცია, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და მისი განვითარების მიზნით, ბუნებრივია, თავისთავად ვერ გადაწყვეტს რეგიონის ყველა პრობლემას. მეტიც, თამაშის საერთო წესებიდან განყენებულად, როგორიცაა, მაგალითად, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, ასეთი ინტეგრაციის პროექტი არ შეიძლება წარმატებული იყოს გრძელვადიანი გეგმით. მიუხედავად ამისა, ევროპული ინტეგრაციის პროექტის წარმატებული მაგალითი არსებობს და შეიძლება მისაბაძიც იყოს. ყველა დაინტერესებულ მხარეს ესმის, რომ უფრო გამჭვირვალე საზღვრები და საქონლის გადაადგილებისა და მომსახურებისას ბარიერების მოხსნა სარგებელს მოუტანს როგორც სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანას ცალ-ცალკე, ისე მთლიანად რეგიონს. გარდა ეკონომიკური სარგებელისა და სამშვიდობო პოტენციალისა, თავად რეგიონიც უფრო გამოსადეგი გახდება ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის.

თუკი პოლიტიკოსები ამა თუ იმ მიზეზით ამჯობინებენ, რეგიონულ ინტეგრაციაზე ყურადღება არ შეაჩერონ და ერთეული აქციებით დაკმაყოფილდნენ, თავად საზოგადოებას დასაკარგი დრო აღარ აქვს. კავკასიაში ბოლოდროინდელმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ალტერნატივა ომია. ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირებას თუ მივმართავთ, შეიძლება ითქვას: „ნუ იკითხავ, ვინაა დამნაშავე კონფლიქტში, შენ ხარ დამნაშავე“. ჩემთან საუბარში ერთ-ერთი ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის მტკიცებით, სამხრეთ კავკასიის ინტეგრაციისთვის ყველა ტერიტორიული პრობლემა უნდა გადაწყდეს. მე კი მგონია, უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ტერიტორიული პრობლემები რეგიონში მაშინ გადაწყდება, როდესაც რეგიონული ინტეგრაციის პროექტი ამუშავდება.

www.wikipedia.com

მიუხედავად დიდი ევროპული გამოცდილებისა, რამდენადაც ცნობილია, ჯერ არ არსებობს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ინტეგრაციის ადაპტირებული პროექტი. ასეთი პოლიტიკური პროექტი არც იარსებებს, ვიდრე არ გაჩნდება ინტელექტუალური საფუძველი მის შესაქმნელად. თუკი რეგიონული ინტეგრაციის გზაზე არსებული პოლიტიკური დაბრკოლებების ახსნა შესაძლებელია, მაშინ გაუგებარია აქამდე რატომ არ არსებობს განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების მკაფიო ინტელექტუალური პროდუქტი, როგორიცაა რეგიონული ინტეგრაცია.

წარმატებული რეგიონული ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიაში იქნებოდა „იმპერიული პროექტის“ ალტერნატივა, რომელსაც რუსეთი დღემდე ახორციელებს ჩრდილოეთ კავკასიაში და, როგორც ჩანს, ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში, მის გადატანას სამხრეთ კავკასიაშიც გეგმავს. მეტოქე პოლიტიკური პროექტის მიმართ რუსეთი, სავარაუდოდ, კეთილგანწყობას არ გამოიჩენს, მაგრამ ამ პროექტის არაკონფრონტაციულობიდან გამომდინარე, მის მიმართ ღია აგრესიასაც ვერ გამოხატავს. შესაძლოა, ამან უბიძგოს კიდეც რუსეთს, შეცვალოს ჩრდილო კავკასიაში მმართველობის სისტემა.

არსებობს, რა თქმა უნდა, ინტეგრაციის ალტერნატიული სცენარიც – იმპერიული. როდესაც ხალხი ისე დაიღლება გაუთავებელი ომებით, რომ მზად იქნებიან, შევიდნენ ნებისმიერ იმპერიაში, რომელიც მშვიდობასა და სტაბილურობას დაჰპირდება. მართალია, ასეთი სცენარი არც ისე სარწმუნოა, მაგრამ ლოგიკურად მით უფრო შესაძლებელი ხდება, რაც მეტად ეომებიან ერთმანეთს კავკასიელები.

ფოტო: დავით სულაკაური

ჯავახეთის რაიონის სოფელი ბოგდანოვკა

მოსალოდნელი მოულოდნელობა

საქართველოსა და სომხეთს შორის ფრთხილი და გაწონასწორებული პოლიტიკა ჯავახეთის გარშემო იძაბება.

ოლესია ვართანიანი, თბილისი



ფოტო: ბერეზა ბუხაიძე

სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის განცხადება, რომელიც მან სექტემბრის დასაწყისში სომეხ დიპლომატებთან შეხვედრისას გააკეთა, თბილისში „მოსალოდნელ მოულოდნელობად“ შეაფასეს. საქართველოში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთი ზეწოლას ახდენს სომხეთის ხელმძღვანელობაზე, რათა მათ უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავონ საქართველოსთან მიმართებაში.

თავის სიტყვაში სარგსიანმა გაიმეორა რადიკალურად განწყობილი სომეხი პოლიტიკოსების ძირითადი ლოზუნგი, რომ სომხების ინტეგრაცია საქართველოში არ უნდა ნიშნავდეს მათ ასიმილაციას.

ამ სიტყვების ავტორად ჯავახეთის საზოგადოებრივი აქტივისტი დავიდ რსტაკიანი ითვლება, რომელიც მოძრაობა „ვირქის“ ერთ-ერთი თანათავმჯდომარეა და თბილისში აღიქმება როგორც „სეპარატიზმის მთავარი გამავრცელებელი“ რეგიონში.

სარგსიანის გამოსვლამდე სომხეთის ყველა ოფიციალური პირი ცდილობდა, თავი აერიდებინა თბილისისთვის მიუღებელი გამონათქვამებისთვის.

სომხეთის პრეზიდენტი თავის გამოსვლაში უფრო შორსაც წავიდა და წამოაყენა მოთხოვნა, რომელსაც დიდი ხანია, სიფრთხილით უყურებენ საქართველოში – მან თქვა, რომ სომხური ენა უნდა გახდეს ოფიციალური ენა ჯავახეთში მცხოვრებთათვის.

სარგსიანმა ასევე განაცხადა, რომ აუცილებელია სომხური კულტურის ძეგლთა დაცვაზე ზრუნვა და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური რეგისტრაცია.

„ყველა ამ საკითხში ჩვენ დელიკატურები უნდა ვიყოთ, თუმცა ამავე დროს თანმიმდევრულები და პრინციპულები“, – აღნიშნა სარგსიანმა.

ამ განცხადებიდან სამ დღეში სომხეთის პრეზიდენტის ამ სიტყვებზე პასუხის გაცემა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გრიგოლ ვაშაძეს მოუწია, რომელიც ერევანში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა.

„ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი იდეები ჩვენს სომეხ კოლეგებთან“, – უპასუხა ვაშაძემ და ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური თბილისის პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სომხური ენის სტატუსი ქართველებისთვის, სომხური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეებისთვის საუკუნეების განმავლობაში დაცული იყო. მათი ყველა უფლება დაცულია ისევე, როგორც სხვა ხალხების, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ.

ჩვენთვის ისინი ჩვენი ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია“, – განაცხადა ვაშაძემ.

ამ პასუხმა უკმაყოფილება გამოიწვია თბილისის ოფიციალურ წრეებში, რომლებიც სარგსიანის განცხადებების სათავეს კრემლში ეძებენ.

„ამგვარ განცხადებას სარგსიანისგან რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ელოდნენ. კიდევ უფრო მკაცრსაც. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ ერევანი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს აღიარებდა, – ამბობს საზოგადოებრივი მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, არნოლდ სტეფანიანი, მაგრამ სარგსიანმა ეს არ გააკეთა. არა იმიტომ, რომ ძალიან კარგი ადამიანია, არამედ გააცნობიერა, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება, ვიდრე არ მოემზადები იმ შედეგებისთვის, რაც ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს“.

სტეფანიანის თქმით, ომიდან ერთი წლის შემდეგ სარგსიანის განცხადება „კოღოს ნაკბენს“ ჰგავს და სიტყვებს საქმე არ მოჰყვება.

„სომხეთს არ აქვს არავითარი ბერკეტი, რომ ეს იდეები პრაქტიკულად აამოქმედოს“, – მიიჩნევს სტეფანიანი.

„გარდა ამისა, სომხეთი არ არის მზად საქართველოსთან ურთიერთობების მკვეთრი გაუარესებისთვის. სომხურ ელიტას კარგად ესმის, რომ თურქეთთან საზღვარის გახსნის შემთხვევაშიც, სომხეთს აუცილებლად სჭირდება ალტერნატივა, და სწორედ საქართველოა მისთვის ტრანზიტული ალტერნატივა“.

სარგსიანის განცხადება ბევრმა სომეხმა ექსპერტმა დროულად და მართებულად მიიჩნია.

დამოუკიდებელი პოლიტოლოგი ერვანდ ბოზოიანი მიიჩნევს, რომ ბოლო დროს თბილისი ჯავახეთში აგრესიულ პოლიტიკას ატარებს და ეს იმიტომ ხდება, რომ თბილისმა სომხეთის მხრიდან გარკვეული სისუსტე იგრძნო. „თუ მანამდე თბილისი თვალს ხუჭავდა იმ ფაქტზე, რომ სომხებს, რომელთაც არ იცოდნენ ქართული, სხვადასხვა თანამდებობები ეკავათ და ამით არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციას, დღეს უკვე ამ საკითხთან მიმართებაში იგი მკვეთრ პოლიტიკას ახორციელებს“.

ბოზოიანი მიიჩნევს, რომ სარგსიანის განცხადებას არაფერი აქვს საერთო კრემლის განწყობებთან.

„მალე ჯავახკი (ჯავახეთის სომხური სახელწოდება – ავტ.) იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც დღეს მარნეულია, სადაც მოსახლეობის 100 პროცენტი აზერბაიჯანელია, სოფლის თავი კი – ქართველი“.

კიდევ ერთი სომეხი ექსპერტი სტეფან საფარიანი ამბობს, რომ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოსა და სომხეთს შორის ფრთხილი და გაწონასწორებული პოლიტიკა, მნიშვნელოვნად დაიძაბა.

„ფეთქებადსაშიში ვითარების წინაშე ვართ, რომლის განეიტრალებისთვის, რესტორნული პოლიტიკა და მედლების ერთმანეთისთვის კისერზე ჩამოკიდება კი არა, პრობლემების წამოწევა და მათი ერთობლივად გადაწყვეტაა საჭირო“.

საფარიანი მიიჩნევს, რომ ორ ქვეყანას შორის გადაუჭრელი პრობლემები სპეკულაციის საგანია როგორც შიდა, ასევე გარე ძალებისთვისაც. „ამ საკითხში მნიშვნელოვან როლს რუსეთი თამაშობს“, – ამბობს იგი.

სომხური ენისთვის რეგიონულ დონეზე ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭების საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც რამდენიმე წლის წინ თბილისში დაიწყო მსჯელობა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ხდებოდეს. ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სომეხი ეროვნებისაა და ქართულ ენას არ ფლობს.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში თითქმის ყველა დოკუმენტაცია რუსულ ან სომხურ ენებზეა შედგენილი. ქართულ ენაზე გადასვლა ბევრ ადგილობრივ ჩინოვნიკის შეუძლებლად მიაჩნია.

თბილისი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს სპეციალურ სასწავლო პროგრამებში ხედავს, რომლებსაც ადგილობრივი ჩინოვნიკები გაივლიან. თუმცა, დღევანდელი პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არარეალური იდეაა.

„უნდა დაველოდოთ, რომ ამ მოსახლეობის ნაწილმა მაინც ისწავლოს ქართული“, – ამბობს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების საკითხებში, ვან ბაიბურთი.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, სომხური ენის ოფიციალურად გამოცხადებას ამ რეგიონს კიდევ რამდენიმე წლით უკან გადაისვრის. ხალხი საერთოდ აღარ იფიქრებს ქართულის სწავლაზე“.

„საქართველო-სომხეთის ურთიერთობები ფეთქებადსაშიში ვითარების წინაშეა, რომლის განეიტრალებისთვის პრობლემების წამოწევა და მათი ერთობლივად გადაწყვეტაა საჭირო.“

კონფლიქტის ზონა

წყალი დენის წილ

ოსური სოფლისთვის დენის მიწოდების აღდგენას ქართული სოფელი ითხოვს.

გოგა აფციაური, გორი

ფოტო: გოგა აფციაური

■ მეჯვრისხევის გაუქმებული საკოლმეურნეო ბაზარი, სექტემბერი 2009

თითქმის სამი კვირაა, სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებნი წყალს ხან გორიდან, ხან მეზობელ სოფელ ზერტიდან ეზიდებიან, ზოგი ტრანსპორტით, ზოგი ორთვალათი, ზოგიც ხელით.

მეჯვრისხევი გორის რაიონის ყველაზე დიდი სოფელია. იქ დაახლოებით 1400 კომლი ცხოვრობს.

მეჯვრისხველები წყლის პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზას ხედავენ – ქართულმა მხარემ ოსურ სოფლებს დენის მიწოდება უნდა აღუდგინოს.

საქმე ისაა, რომ სათავო ნაგებობა, საიდანაც მეჯვრისხევი წყლით მარაგდებოდა, მეზობელი ოსური სოფლის – ღრომის ტერიტორიაზე მდებარეობს. ღრომს და კიდევ რამდენიმე ოსურ სოფელს, რომელსაც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება აკონტროლებს, ელექტროენერგიას ქართული მხარე აწვდიდა. ივლისის ბოლოს კომპანია „ენერგოპროჯორჯიამ" დავალიანების გამო ოსურ სოფლებს დენის მიწოდება შეუწყვიტა. საპასუხოდ კი ღრომში სათავე ნაგებობა ჩაკეტეს და მეჯვრისხევი წყლის გარეშე დარჩა.

შიდა ქართლის ადმინისტრაციულ შენობასთან მეჯვრისხველებმა ორი საპროტესტო აქცია გამართეს. მათი მთავარი მოთხოვნა ოსური სოფელი ღრომისთვის ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა იყო.

„ჩვენი ამბავი რწყილი და ჭიანჭველას ზღაპარს ჰგავს. თუ დენს მივცემთ, ისინი წყალს მოგვცემენ. წლების განმავლობაში ასე იყო", – ამბობს მეჯვრისხველი ზაქარია.

ღრომსა და მეჯვრისხევს წყლის გარდა ბევრი სხვა საერთოც ჰქონდათ. მეჯუდის ხეობის ოსური სოფლებისთვის ცხინვალისკენ მიმავალი გზაც მეჯვრისხევზე გადიოდა. 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგაც ცხინვალი-ღრომის ავტობუსი ქართული სოფლების გავლით შეუფერხებლად მოძრაობდა.

მიმოსვლა გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყდა. მეჯვრისხველებისა და ღრომელების გადაკვეთის კიდევ ერთი ადგილი მეჯვრისხევის საკოლმეურნეო ბაზარი იყო. „ჩვენ ბაზარში რძის პროდუქტები, შინაური ფრინველი, საქონელი, არაყი, კარტოფილი და შეშა ღრომიდან, ანდრეთიდან და მახისიდან იქაურ ოსებს ჩამოჰქონდათ. თუ ბაზარზე ვერ გაყიდდნენ, შემდეგ ურმებით მეჯვრისხევს უბანუბან ჩამოივლიდნენ. თითქმის ყველას ვიცნობდით იმ სოფლებში. დღეს ვითარება შეიცვალა. როგორც ვიცი, ჩვენი პოლიციელები არ უშვებენ იმათ", – ამბობს მეჯვრისხველი ტარიელ გურგენიძე.

პირველი საპროტესტო აქცია შიდა ქართლის ადმინისტრაციის შენობასთან მეჯვრისხველებმა დაახლოებით ორი თვის წინ გამართეს. მათი მოთხოვნა მეზობელი ოსური სოფლისთვის დენის მიწოდების თაობაზე მაშინ ხელისუფლებამ დააკმაყოფილა. მთავრობის თხოვნით, „ენერგოპროჯორჯიამ" ოსურ სოფლებს დენი მიანოდა, ღრომელებმა კი წყლის სათავე ნაგებობა გახსნეს და მეჯვრისხევმა წყალი მიიღო.

28 დღის შემდეგ, დავალიანების გამო, „ენერგოპროჯორჯიამ" ისევ გათიშა ოსური სოფლები. მეორე დღეს მეჯვრისხევს წყალი შეუწყვიტეს.

როგორც გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი ამბობს, მეჯვრისხევში წყლის პრობლემას მოკლე ვადაში ახალი ჭაბურღილებით მოაგვარებენ.

თუმცა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, სოფელი მცირეწყლიანია. კომუნისტების მმართველობის პერიოდშიც სოფელში რამდენიმე ჭაბურღილი დაიდგა, მაგრამ წყლის სიმცირის გამო ვერ იმუშავა.

სოფელში გაჩნდა იდეა, რომ ღრომის ელექტროენერგიის დავალიანებას მეჯვრისხველები თავად დაფარავენ.

„ადგილობრივ ხელისუფლებას შევთავაზეთ, რომ ფულს შევაგროვებთ და ღრომელების ელექტროენერგიის საფასურს თავად გადავიხდით. თითო კომლს 1-2 ლარი მოგვიწევს. მაგრამ უარზე არიან, ხარკს ხომ არ გადავუხდითო, – გვეჩხუბებიან", – ამბობს ზაქარია.

კომპანია „ენერგოპროჯორჯიას" წარმომადგენელი, გიორგი ბალახაშვილი ამბობს, რომ ოსური სოფლების მოსახლეობა წინა თვეებში კონტაქტზე თვითონ გამოდიოდა და ელექტროენერგიის გადასახადს იხდიდა, მაგრამ ბოლო ორი თვეა, კავშირი შეწყდა. 4 ოსური სოფელი დაახლოებით 2000 ლარის დავალიანების გამოა გამორთული.

ადგილობრივი მოსახლეობა იმის გამოც წუხს, რომ წყლისა და ელექტროენერგიის ნიადაგზე კონფლიქტმა მეზობელ სოფლებს შორის წლების განმავლობაში შენარჩუნებული ურთიერთობები გააფუჭა.

„ჩვენს ხელისუფლებას მინდა ვუთხრა, რა გახდა რამდენიმე პატარა სოფლისთვის დენის მიწოდება, რომ ამხელა სოფელი უწყლოდ არ დატოვონ. ცოდო არ ვართ ხალხი? ცუდია ჯიბრში ჩადგომა, დავტოვებთ უშუქოდ დაგვტოვებენ უწყლოდ. აქამდე ისინი პატიოსნად იხდიდნენ დენის გადასახადს, მაგრამ ახლა ალბათ უსახსროდ დარჩნენ. ისინი თავს ვაჭრობით ირჩენდნენ და ახლა ეს გზაც ჩაეკეტათ. ცოდოები არიან ეგენიც. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ძალით ძაბავენ ჩვენ შორის ურთიერთობას", – ამბობს მეჯვრისხველი ზეინაბ მეტრეველი.

დახურული სასჯელაღსრულებითი სისტემა

საიდუმლო ობიექტი

სასჯელაღსრულების სისტემაში საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები საგრძნობლად შემცირდა.

ანიტა თვაური

11 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს ციხის მონიტორინგისას პატიმრებთან საკანში კონფიდენციალური გასაუბრების უფლება არ მისცეს. სახალხო დამცველის რწმუნებულს ქსნის №7 საპყრობილეში პატიმრებთან სპეციალურ ოთახში გასაუბრება ან საკნის კარის ღიად დატოვება მოსთხოვეს. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ციხის ადმინისტრაციამ რწმუნებულის უსაფრთხოება დაასახელა.

თუმცა, რამდენიმეწლიანი მონიტორინგის განმავლობაში პატიმრებს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არასდროს დაუყენებიათ.

სუბარი ამ გადაწყვეტილებას ციხეში მონიტორინგის შეზღუდვად აფასებს. ომბუდსმენის ყოველწლიური მოხსენებისათვის საპყრობილის მონიტორინგი თებერვალ-მარტში და გასული წლის ივლის-აგვისტოშიც ჩატარდა. მანამდე მსგავსი დაბრკოლება არც ერთ ადმინისტრაციას არ შეუქმნია.

ვარდების რევოლუციის შემდეგ და სასჯელაღსრულებით სისტემაში რეფორმების გატარების დღიდან ციხეებში საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა.

2009 წლამდე არსებობდა მონიტორინგის კომისიები და 2002 წელს მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შექმნილი მონიტორინგის საბჭო, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდნენ. მათ ციხეში მდგომარეობის აღწერა და რეკომენდაციების შემუშავება ევალებოდათ, ანგარიშებს სამ თვეში ერთხელ იუსტიციის მინისტრს წარუდგენდნენ, ხოლო 6 თვეში ერთხელ – პრეზიდენტს. საბჭოში შემავალ არასამთავრობო ორგანიზაციების სიას იუსტიციის მინისტრი ადგენდა, რამაც ამ არასამთავრობოების მიმართ საზოგადოებრივი უნდობლობა გამოიწვია. 2009 წლიდან საბჭო „არაეფექტური მუშაობის“ არგუმენტით ოფიციალურად დაიხურა; გაუქმდა კომისიებიც. საქართველო დატოვა ეუთოს მისიამ, რომელსაც თავის დროზე ასევე ჰქონდა მონიტორინგის ფუნქცია. კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმი, მედია ციხეში მხოლოდ ადმინისტრაციის პიარ-აქციების გასაშუქებლად ხვდება

დღეს ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც ციხეში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლის საშუალება აქვს, სახალხო დამცველის აპა-

დღეს ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც ციხეში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლის საშუალება აქვს, სახალხო დამცველის აპარატია.

რატია. ამ ცვლილებებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი, დიმიტრი შაშკინი კონტროლის ახალი სისტემის – ეროვნული პრევენციის მექანიზმის შექმნით ხსნის. რომელიც 2009 წლის ივლისში ამუშავდა. ამგვარი მექანიზმის შექმნის ვალდებულება სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2005 წელს OPCAT-ის (Optional Protocol to the Convention against Torture) რატიფიცირებით აიღო. სახელმწიფო ვალდებული იყო, 2007 წლის იანვრამდე შეექმნა ეროვნული პრევენციის მექანიზმი, თუმცა მისი შექმნა 2009 წლის ივლისამდე არ მომხდარა. OPCAT-ის მიღებით სახელმწიფომ ციხეებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ ეროვნული პრევენციის მექანიზმად სახალხო დამცველის აპარატი დაასახელა, რაც გაერო-ს წინაშე სახალხო დამცველის ვალდებულებას გულისხმობს.

OPCAT-ის ფარგლებში ორი მოთხოვნიდან სოზარ სუბარს მხოლოდ ერთი დაუკმაყოფილეს. მას უფლება მისცეს, სახალხო დამცველის ოფისში შექმნას ექსპერტებისგან შემდგარი წამების პრევენციის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს ციხეებში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად ჩაატარებს.

OPCAT-ის ფარგლებში შექმნილ ჯგუფში 20-დან 30-მდე ექსპერტი იქნება, მაშინ როდესაც მანამდე თითო ციხეს 5-7 კაციანი კომისია აკონტროლებდა.

წამების პრევენციული ჯგუფის შემადგენელთა რაოდენობა ფინანსურ რესურსზეცაა დამოკიდებული. სახალხო დამცველმა ფინანსთა სამინისტროს 160 000 ლარის დაფინანსების მოთხოვნით მიმართა. აღებული ვალდებულების მიუხედავად, ჯერ უცნობია, დაუფინანსებს თუ არა სახელმწიფო ომბუდსმენს ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას, საკითხი განხილვის ეტაპზეა.

მეორე მოთხოვნა, რაზეც სახალხო დამცველმა, 2006 წლიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, კვლავ უარი მიიღო, ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გაკეთების უფლებაა. უარის საბაბი ისევ უსაფრთხოებაა. „ციხე არის საიდუმლო ობიექტი. მთავარია, არ დავუშვათ შესაძლებლობა, რომ ადამიანებმა გადაიღონ საიდუმლო ობიექტი და ამით დააზიანონ ამ საიდუმლო ობიექტის უსაფრთხოება“ - ამბობს დიმიტრი შაშკინი, ხოლო აუდიო ჩანაწერის აკრძალვის მიზეზად პატიმრის სურვილის გარეშე ფარული ჩანაწერის გაკეთების ალბათობას ასახელებს. სოზარ სუბარისთვის ეს არგუმენტები გაუგებარია: „კონფიდენციალობის დარღვევა რომ გვინდოდეს, ახლაც შეგვიძლია, მაგრამ მისი შენახვა ჩვენი კონსტიტუციური მოვალეობაა. საჯარო მოხელეები ვართ და დავისჯებით, თუ ასე მოხდა“.

საერთაშორისო ორგანიზაციას „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (Penal Reform Internetional) საქართველოში ოფისი 2001 წლიდან აქვს. ამ ორგანიზაციის სამუშაო პრიორიტეტთა შორის საერთაშორისო, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, საპატიმრო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი კონტროლის გაზრდაა.

ციხე დახურული ობიექტია, რაც იქ მყოფი ადამიანების უფლებების დარღვევის მაღალ ალბათობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ქმნის. ციხის საერთაშორისო რეფორმის რეგიონული პროგრამის მენეჯერი სიმონ პაპუაშვილი უსაფრთხოების დაცვისა და სიტუაციის მონიტორინგის ინტერესებს შორის დაპირისპირებას ვერ ხედავს: „ვფიქრობთ, რომ თუ ციხე იქნება გამჭვირვალე, ღია და მოწესრიგებული, უსაფრთხოებასაც დავიცავთ“. მისივე თქმით, მხოლოდ პოლიტიკური ნება და გამჭვირვალობის დადებითი მხარეების გაგებაა საკმარისი იმისათვის, რომ ქართული პენიტენციური სისტემა არასამთავრობო სექტორისთვის უფრო გაიხსნას.

სასჯელაღსრულების სისტემის დახურვის ერთგვარ ათვლის წერტილად 2006 წელი სახელდება, როდესაც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად ახლად დანიშნულმა ბაჩო ახალაიამ ბრძოლა დაიწყო ორგანიზებული დანაშაულის ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, გარკვეულწილად, სისტემის დახურვასაც ითვალისწინებდა, რომ ის არხები და კონტროლის მექანიზმები, რომლებსაც ე.წ. ქურდები იყენებდნენ, მოესპოთ.

შედეგად მივიღეთ დახურული სისტემა, შემცირებული კონტროლის მექანიზმებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ქურდების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას წარმატებით დასრულებულად თვლის, როგორც ჩანს, ის კვლავ არ არის მზად, სასჯელაღსრულებითი სისტემა საზოგადოებისათვის გახსნას.

პოლიტიკა სკოლაში

ხელისუფლებამ განათლების რეფორმა პოლიტიკურ სარგებელზე გაცვალა.

თამარ ღონღაძე, თამარ ბაბუაძე

მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა პედაგოგებთან

„მოსწავლე დემოკრატიულ სკოლაში არის არა საშუალება, ჭანჭიკი, არამედ მიზანი“, – აცხადებდა ალექსანდრე ლომაია 2007 წლის ივლისში, საჯარო სკოლების დირექტორების არჩევის შემდეგ. თუმცა უკვე იგრძნობოდა, რომ 7 ნოემბრამდე ოთხი თვით ადრე, მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისის წინ ყველაზე ნოვატორული და არაპოპულარული რეფორმა საფრთხის წინაშე იდგა.

იმ წელს 1500 საჯარო სკოლაში დირექტორები პირველად აირჩიეს. ერთი წლით ადრე სამეურვეო საბჭოები შემოიღეს და ამ გზით სკოლების თვითმმართველობაც უპრეცედენტოდ გაზარდეს. ამ ნაბიჯებს რეფორმის ავტორები განიხილავდნენ, როგორც სკოლისთვის გადაცემულ „სახელისუფლებო ბერკეტებს“, რომლებიც სკოლების ავტონომიისა და სწავლის ხარისხს აამაღლებდა. ეს ბერკეტები მთავარ „მიზანს“ – მოსწავლეს უნდა მოხმარებოდა. განათლების სისტემაში მომხდარი ძვრები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეასაც ატარებდა, რადგან ავტორები მიიჩნევდნენ, რომ სუსტი სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად მთავარი დემოკრატიულ ინსტიტუტებში პირადი და ყოველდღიური მონაწილეობის გამოცდილება იყო.

თუმცა, დატრიალებული ლოტოტრონის გაკონტროლება შეუძლებელი აღმოჩნდა. დირექტორების არჩევნებს მწვავე კრიტიკა მოჰყვა. რეაქცია არა მარტო ახალმა იდეამ, არამედ არჩევის მექანიზმის ხარვეზებმაც გამოიწვია.

ცვლილებები ადვილად ვერც მშობლებმა მიიღეს. ისინი სამეურვეო საბჭოებში შესვლით სკოლის მართვაში კი ჩაერთვნენ, მაგრამ ეს ჩართვაც ფორმალური აღმოჩნდა. მშობლებსა და მასწავლებლებს გამოცდილება არ ეყოთ, სკოლების განვითარებაზე მწირი დაფინანსების პირობებში ეფიქრათ. სკოლების ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე პედაგოგების ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებს ხმარდება.

ასე გამოიკვეთა რეფორმატორების მიერ გამოცხადებულ „დემოკრატიის ყველაზე ფართო და საჯარო გაკვეთილებში“ უამრავი შეუსაბამობა. ცვლილებებით უკმაყოფილება 2007 წლისთვის ყველა იმ ფენაში დაგროვდა, რომელსაც სკოლის ცხოვრება უშუალოდ ეხება. პედაგოგები, როგორც ელექტორატი, პოლიტიკურად გაუცხოებულები აღმოჩნდნენ. ხელისუფლებაში გაჩნდა შიში, რომ მასწავლებლები და სკოლები უფრო მეტად „ოპოზიციურები“ გახდებოდნენ, სკოლა კი ავტომატურად მათ ფორპოსტად იქცეოდა.

ამ შიშის გამო, რეფორმის სამიზნეც 180 გრადუსით შეიცვალა: ხელისუფლებამ მასწავლებლებთან საუბარი დაიწყო. მთავარი ამოცანა პედაგოგების 70-ათასიანი ელექტორატის გულის მოგება გახდა.

განათლების ყოფილი მინისტრი გია ნოდია დღეს ამბობს, რომ ხელისუფლებაში ერთმანეთს შეეჯახა რეფორმის თავდაპირველი მიზნები და პოლიტიკური ინტერესი. „რეფორმისტების ფილო-

ფოტო: ირაკლი ბაბუხადია

■ განათლების სისტემის პოლიტიზების პროცესი 2009 წელს საბოლოოდ გაშიშვლდა. „რეფორმები მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვინც ეს სისტემა დახატა, იმას საერთოდ შეხება არ ჰქონია სკოლასთან და მისთვის მასწავლებელი რაღაც ნახატი იყო კედელზე“.... მიხეილ სააკაშვილმა მის გუნდშივე გაჩენილი რეფორმის კონცეფცია, ამომრჩევლების დაკარგვის შიშით, შეცდომად გაასაღა.

სოფია იყო, რომ მოსწავლეა მთავარი, პოლიტიკოსების აზრით კი, მთავარი გახდა მასწავლებელი“.

თუმცა, პოლიტიკური ოპონენტებისათვის მასწავლებლისა და მოსწავლის ხელოვნური გამიჯვნა მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკის ნაწილია. კარგი სკოლა, რომლის მიზანიც ხარისხიანი განათლებაა, კვალიფიციური პედაგოგის გარეშე წარმოუდგენელია.

სააკაშვილმა განათლების მაშინდელი მინისტრისა და რეფორმების ერთ-ერთი ავტორის, კახა ლომაიას თანდასწრებით პედაგოგებს საჯაროდ პირველად 7 ნოემბრის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე დაუყვავა. პრეზიდენტმა ლოტოტრონის იდეა და რეფორმის სხვა ნიუანსები გააკრიტიკა, პედაგოგებს კი სოციალურ დაცვასა და ხელფასების გაზრდას დაჰპირდა.

ხელფასების, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ თანმიმდევრული ზრდა მალევე დაიწყო. 2009 წელს სამწლიანი პროგრამისთვის, რომელიც ხელფასების ეტაპობრივ მატებასაც ითვალისწინებდა, ბიუჯეტიდან 48 მილიონი ლარი გამოიყო. მასწავლებლების საბაზო ხელფასები – 35 ლარით, დამრიგებლებისა კი – 70-ით გაიზარდა. გაიზარდა სასკოლო ვაუჩერის ოდენობაც, პირველ 400 მოსწავლეზე – 70, ხოლო 400-ზე ზემოთ – 55 ლარით. მასწავლებელთა ჯამაგირის ზრდა დაემსგავსა სოციალური დახმარების პროგრამას, რომლის მთავარი მიზანი ისევ საარჩევნო ხმების მოპოვება იყო. ხელფასების ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა სწავლის ხარისხის ამაღლების გარანტი, თუკი კვალიფიციური და არაკვალიფიციური მასწავლებლების ანაზღაურებას შორის განსხვავება დაწესდებოდა. „როცა ყველას თანაბრად უზრდი ხელფასს, ეს განათლების ხარისხზე არ მოქმედებს. საჭიროა შიდა კონკურენციაც“, – აცხადებს გია ნოდია. პოლიტიკური მოტივით ხელფასების ზრდამ კი პედაგოგებს შორის კონკურენტული გარემო ვეღარ შექმნა. მხოლოდ სერტიფიცირება კვალიფიციურობას არ ნიშნავს, ის მასწავლებლობის მოწმობაა.

უკვე რამდენჯერმე გადაიდო პედაგოგთა სერტიფიცირების, დირექტორების არჩევისა და სკოლების აკრედიტაციის პროცესიც. სამსახურის დაკარგვის შიშით, მასწავლებლები სერტიფიცირებას დამსჯელ ღონისძიებად განიხილავენ, ხელისუფლება კი ელექტორატის შენარჩუნებას ცდილობს და სერტიფიცირების თარიღი შეძლებისდაგვარად სამომავლოდ გადააქვს.

განათლების სისტემის პოლიტიზების პროცესი 2009 წელს საბოლოოდ გაშიშვლდა. მიხეილ სააკაშვილმა მის გუნდშივე გაჩენილი რეფორმის კონცეფცია, ამომრჩევლების დაკარგვის შიშით, შეცდომად გაასაღა. თებერვალში აჭარაში პედაგოგებთან შეხვედრისას მან განაცხადა: „რეფორმები მნიშვნელოვანია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ვინც ეს სისტემა დახატა, იმას საერთოდ შეხება არ ჰქონია სკოლასთან და მისთვის

მასწავლებელი რაღაც ნახატი იყო კედელზე“....

2007 წლის ნოემბერი პოლიტიზებულ და დემოკრატიულ სასკოლო გარემოს შორის წყალგამყოფი არ ყოფილა. განათლების რეფორმის ყველაზე წარმატებულ და საქმიან პერიოდშიც კი საჯარო სკოლები და რესურს-ცენტრები ხელისუფლების მთავარ ადმინისტრაციულ რესურსად განიხილებოდა. განათლების იმ ექსპერტების აზრით კი, რომლებიც მთელ რეფორმას სკეპტიკურად აფასებენ, ყოველი არჩევნების დროს რესურს-ცენტრები ნაციონალური მოძრაობის შტაბებად გადაიქცეოდა. ხმების მოპოვებაზე ზრუნვა და პარტიული აგიტაცია მათ ისეთივე საქმიანობად ეთვლებოდათ, როგორც სასკოლო პრობლემების გადაჭრა.

შთამბეჭდავია წინასაარჩევნო პერიოდში განათლების მინისტრის მასწავლებლებთან შეხვედრების რაოდენობაც. განათლების სამინისტროს ეს ღონისძიებები არაპირდაპირ საარჩევნო აგიტაციას ჰგავდა. ამ ღონისძიებებში რეფორმატორებიც მონაწილეობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის პოლიტიკურ კონიუნქტურაში მოქცევა მათსავე იდეებს ეწინააღმდეგებოდა.

ბოლო პერიოდში, პოლიტიკური ნების არქონის გამო, დაიკარგა ის ერთ-ერთი ყველაზე მთავარიც, რასაც რეფორმისტები განათლების სისტემის გარდაქმნის ყველაზე ეფექტურ ინდიკატორად მიიჩნევდნენ: საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესურს-ცენტრებში თვითმმართველობის მექანიზმების გაჩენა. დღეს უკვე თეორიულადაც ვეღარ ვილაპარაკებთ სამეურვეო საბჭოების დამოუკიდებლობასა და მთლიანად სკოლების დეცენტრალიზაციაზე. ზაფხულში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, სკოლის სამეურვეო საბჭოში დანიშნეს განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების ხმა ოფიციალურად მიენიჭათ. მათ ასევე მიენიჭათ უფლება, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად, მოიწვიონ საბჭოს სხდომა. ამ ფუნქციების გამო, სამინისტროს წარმომადგენელი სკოლაში გარკვეულწილად დირექტორზე მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება. თვითმმართველობას მშობლებიცა და პედაგოგებიც ახლა სწავლობენ და ჯერ კიდევ ვერ ეჩვევიან, რომ თითოეულ პრობლემას სამინისტრო კი არა, თავად, ავტონომიურად უნდა წყვეტდნენ. ასეთ გარემოში კიდევ უფრო იოლი იქნება სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გამოყენება მთავრობისათვის ყველაზე საჭირო დროს – წინასაარჩევნოდ.

სამეურვეო საბჭოებზე გავლენის მოხდენის მცდელობა საბჭოების მეორე არჩევნების დროს უკვე შეინიშნებოდა. 14 ივნისს გამართულ სასკოლო არჩევნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები საბჭოს წევრობის პოლიტიკური ნიშნით არასასურველ კანდიდატებს სხვადასხვაგვარი მუქარით აიძულებდნენ, უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. მსგავსი შემთხვევებით აღინიშნა, მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალისა და სასირეთის, ხაშურის მე-7 და დედოფლისწყაროს 1-ლი სკოლები.

პოლიტიკური ნების არქონის გამო, დაიკარგა ის, რასაც რეფორმატორები განათლების სისტემის გარდაქმნის ყველაზე ეფექტურ ინდიკატორად მიიჩნევდნენ: თვითმმართველობის მექანიზმების გაჩენა. დღეს უკვე თეორიულადაც ვეღარ ვილაპარაკებთ სამეურვეო საბჭოების დამოუკიდებლობასა და მთლიანად სკოლების დეცენტრალიზაციაზე.

ფოტო: გაზრდა ქრონიკორი

კანონში შეტანილი ახალი ცვლილებები საგრძნობლად ამცირებს დირექტორის უფლებებსაც. ახლა სამინისტროს ესა თუ ის დირექტორი თუკი რაიმე პრობლემას უქმნის, მისი თანამდებობიდან მოხსნა მინისტრისთვის ოფიციალურად უკვე გაიოლებულია.

დღეს განათლების სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტში აცხადებენ, რომ ეს ცვლილებები სკოლებში დისციპლინის გამოსასწორებლადაა საჭირო, ხოლო არასაჯარო საუბრებში აღიარებენ, რომ ცვლილებები სკოლების კონტროლისთვისაა აუცილებელი.

პოლიტიკურ კონიუნქტურას რეფორმატორებიც ჩუმად დანებდნენ და სისტემის შეცვლისთვის აღარ იბრძოლეს. განათლების სამინისტრო რეფორმის ავტორების უმრავლესობამ, თავად მინისტრების ჩათვლით, ნელ-ნელა დატოვა, თუმცა მიზეზებზე საჯაროდ საუბარი არავინ ისურვა.

დღეს განზე გამდგარი რეფორმატორები მიიჩნევენ, რომ რეფორმამ ჩიხში შესვლა მაშინ დაიწყო, როცა მისი პოლიტიზების ხარისხი გაიზარდა, როცა მთავარი მიზანი – მოსწავლე დაიკარგა და უფრო მნიშვნელოვანი გახდა პედაგოგთა ელექტორატის გულის მოგება. თუმცა, თავად რეფორმაც არ ყოფილა სათანადოდ გამართული. ხარვეზები ჰქონდა სამეურვეო საბჭოების მექანიზმსა და დირექტორების არჩევის წესს, ნათლად იყო გასაწერი სკოლების აკრედიტაციისა და მასწავლებელთა სერტიფიცირების კრიტერიუმები; მცდარი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები და ვაუჩერული დაფინანსების დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლის ინფრასტრუქტურა, სწავლების ხარისხი ისევ ძალიან დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ რეფორმის მთავარი ამოცანა ვერ შესრულდა.

ამ თემებზე დისკუსია რეფორმის დასაწყისშივე პოლიტიკური მხარეების დაინტერესების შესაბამისად წარიმართა. დავით ზურაბიშვილი ამბობს: „როდესაც ზოგადი განათლების შესახებ კანონს იღებდნენ, ამბრაზურასავით ვიყავი გადაფარებული და ვამბობდი, რომ მისი მიღება არ შეიძლებოდა. ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში მსგავსი კრეტინობა არ ყოფილა. ბევრჯერ შეცვალეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ცუდი ვარიანტი მიიღეს. თავის დროზე ეს პროცესი ძველი და ახალი თაობის დაპირისპირებად, ბნელეთისა და სინათლის ბრძოლად აღიქმებოდა. მაშინ მინისტრი ლომაია ამბობდა, – ახლა თუ არ გადავდგამთ ამ არაპოპულისტურ ნაბიჯებს, მერე არჩევნები მოვა და მხოლოდ პოპულისტური სიახლეების შემოტანა მოგვიწევსო. თუ სადმე არ შეიძლება აჩქარება, ეს განათლების სფეროა, სადაც ძალიან ძლიერია ტრადიციისა და ინერციის როლი. რეფორმა აუცილებელი იყო, მაგრამ არა ამ ფორმით. ეტაპობრივად უნდა გაგვეშვა სამინისტროს ბერკეტები და არა ერთი ხელის მოსმით. ერთადერთი სიკეთე, რაც ამ რეფორმამ მოიტანა, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დამკვიდრებაა“.

ხელისუფლებამ პოლიციის შეცვლა მოახერხა, განათლების სისტემის გარდაქმნა კი შუა გზაზე შეწყვიტა, რითაც შეცდომების გამოსწორების თეორიული შანსიც დაიკარგა. ახლა რეფორმის ეფექტურობასა თუ ლაფსუსებზე მხოლოდ ჰიპოთეტურად თუ ვიმსჯელებთ.

თუმცა, საეჭვოა, ამ დათმობების მიუხედავად, ხელისუფლებამ მასწავლებლების ხმების შენარჩუნება შეძლოს. ლოგიკურად, განათლების სისტემის შენიღბული პრობლემები მმართველი გუნდის პოლიტიკური გამარჯვების საფუძველი არ უნდა გახდეს. დროებითი პოლიტიკური ამოცანების სასარგებლოდ გაკეთებულმა არჩევანმა კი სკოლების დეცენტრალიზაცია მრავალი წლით შეაჩერა.

ფოტო: ბაია ქოჩიაშვილი

კულტურული მემკვიდრეობა

ერთიანი საქართველოს გუმბათი

ხელოვნებათმცოდნეები სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას ბაგრატის ტაძრის აღდგენის მეთოდებზე ედავებიან.

ეკა ჭითანავა

ხარაჩოებში ჩასმული კედლები, გაბურღული ქვის სვეტები და, მათ ნაცვლად, რკინის არმატურა – ბაგრატის ტაძარს სრული აღდგენისთვის ამზადებენ. მე-11 საუკუნის კედლებს გუმბათს დაადგამენ და ბაგრატი კვლავ გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო გახდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის, ნიკა ვაჩეიშვილისთვის ეს ტაძრის აღსადგენად საჭირო რკინის არგუმენტია. გუმბათიანი ბაგრატი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვისაც დიდი ხნის ოცნებაა. „საკურთხეველი ღვთისმსახურების გარეშე არ უნდა არსებობდეს“, – აცხადებს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის პრესმდივანი თამარ კვანტალიანი.

თუკი მე-11 საუკუნის ძეგლი ქართველებისთვის გაერთიანებული სახელმწიფოს სიმბოლოა, იუნესკოსთვის ის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა, რომლის მნიშვნელობაც პატრიოტულ ლოზუნგებსაც სცდება და რელიგიურ ფუნქციასაც. ასეთი მნიშვნელობის ძეგლის სრული რეკონსტრუქცია იუნესკო-სთვის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ომი. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს გადამწვარი ვარშავის სრული აღდგენა გახდა საჭირო, ორგანიზაციამ პროექტი დაამტკიცა. ბაგრატს კი იუნესკო-ს ეს კრიტერიუმი მხოლოდ იმ გარემოების გათვალისწინებით თუ მოერგება, რომ ტაძარი 1691 წელს მომხდარი თურქების შემოსევისას დაინგრა.

იუნესკო-ს ექსპერტებმა ბაგრატის ტაძარი ბოლოს 2008 წლის ივნისში ინახულეს და დაასკვნეს, რომ ძეგლი სასწრაფოდ უნდა გამაგრდეს. ქართულმა მხარემ გამაგრება საძირკვლიდან დაიწყო. თუმცა, საძირკველში ასეთი მასშტაბური ჩარევა არ გახდებოდა საჭირო, რომ არა გუმბათის დადგმის სურვილი. ეს იდეა ოფიციალურად დამტკიცებულ პროექტში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აისახა. სრული რეაბილიტაციის გეგმა კულტურის სამინისტრომ 2009 წლის 31 ივნისს დაამტკიცა.

ქართულ მხარეს იუნესკო-სთვის პროექტის დოკუმენტაცია ჯერ არ გაუგზავნია. საქართველოს მთავრო-



ფოტო: თემი ბაროძეშვილი

ბაგრატის ტაძარი, სექტემბერი 2009

ბამ ტაძრის კონსერვაცია-რესტავრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და პროექტის დეტალური აღწერა მსოფლიო მემკვიდრეობის კომისიას 2011 წლამდე უნდა შეუთანხმოს. მანამდე რეკონსტრუქციის დაწყება არ შეიძლება. ჯერჯერობით მხოლოდ კედლების გამაგრება ხდება.

თუმცა, ქართველი ხელოვნებათმცოდნეების ნაწილი ამტკიცებს, რომ იუნესკო ბაგრატს მკაცრ განაჩენს მისი სრული აღდგენის გარეშეც გამოუტანს. პრობლემა აღდგენის მეთოდშია, რომელიც, მათი აზრით, ძეგლის იმ უძველეს ფენებს აზიანებს, რომლებიც მის უნიკალურობას განსაზღვრავს.

ბაგრატზე მიმდინარე სამუშაოების შესაფასებლად იუნესკო-ს სპეციალური კომისია საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოვა. ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილის განცხადებით, კომისიას ბაგრატი უკვე დაზიანებული დახვდება. „დაშლილია გუმბათქვეშა ბურჯების ქვის კვადრები და საკურთხევლის ბურჯთან დამაკავშირებელი თაღები, სვეტები გაბურღულია და, მათ ნაცვლად, ჩადგმულია რკინის არმატურა“, – აღნიშნავს ჩაჩხუნაშვილი.

პროექტის ხელმძღვანელი, არქიტექტორ-რესტავრატორი ვანო გრემელაშვილი ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისი თქმით, გარღვეული ბურჯები თავის ადგილს დაუბრუნდება, რკინა-ბეტონის ღერო კი ზუსტად იმ ქვით შეიმოსება, რომელიც დროებით ჩამოიხსნა.

იკომოსი-ს საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური მდივანი, არქიტექტორ-რესტავრატორი ნატო ცინცაბაძე კი სწორედ ამ მეთოდს უწოდებს „ძეგლის ფალსიფიკაციას“. „ათასწლოვანი ქვის სვეტები არ შეიძლება იყოს მულაჟი და რკინა-ბეტონის ხიმინჯებს მალავდეს, „ვენეციის ქარტიის“ მიხედვით, მემკვიდრეობის ნიმუშის ავთენტურობის შესანარჩუნებლად მისი არც ერთი კომპონენტი არ უნდა იყოს გაყალბებული“, – აცხადებს ნატო ცინცაბაძე.

დავის საგანია საძირკვლისა და სვეტების ბეტონით გამაგრების მეთოდიც. მძიმე დუღაბის გამოყენება გარკვეულწილად გუმბათის დადგმის სურვილმა განაპირობა. ასეთი მასშტაბური სამუშაოები აუცილებელი არ იქნებოდა, უფრო მსუბუქი კონსტრუქცია რომ აერჩიათ.

თავის დროზე ასეთი ბუტაფორიული პროექტი საპატრიარქომ დაიწუნა. ძირითად არგუმენტად ეკლესია ტაძრის აღდგენის არატრადიციულ მეთოდს ასახელებდა, რაშიც განსხვავებული მასალის – ხელოვნური ქვისა და ლითონის გამოყენებას გულისხმობდა. ვერც რესტავრატორებმა და ვერც პროექტის ავტორებმა ეკლესიის სურვილს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

არქიტექტორ-რესტავრატორი ნესტან თათარაშვილი იხსენებს, რომ 1987-95 წლებში, ტაძრის სრული აღდგენის მოთხოვნით, სამღვდელოების მხრიდან ზეწოლა არ წყდებოდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, ძეგლის ნანგრევების სახით დატოვებისა და მისი ამ ფორმით შენარჩუნების იდეა საბჭოთა პერიოდის მერე საფუძვლიანად აღარ განხილულა.

ეკლესია ახლაც კატეგორიულად აცხადებს, რომ „საკურთხეველი ღვთისმსახურების გარეშე არ უნდა არსებობდეს“. თამარ კვანტალიანის თქმით, საპატრიარქო ამ პოზიციას არ შეცვლის, რადგან ბაგრატის აღდგენა არა ერთი ადამიანის, პატრიარქის, არამედ მთელი მართლმადიდებლური მრევლის გადაწყვეტილებაა.

თუმცა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან წირვა-ლოცვა გადაუხურავ ბაგრატის ტაძარშიც აღევლინებოდა. ამიტომ ხელოვნებათმცოდნეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ბაგრატი უცლელი სახით დაეტოვებინათ და მხოლოდ მის კონსერვაციაზე ეზრუნათ.

2002 წლის ოქტომბერში, საქართველოს მთავრობასთან კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, ყველა საეკლესიო მნიშვნელობის ნაგებობა, ნანგრევი თუ მიწა საპატრიარქოს გადაეცა. შესაბამისად, როგორც მესაკუთრე, ეკლესია ტაძრის აღდგენაზე კანონიერ პრეტენზიას აცხადებს და ყველა გადაწყვეტილებას მთავრობასთან შეთანხმებით იღებს.

ეკლესიის სურვილის გარდა, ტაძრის აღდგენა პოლიტიკური ნებაცაა. მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში განაცხადა, რომ მას სურს, აღდგენილი ბაგრატი მისი პრეზიდენტობის ვადის დასრულებამდე იხილოს. ხელოვნებათმცოდნეთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ როდესაც პრეზიდენტი პირადად გასცემს სამშენებლო-სარესტავრაციო დაკვეთებს, ამით ხელოვნების დარგის პოლიტიზება ხდება.

ბაგრატის აღდგენა საფუძვლიანი კვლევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. 2005 წელს კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ტაძრის კვლევა-პროექტირებაზე, რომელშიც ვანო გრემელაშვილის ორგანიზაციამ „რესტავრატორები და კომპანია“ გაიმარჯვა. კვლევებს არქეოლოგები, გეოლოგები და ინჟინრები 2007 წლამდე ატარებდნენ. ტაძარი აიზომა, შეისწავლეს მისი ტექნიკური მდგომარეობა. ექსპედიცია ტაო-კლარჯეთშიც ჩავიდა და X-XI საუკუნეებში აგებული ოშკის, ხახულისა და იშხნის ძეგლები შეისწავლა. ამ კვლევების საფუძველზე გრემელაშვილმა დაასკვნა, რომ ბაგრატის პირვანდელი სახით აღდგენას მოახერხებდა და საბჭოს მისი სრული რეაბილიტაციის პროექტი შესთავაზა.

იუნესკო გადაწყვეტს, რამდენად არის დაცული კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროექტში ბაგრატის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, უფლებები. ამ უფლებების დარღვევა რომც დადგინდეს, საეჭვოა, საზოგადოებამ ძეგლის ბედის გადაწყვეტა შეძლოს.

თუკი მე-11 საუკუნის ძეგლი ქართველებისთვის გაერთიანებული სახელმწიფოს სიმბოლოა, იუნესკო-სთვის ის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა, რომლის მნიშვნელობაც პატრიოტულ ლოზუნგებსაც სცდება და რელიგიურ ფუნქციასაც.

ფოტო: თემი ბაინძრაბაშვილი

ბაგრატის ტაძარი, სექტემბერი 2009

ფოტო სალომე ჯაში

„პატრიოტთა ბანაკი“ ვარციხეში, აგვისტო 2009

საპრეზიდენტო პროგრამა

ლიდერი ყოველთვის მართალია

რეპორტაჟი პატრიოტთა ბანაკიდან.

სალომე ჯაში

განმუხურის პატრიოტთა ბანაკი, „მშვიდობისა და მეგობრობის ქალაქი“, შარშან ომის დროს დაიწვა. მაშინ ის ბანაკებს შორის ყველაზე დიდი იყო და 800 „პატრიოტს“ იტევდა. წელს იქ რამდენიმე კოტეჯი დგას და თითო ნაკადზე იქ მხოლოდ 150 ბავშვს შეუძლია დასვენება. თუმცა, ბანაკს განმუხურში სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. პატრიოტთა ბანაკი ომიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, 7 აგვისტოს გაიხსნა და მის აღდგენაზე 1 200 000 ლარი დაიხარჯა.

ზღვის სანაპიროსთან, მინდორზე რაზმს წრე აქვს შეკრული.

– ჩვენს ბანაკს გაუმარ... – ყვირის ლიდერი.

– ჯოს! – ერთად შეყვირებს რაზმი.

– ჩვენ, პატრიოტებს, გაგვიმარ...

– ჯოს!

– ბანაკის ხელმძღვანელობას გაუმარ...

– ჯოს!

– ჩვენს ქვეყანას გაუმარ....

– ჯოს!

– მიშას გაუმარ...

– ჯოს!

ამ ბოლო შეძახილს სხვა ბანაკებში არ იყენებენ. თუმცა ქუთაისთან ახლოს, ვარციხეში „პატრიოტების“ სიმღერა „მიშა მაგარია“ გაისმა. მართალია, ბანაკების ზოგიერთი ლიდერი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წევრია, მაგრამ საუბრის თემა პოლიტიკა თითქმის არასოდესაა. ერთადერთი, რაც „პატრიოტებმა“ უნდა იცოდნენ, ის არის, რომ ბანაკი „პატრიოტი“ საპრეზიდენტო პროგრამაა და ვისაც მათთვის კარგი უნდა, საპასუხოდ დახმარების ხელის გაწვდენაც უნდა შეეძლოთ.

ვარციხის „პატრიოტთა ბანაკი“

ბანაკის წევრებს „პატრიოტები“ ჰქვიათ. ყველა „პატრიოტს“ ბანაკში შესვლისთანავე ფორმა ურიგდება. ფორმის ნაწილია კეპი საქართველოს დროშით და წარწერით „პატრიოტი“, მაისური მკლავზე საქართველოს დროშით და ჟილეტი, რომელზეც მთლიანად საქართველოს დროშაა გამოსახული. აუცილებელია „პატრიოტს“ ამ ფორმის ერთი ნაწილი მაინც ეცვას. მას არ აქვს უფლება, დაამახინჯოს ფორმა და, განსაკუთრებით, მასზე გამოსახული ეროვნული სიმბოლიკა.

ბანაკში გადამწყვეტი აზრი ლიდერებს ეკუთვნით. იქ ნახევრად სახუმარო, თუმცა ნახევრად სერიოზული წესიც არსებობს, რომ „ლიდერი ყოველთვის მართალია“.

ბავშვები ხის კოტეჯებში ცხოვრობენ, გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე. თითო კოტეჯში 12-14 ბავშვს ერთად სძინავს. ნაკადები ყოველ 10 დღეში ერთხელ იცვლება. პირველივე დღეს „პატრიოტებს“ რაზმებად ანაწილებენ და თითო რაზმში საშუალოდ 30 მოზარდი ხვდება. ვარციხის ბანაკში სულ 10 რაზმია. ყველა რაზმი ვალდებულია, მოიფიქროს საკუთარი სახელი, შეძახილი და დევიზი, რომელიც პატრიოტულ სულისკვეთებას შეიცავს. მაგალითად:

რაზმი: მესამე

სახელი: სამშობლო

შეძახილი: საქართველო არის ერთი, გვფარავდა და გვფარავს ღმერთი!

დევიზი: ღმერთივით ერთი გვწამდეს სამშობლო.

შემდეგ ლიდერი ყვირის და „პატრიოტები“ „ჯოს“ შესძახებენ: მესამე რაზმს

ფოტო სალომე ჯაჯი

„პატრიოტთა ბანაკი“ განმუხურში, აგვისტო 2009

გაგვიმარ – ჯოს! გაგვიმარ – ჯოს! ვინ ვართ ჩვენ? – პატ–რი–ო–ტე–ბი. პატრიოტებს გაგვიმარ – ჯოს!

„პატრიოტიზმი“ ბანაკის ცხოვრების მხოლოდ გარეგნული მხარეა, აქ პირველი დღიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა „რეჟიმია“.

დილის ყველა ხაზზე ყველა უნდა დადგეს. საუზმეზე რაზმები რიგრიგობით და ორგანიზებულად უნდა მივიდნენ. რაზმის წევრები მიაბიჯებენ მწყობრად, ხშირად შეძახილით და ჰიმნის სიმღერით. საუზმის, სადილისა და ვახშმის დროს რაზმის წევრები ერთად უნდა დასხდნენ. ყველამ უნდა მოიხადოს ქუდი და იყოს ჩუმად. როგორც ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, – ჭამის დროს რომ ყველა ლაპარაკობდეს, სასადილოში წარმოუდგენელი ხმაური იქნებაო. ყველა ღონისძიებაში მონაწილეობა სავალდებულო არ არის, თუმცა სავალდებულოა დასწრება საღამოს შეკრებებზე; ასევე სავალდებულოა დისკოტეკის მერე დაძინებაც. აკრძალულია როგორც ძილისთვის განკუთვნილ დროს ლაპარაკი, ასევე ბანაკის ტერიტორიის დატოვება.

ისჯება წესრიგის დარღვევის ყველა შემთხვევა, მათ შორის მწყობრში არასწორად დგომა, დილის შეკრებაზე დაგვიანება, სიგარეტის მოწევა იქ, სადაც ეს აკრძალულია, ლაპარაკი უფროსების საუბრის დროს. დასჯა შეიძლება მოჰყვეს თანარაზმელის „გაპასტვას“ და სხვების დასჯის დროს ჩაცინებას.

ფოტო სალომე ჯაჯი

– *მიშას გაუმარ... – ჯოს!* „პატრიოტთა ბანაკი“ ვარციხეში, 2009

სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმა ბუქნებია. ბუქნების რაოდენობა დამოკიდებულია სასჯელის სიმძიმეზე და ლიდერის სიმკაცრეზე. პატრიოტები ამ თემაზე ხშირად საუბრობენ: „ველარ დავდივარ, გუშინ ორასი ბუქნი გავაკეთე, დღეს – ასი“. თუმცა დასჯა, როგორც წესი, სახალისოა და „პატრიოტების“ აღშფოთებას იშვიათად იწვევს. საბოლოო ჯამში, უმრავლესობას ბანაკში ყველაფერი მოსწონს, საჭმლის, აბანოსა და საპირფარეშოების გარდა.

ბანაკში ცხოვრების ყოველ ასპექტში კოლექტივიზმი იგრძნობა. კოლექტიური იყო გლოვაც. პატრიოტთა ბანაკებში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა, როცა ერთ-ერთ ბანაკში მიმავალი ავტობუსი ხევში გადავარდა და სამი „პატრიოტი“ დაიღუპა. ამ დღეების განმავლობაში შავი ლენტი ეკეთა ბანაკის ყველა მცხოვრებს. ერთ-ერთ საღამოს კი ორგანიზებული ლოცვაც „დაიდგა“: 350-მა „პატრიოტმა“ ბანაკში პატარა ტყის გარშემო, სადაც სამლოცველო დგას, წრე შეკრა. ბავშვებს ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ. ცოტა ხნით დუმილის შემდეგ წრემ თანდათან ერთი მიმართულებით დაიწყო მოძრაობა და ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“

ბანაკური ცხოვრების ყველაზე დიდ ნაწილს სპორტული ღონისძიებები შეადგენს – ჩემპიონატი ფეხბურთში, ფრენბურთში, მხიარული სტარტები. ყოველ ნაკადზე იმართება ინტელექტუალური თამაში – რა? სად? როდის? საღამოს იმართება თემატური წარმოდგენები მაგალითად ნარკომანიის წინააღმდეგ. დადგმებს შორის ყველაზე საპასუხისმგებლო საქართველოს ერთიანობის თემისადმი მიძღვნილი სპექტაკლია. თითქმის ყო-

ველ საღამოს, წარმოდგენების შემდეგ დისკოტეკა იმართება.

თვალში საცემია, რომ ბანაკში უმრავლესობა ბიჭია. თუ გოგონებს ერთი კოტეჯიც ჰყოფნით, ბიჭებისთვის ორი კოტეჯია გამოყოფილი. „ერთმა მითხრა, ბანაკში ნამყოფ გოგოს ცოლად არ მოვიყვანო, ჩემი თაობის ბიჭების მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს“, – ამბობს ერთ-ერთი „პატრიოტი“ გოგო. ბანაკში მუდმივად მორიგეობს დაცვა, განსაკუთრებით ღამით, და ცდილობს, გულდასმით გააკონტროლოს, დაბნელების შემდეგ ვინ სად რას აკეთებს.

პატრიოტიზმი

„პატრიოტთა“ ნაწილი ამბობს, – პატრიოტიზმი მხოლოდ ბანაკის სახელშია და სხვა მხრივ მსგავსი აქ არაფერი შემინიშნავსო. ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ბანაკში დასასვენებლად კი არა, პატრიოტული მოსაზრებების გამო ჩამოვიდა.

„პირველ რიგში, აქ იმის გულისთვის ვართ, რომ პატრიოტული სულისკვეთება გადავცეთ ჩვენს პატრიოტებს, ჩვენს ბავშვებს. როგორც ვიყავით დადეს და თავის სამშობლოსათვის თავი გაწიროს – ეს არის პატრიოტიზმი. მე ეგეთი ვარ“, – აცხადებს „პატრიოტი“, ნუკრი ჯიქიძე.

თუმცა, ბანაკში ომზე ღიად არავინ საუბრობს. მიუხედავად ამისა, ვარციხეში „პატრიოტების“ მიერ შედგენილი კედლის გაზეთების მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. საღამოს ღონისძიებებზე ხშირად ისმის სიმღერა – „ხმალი

ბანაკები

პატრიოტთა ახალგაზრდული ბანაკები საპრეზიდენტო პროგრამა და 2005 წლიდან არსებობს. ის 14-20 წლის ახალგაზრდებისთვის შეიქმნა. წელს ბანაკები გაიხსნა ვარციხეში, ყვავილნარში, შაორში, საგარეჯოსა და განმუხურში. 2008 წლის ომის შემდეგ განმუხურის ბანაკის განახლება 1 200 000 ლარი დაჯდა, ხოლო მთლიანად ბანაკების ორგანიზებისთვის წელს სახელმწიფომ 3 მილიონი ლარი დახარჯა. დღემდე პატრიოტთა ბანაკებში 100 000-მდე მოზარდმა დაისვენა.

ფოტო სალომე ჯაში

„პატრიოტთა ბანაკი“ ვარციხეში, აგვისტო 2009

ვით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ძლიერები, ისეთი ერთიანი და ძლიერები გვინდა ვიყოთ ახლაც. გვინდა, რომ პატრიოტებთან ერთად წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებაში და გამთლიანებაში“, – განმარტავს მიშა ბოლქვაძე, ვარციხის ბანაკის ერთ-ერთი ლიდერი, მეტსახელად „ნაცი“.

„რაც უნდა დასჭირდეს მის სამშობლოს, თუნდაც ომი იყოს და ომში გამოძახება, დაუფიქრებლად რომ წავიავლესოთ ქართველებო, ხმალი ავლესოთ...“ და ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა „ჩვენ მოვიგებთ ომს“, რომელიც ბანაკმა საკუთარ კონტექსტს მოარგო.

„პროგრამა „პატრიოტი“ ემსახურება ზუსტად ამას, რომ ქართული სული, ქართული სულისკვეთება გავაღვიძოთ და იყოს მაღალ საფეხურზე“, – ამბობს ბანაკის ლიდერი, ირაკლი. ის თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ფსიქოლოგად მუშაობს. „ქართულ სულში ვგულისხმობ იმას, რომ ქართველმა მანდილოსანმა გარკვეულწილად სახე შეიცვალა და ქართველი მანდილოსანი ის კდემამოსილი მანდილოსანი აღარ არის. ის ქართველი მამაკაცი, რომელსაც კაცი ერქვა, კაცი აღარ არის. და ამ ყველაფერმა თავი იჩინა იმით, რომ დღესდღეობით საქართველო დაკნინებულია“.

მაგრამ რა არის ქართული სული, როგორც ამას ირაკლი ამბობს, ან რა არის პატრიოტიზმი, ამას ბანაკში არ ასწავლიან. ასეთ თემებზე არც ლექციას კითხულობენ, და არც დისკუსიები ტარდება. არის მხოლოდ მოწოდებები, რომ უნდა იყო შენი ქვეყნის პატრიოტი. პატრიოტიზმის გაგება ერთ, ზოგჯერ ორ, სამ და ოთხ ნაკადში მონაწილეობის შედეგად თავისდაუნებურად იკვეთება გონებაში.

დილის ხაზზე ბავშვები მწყობრში დგებიან და ყველა რაზმი თავის შეძახილს ყვირის. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ბანაკის კოორდინატორი მათ ყურადღებას იპყრობს:

დამანახეთ ყველამ თქვენი მუშტები!

ბავშვები ზემოთ წევენ ხელებს და კოორდინატორიც განაგრძობს, რომ ყველანი ასე ერთ მუშტად უნდა იყვნენ შეკრულნი.

– ვინ ვართ ჩვენ?

– პატ–რი–ო–ტე–ბი! – პასუხობს ყველა ერთად.

– ვინ ვართ ჩვენ?

– პატ–რი–ო–ტე–ბი! – იმეორებენ შეძახილს.

– ჩვენს ერთად ყოფნას, ჩვენს მეგობრობას გაუმარ...

– ჯოს!

– ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საქართველოს გაუმარ...

– ჯოს!

– არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა იყოს ჩვენში არაქართული!

ყვირის კოორდინატორი, ყველა ქუდს იხდის და ერთდროულად ტრიალდება დროშისკენ, რომელიც ყოველ დილით საქართველოს ჰიმნის ფონზე აღიმართება.

სალომე ჯაში ამჟამად „გოეთეს ინსტიტუტის“ მხარდაჭერით პატრიოტთა ბანაკების შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს. პრემიერა ნოემბერში გერმანიის დღეების ფარგლებში გაიმართება. წელს საქართველოში გერმანიის დღეების ძირითადი თემაა „1989–2009 – ჟამთა ცვლა საქართველოსა და გერმანიაში“.

www.shokoladi.ge

მალე

კითხვა ჟანგბადით

მალხაზ ხარბედია



Inherent Vice *by Thomas Pynchon*
მახასიათებელი ნაკლი *ტომას პინჩონი*

დრო – 1960-იანების ბოლო, ჰიპების ეპოქის დაისი. ადგილი – კალიფორნია. მთავარი გმირი – კერძო დეტექტივი დოკ სპორტელო, ზანტი, სულ მუდამ დაბოლილი ტიპი. იგი ნაღდი ჰიპია, თუკი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჰიპი-გამომძიებელი. თმებიც აფრო ყაიდაზე აქვს დაყენებული, ჯიმი ჰენდრიქსივით. ეს ზანტი დეტექტივი კარდაკარ დადის, დაკითხვებს აწარმოებს, კითხავს სტრიპტიზიორებს, სერფერებს, ნათელმხილველებს, გაქექილ ფსიქიატრებს და ლას ვეგასიდან ჩამოხეტებულ ყომარისტებს. საქმე ისაა, რომ სპორტელოს ყოფილი გოგონა შასტა ფეი თავის ახალ კაცთან, ვიღაც მაყუთიან ტიპთან ერთად სადღაც გადაიკარგება, შემდეგ კი დოკი აღმოაჩენს, რომ ეს გაუჩინარება საეჭვოდ არის დაკავშირებული სხვა საქმეებთან, რომელსაც იგი იძიებს.

ბევრის აზრით, „მახასიათებელი ნაკლი“ ე.წ. hard-boiled დეტექტივის ჟანრის (ეს ჟანრი თავის დროზე რაიმონდ ჩენდლერისა და დეშილ ჰემეტის ხელში ჩამოყალიბდა) პოსტმოდერნული ვარიანტია, გნებავთ მიძღვნა, პაროდია, გადააზრება. დოკ სპორტელო გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ფილიპ მარლოუს, ჩენდლერის რომანების მთავარ გმირს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუკი მარლოუ დიდი რაოდენობით ბურბონს ურახუნებს, სპორტელო იმით განსხვავდება, რომ აუარება მარიხუანას ეწევა.

ესაა მარიხუანას კვამლით გაჯერებული წიგნი, სადაც მაღალი და დაბალი კულტურული ალუზიების ნაზავს ერთვის ლიტერატურული ანცობები + გნომური ისტორიული მინიშნებები + კალამბურები + სიურრეალისტური ზმანებები + აბსურდი, თუმცა იგი მაინც სუფთაა თანამედროვე ლექისგან, რადგან XXI საუკუნეში დაწერილ და იმავდროულად პრე-შიდსურ, პრე-ფემინისტურ და ათას სხვა რაღაცამდელ წიგნად ითვლება. ესაა shaggy-dog დეტექტივი, ჩახლართული, უკბილო ამბავი უაზრო ფინალით, „მალტის შევარდენი“, რომელშიც 60-იანი წლების რომელიმე ამერიკული კომიქსის გმირები მონაწილეობენ.

წიგნის სათაური საზღვაო სამართლიდანაა აღებული და ეს სადაზღვევო ტერმინი გულისხმობს მალფუჭებადი პროდუქტის გამორიცხვას სადაზღვევო პოლისიდან (მაგალითად, როგორ უნდა დააზღვიო კვერცხი, რომელიც ყოველ წამს განწირულია გატყდეს). ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე სათაურს საკმაოდ ფართო განმარტება შეიძლება მიეცეს, ამიტომ ვარაუდებს არ მოვყვები, გავაგრძელებ ამბავს და გეტყვით, რომ „მახასიათებელი ნაკლი“ არაა პინჩონის საუკეთესო ნაწარმოები, იგია ე.წ. Pynchon Minor, მწერლის შედარებით უმნიშვნელო ნაწარმოები, თუმცა თუკი კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ სამომავლოდ შეიძლება სწორედ ეს ნაწარმოები გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში, რადგან მის სხვა რომანებთან შედარებით მარტივი, ნათელი და ადვილი დასაძლევი წიგნი, კარგი სატყუარა იქნება მკითხველისთვის.

მისი ნაწარმოებების დაძლევას ევერესტზე ასვლასაც ადარებენ კრიტიკოსები, სადაც არა მხოლოდ წერაყინი, წრიაპები და თოკებია საჭირო, არამედ ჟანგბადიც. პინჩონი თანამედროვე მწერლობის ფარული ღვთაებაა, მწერალი, რომელსაც უფრო თაყვანს სცემენ, ვიდრე უყვართ. თუ არ ვცდები, იგი მხოლოდ სალმან რაშდის ჰყავს ცოცხლად ნანახი, როცა მის ერთ-ერთ წიგნზე წერდა რეცენზიას ნიუ იორკ ტაიმსისთვის და ამის გამო ისადილა კიდეც მასთან. რაშდი მაშინ პოპულარობის მწვერვალზე იყო.

პინჩონი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებები რთულია მოსანელებლად და ისინი ბოლომდე ძალიან ცოტა ვინმეს თუ აქვს წაკითხული, მთლიანად პოპულარულ კულტურას უტრიალებს. იგი მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი შემოქმედებით ამტკიცებს, რომ ნიჭსა და გემოვნებას არაფერი აქვს საერთო, არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი იმის შესახებ, რომ არ არსებობს მასავით საშინელი გემოვნების მქონე მწერალი და ვერავინ ისე ოსტატურად ვერ თამაშობს ამერიკულ პოპ-კულტურასთან, როგორც პინჩონი.

„მახასიათებელ ნაკლს“ პინჩონური სიგიჟის ყველა საფირმო ნიშანი ახასიათებს: პერსონაჟების არანორმალური სახელები, კიჩური სიმღერები, ნუმეროლოგიური ფოკუსები და პერსონაჟების გადმოყვანა და გადამუშავება ძველი რომანებიდან (ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით Vineland-დან), თუმცა, მთელი ამ გართობის, თამაშის, მინიშნებებისა და გარეკვების მიუხედავად, წიგნს მაინც დაყვება ერთი დიდი სევდა, წუხილი იმის გამო, თუ როგორ ცხვირწინ ააწაპნეს ვიღაც გალსტუკიანებმა მთელ ამერიკას 60-იანი წლების სამოთხე. სწორედ ამიტომაც, პინჩონის ბოლო რომანი ბევრი კრიტიკოსისთვის Vineland-ის წინაისტორიად უფრო მოჩანს, რომანისა, სადაც პინჩონი მწარედ „ღადაობდა“ რეიგანის ფაშისტურ მთავრობაზე და აჩვენებდა, თუ როგორ შეიძლებოდა 60-იანების თავისუფლებიდან ფაშისტურ 80-იანებზე გადასვლა, ეპოქაზე, როცა მემარჯვენე ფედერალები 60-იანებიდან შემორჩენილ ჰიპებს დევნიდნენ.

სხვათა შორის, თავისი ბოლო წიგნისთვის პინჩონი ბევრ დათმობაზე წავიდა. ინტერნეტ-მაღაზია amazon.com-ზე ჯერ სარეკლამო ვიდეო დააგდებინა, სადაც კალიფორნიულ ხედებს თავად ავტორის ხმა ადევს, შემდეგ კი აგვისტოშივე გამოაქვეყნა რომანის შესაფერისი სიმღერების ფლეილისთი, რომელსაც ტომას პინჩონი სთავაზობდა თავის მკითხველს. სიმღერები მთლიანად, რა თქმა უნდა, 60-იანი წლების მუსიკისგან შედგება. ცნობილებიდან ბიტლზის, Can't Buy Me Love, გეტსის და ჟილბერტოს Desafinado, სულ ადრეული პინკ ფლოიდის Interstellar Overdrive (უფრო ველვეთ ანდერგრაუნდს რომ ჰგავს), სერფერისის Wipeout და მრავალ სხვა კომპოზიციას შეხვდებით. ნახეთ და შეადარეთ თქვენი გემოვნება პინჩონისას.

უსმინეთ პირველი რადიოს ეთერში:

ყოველ სამუშაო დღეს
შემეცნებით - გასართობ გადაცემას:
“რადიო მრჩეველი ნანიკო ხაზარაძესთან ერთად”
დასაწყისი 13:30
ყოველ ორშაბათს და პარასკევს
მუსიკალურ - შემეცნებით გადაცემას:
"ძველი რადიოლა"
დასაწყისი 18:00
ყოველ ორშაბათს და პარასკევს
სპორტულ გადაცემას:
"Sports Prewive"
დასაწყისი 20:00

106.4 Fm RADIO ONE

გამარჯვებული საქართველოს ბანკში

ბახსენით ანაბარი,
ჩაუთეთ გათამაშებაში,
მოიგეთ ფულადი ვირზი
და ბინა

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA